

მირაპ ნაშებია

ქათოვან მარგიანი

თამილა ზოიადაპი

ორა მეცხაია

# ქართველური სახელმი

პრაქტიკუმი

ქართველური სახელმი პრაქტიკუმი

თბილისი – 2012

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მერაბ ნაჭებაძა      თამიჯა ზვიადაძე  
ქათავან მარგიანი      ნონა ქვემაძე

# ქართველური სახელმწიფო ჰარაქტერი

პროფ. მერაბ ნაჭებაძის საერთო რედაქციით

დამსმარე სახელმძღვანელო

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი – 2012

უაკ (UDC) 811.353'373.2  
6-383

ნაშრომი წარმოადგენს ქართველური ენობრივი ერთეულების – ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის – სახელთა (არ-სებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) პრაქტიკუმის შედგენის პირველ ცდას. მასალა დალაგებულია პრინციპით – მოკლე თეორიული განმარტებანი, თითოეული გრამატიკული კატეგორიის შესაბამისი მასალა, ლექსიკა და სიტყვა-ფორმათა ახსნა, სავარჯიშოები, ტექსტები;

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართული უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის.

რეცენზენტები:  
პროფ. მარინე კაკაჩია  
პროფ. ბიბინა ლემონჯავა  
პროფ. მედეა საღლიანი

- © მერაბ ნაჭყებია, თამილა ზვიადაძე,  
ქეთევან მარგიანი, ნონა ქეცბაია
- © გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

ISBN 978-9941-10-550-0

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართველური ენობრივი ქვესისტემების – ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის – სახელთა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) პრაქტიკუმის შედგენის პირველ ცდას. მასალა ამოკრებილია დღემდე გამოცემული ქართველური საენათმეცნიერო ტექსტებიდან და დალაგებულია პრინციპით – მცირე თეორიული განმარტებანი, თითოეული გრამატიკული კატეგორიის შესაბამისი მასალა, ლექსიკა და სიტყვა-ფორმათა ახსნა, სავარჯიშოები, ტექსტები; ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო პროექტის ფარგლებსა თუ საველე მუშაობის პირობებში ავტორთა მიერ შეკრებილი, ჩაწერილი ტექსტები და მასალები.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართული უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების ბაკალავრების და მაგისტრანტებისათვის და მთლიანად ეყრდნობა და თვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის – „ქართველური ენათმეცნიერება“ – მიზნებს, ამოცანებს, კომპეტენციებს. პრაქტიკუმზე მუშაობისას გარკვეულწილად აისახა აგრეთვე ავტორთა ქართველურ ენებზე სამეცნიერო და საუდიტორიო მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებაც.

დამხმარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა ემყარება სალიტერატურო ქართულის დღემდე არსებულ პრაქტიკულ ნაშრომებს. წარმოდგენილია ყველა ქართველური ენის სათანადო მასალა პარალელური ფორმატით, რაც, ვფიქრობთ, სტუდენტებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ამ ენებზე პრაქტიკულად მუშაობას.

ტრადიციულად ცნობილ სვანურ დიალექტთაგან, ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის სირთულიდან

გამომდინარე, პრაქტიკუმში ძირითადად აისახა ბალსზემოური დიალექტოლოგიური მასალა;

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული შეცდომა-ნაკლოვანებათაგან. სპეციალისტთა და ქართველური ენების გულშემატკივართა ყველა კეთილ რჩევას, სურვილს, შენიშვნას ავტორები მაღლიერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ.

რედაქტორისაგან

## §. 1. არსებითი სახელი ქართველურ ენებში

საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია. მისი ძირითადი ნიშანი საგნობრიობის გამოხატვაა. ეს საგანი კი შეიძლება იყოს რეალურად არსებულიც და ისეთიც, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია.

გრამატიკული თვალსაზრისით, სახელად ითვლება ყველა სიტყვა, რომელიც მოუგებს კითხვაზე ვინ? რა? – ქართულში; მი? (ვინ?), მუ? (რა?) – მეგრულში; მი/მინ (ვინ?), მუ/მუნ (რა?) – ლაზურში და დარ (ვინ?), მბდ (რა?) – სვანურში. ქართველურ ენებში კითხვა ვინ? დაესმის მხოლოდ ადამიანთა სახელებს, რა? – სხვა დანარჩენს.

### 1. არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები

ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით არსებით სახელებში გამოყოფენ ჯგუფებს შინაარსის მიხედვით: ვინ და რა ჯგუფის, სულიერთა და უსულოთა, კონკრეტული და ასტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი, ნივთიერებათა, მოქმედების, წინავითარების, კნინობით-ალერისობითი, გეოგრაფიული.

ვინ ჯგუფისას ქართველურ ენებში მხოლოდ ადამიანთა აღნიშვნელი სიტყვები. აქვე შემოდის ღვთაებათა და გაპიროვნებულ საგანთა სახელები.

#### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ლექციების შემდეგ სოფიოსთან აღარ მიღლაპარაკნია (ო. იოსელიანი);

2. იქნებ გვონიათ, ბებიას კალთის მეტი არაფერი მენახოს და დედის გამომცხვარი მჭადის მეტი არაფერი მეჭამოს? (ო. იოსელიანი);

3. ახლა წადი, მოელაპარაკე შვილებს (ე. ნინოშვილი);

4. გასულ თვეს მეცე ტაძრეულითურთ უფლისციხეში და-ყოვნდა (კ. გამსახურდია);

5. ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად (შოთა);

6. კალატოზმა დაიწყო კედლების შელესვა (პ. იაშვილი);
7. მეფემ დაინახა გლახა და მივიდა მასთან (პ. კაკაბაძე);
8. ერთ დილით დიოკრატესთან მივიდა მისი ერთგული მოწაფე (ს. კლდიაშვილი);
9. დედამ გოგონას აჩუქა დიდი წნიდან კარადაში შენახული... დედოფალა (ს. კლდიაშვილი);
10. ფეხშიშველმა ქალმა შეშინებულად გაიარა ბალახებში (ს. ცირეკიძე);
11. პატარძალს პატარა, ერთი წლის ბალლი ჩაუგორეს კალთაში (გ. ჩოხელი).

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. ათეჯგურა ბალანას მუჭო ოკო ვერკინევა — ასეთ ბავშვს როგორ უნდა გეჭიდავო;
2. ხორგას კოჩი გოლახეს დო ხეთას გურქ მოურთუა — ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო;
3. უჩაშ სქუალეფქ თე ზოჯუა მუმაში ვა შასრულეს — უფროსმა შვილებმა მამის ეს ნათქვამი არ შეასრულეს;
4. ართგ ხენწიფექ ქედელახე დო ჟირხოლო თორქ დეპვ-ერგ — ერთი ხელმწიფე ავად გახდა და ორივე თვალით დაბრმავდა;
5. ხოლოშ პაპას შენდობა ვაულუნია — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს;
6. ღორონთი მუშენი ვეძიცანსია — ღმერთი რატომ არ გაიცინებს;
7. ღორონთი ონდდეშა თაურე იჯინენია დო ნაონდდერს — თეურეშე — ღმერთი შუადლემდე აქეთ იყურება და ნაშუადლევს — იქით;
8. ღორონთისით გაჭყორდუ დო კოჩისითია — ღმერთსაც დაავიწყდა და კაცსაცო.

### ლ ა ზ უ რ ო:

1. ბიჭიშ ბაბა ულუნ — ბიჭის მამა მოვიდა;

2. დალეფე ... ბიჭიშ ოხოიშა ნულუნან – დები ვაჟის სახლში მიდიან;

3. მოგაფუში იდეს ზამანის ... სუმთანე აქარდაში, მანძაგეეშ ბიჭეფე ფარაშ მოგაფუშა – საშოვარში („მოსაგებად“) წავიდნენ ძველ დროს სამი ამხანაგი, მეზობლის ბიჭები, ფულის საშოვრად („მოსაგებად“);

4. ხჩინი დიხჩინუ, ბადი დიბადუ, კულანი ქიმოლიშა მენდახ-თუ – დედაბერი მოხუცდა, ბერიკაცი მოხუცდა, გოგო ქმართან წავიდა;

5. ხოჯა ეკაჭიშუ პემუს – ხოჯა დაეწია მას;

ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ფეხო ი თანთხერილ ჯგმილ-დაჩური ლიხ – ფაგო და თანთხერილი და-ძმანი არიან;

2. გუეგნეს ი ბექტას ხოჩა ლიმზობელ ხარხ – გუეგნს და ბექას კარგი მეზობლობა აქვთ;

3. ათმურზა გუნ ხოჩა ამსუალდ ლგმშრ – ათმურზა ძალიან კარგი ადამიანი ყოფილა;

4. ეჩი პეპი იზგე ლუმურყუშმ ლაშგაისგა – იმისი ნათლია ცხოვრობს კოშკიან სამოსახლოში;

5. თანთხერილ მეთხუდებრ ლი – თანთხერილი მონადირეა;

6. შეხმერზე ძახლებრს კეთილ ეშ ხოფუებ – შეხმურზას მძახლებს ქონება და სიმდიდრე უდუღოთ;

რა ჯგუფისაა ადამიანის გარდა ყველა სულიერი და უსულო სახელი:

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ოთახში დილის მზე შემოიჭრა (ო. იოსელიანი);

2. ძლიერი ქარის გამო სახლის ჭერი შეირჩა (ი. გოგებაშვილი);

3. ყურძნის ლალზე ცვარი ბრწყინავს, ვაშლს ტოტები დაუხრია (ი. აბაშიძე);

4. ღობესთან შემთხვევით ამოსულმა ატამბა ყური მოჰკრა ალუ-ბლების ჩურჩულს (ი. აბაშიძე);

- ყვავმა კენჭები შეაგროვა და სურაში ჩაყარა (ი. გოგებაშვილი);
- შორიდან მოისმა ზურნის ხმა... გახშირდა სროლა დამბახებისა (დ. კლდიაშვილი);
- ეს სიტყვები ჯერ თითქოს შორიახლოს მომდევდნენ, ქუჩა რომ ჩავათავე, მაშინდა წამომეწივნენ (ჯ. ქარჩხაძე);
- ცხენმა წყალს თავი დაანება, დაიფრუტუნა და ჭის იქით ამოსულ მწვანე ბალახებს წაწვდა (რ. ინანიშვილი);
- ურები ჭრიალით მიღიოდა და გზის პირას ეკალ-ბარდებს ედებოდა (რ. ჯაფარიძე);
- მთაში კარგი ამინდები იყო და ჯიხვს ზევით აეწია. თოვლი რბილი იყო... მთის ფერდზე ქვათა ცვენა დაიწყო, ზოგი ქვაზე ზვავსა ქმნიდა (გ. რჩეულიშვილი);

**მ ე გ რ უ ლ ი:**

- ჭყონქ თქეა: ოში წანას ცხვენს ქეგემუომუდია დო დახე დოფხუმაფექია – მუხამ თქვა: ასი წელი სხვენზე ვიყავი დადებული და კინალამ გავმხმარვარო;
- გერი ჭყიშო ქიგერენდა, შეურეუც ხვეს მუ მეჩანსია?! – მგელი თუ მწყემსად დგას, ცხვრებს ხვავს რა მისცემთო?!
- ხანგა ჯოლორის ცვალამ ქობალიშ მენდი უღუნია – გიუ ძალლს ყველიანი პურის იმედი აქვს;
- ვორწყექ ვარდი ქოხუმუნი, შურქ მა ვამაქალ – ვხედავ, ვარდი როგორ ჭკნება, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ;
- ჭუჭელს ჭუჭელგ ელაფალუნს დო კაკილარს-კაკილარია – ჭინჭრის ძირზე ჭინჭარი ამოვაო;

**ლ ა ზ უ რ ი:**

- რაკანის არ დიდი მჭკონი ქოგელადგინ – მთაზე ერთი დიდი მუხა დგას;
- კორდონი ხცერი წკარის სქიდუნ – კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს;
- ხოწი იჯიბენ მორდერი ჭუკანითე – ხორცი იხარშება მოზრდილი ქვაბით;

4. ბომბულაქ მოსა შემს – ობობა ქსელს ქსოვს;
5. აბაზაფე თის გეითუმელან ბაშლული კიშის – აფხაზები თავზე დაიხურავენ ყაბალახს ზამთარში;

ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ფაგო ეჯკბლიბ ლაწუბშ ჩუ ლი, ერე დეცე ანტყუპსეგს ხაჯეშ – ფაგო ისეთი შესახედაობისაა, რომ ცის ვარსკვლავს ჰვავს;
2. ბექმერზას ქორ ჩი ლადბლ ნათხუდარემი ლალტშ გვეში ხარ – ბექმურზას სახლი ყოველდღე ნანადირევის ხორცით აქვს სავსე;
3. ბარბალბ ლუვზერე ზურალ ლბსუ ი ქორ ი ჰეზტ-აგბმ სხრედ ლგვნე ხადდა მეჰად – ბარბალე ბეჯითი ქალი იყო და სახლი და ეზო-კარი მუდამ სარკესავით დაწერიალებული პქონდა;
4. ყარამანს მუშგვრი ერ ხოჯდენი, მეტარ ხხდად – ყარა-მანს სტუმარი რომ მოუვა, მეტისმეტად უხარია;
5. ეჯ მეთხუდბრ კოჯს ერსკნს დემე ხხცურე ი დეცე – ფირვენს – ის მონადირე კლდეში არჩვს არ ტოვებს არსად და ცაში ფრინველს;

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ხ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

|                 |                 |
|-----------------|-----------------|
| ბაღანა – ბავშვი | მუმა – მამა     |
| კოჩი – კაცი     | ჭყიში – მწყემსი |
| ცხვენი – სხვენი | ჭყონი – მუხა    |
| სქუა – შვილი    | ქობალი – პური   |
| ჯოღორი – ძაღლი  | უჩაში – უფროსი  |
| გური – გული     |                 |

## ლ ა ზ უ რ ი:

|                           |                    |
|---------------------------|--------------------|
| ბაბა – მამა               | ხცერი – დამპალი    |
| ოხოი – სახლი              | ჭუკანი – ქვაბი     |
| მანძაგერე – მეზობელი      | მორდერი – მოზრდილი |
| ზჩინი – მოხუცი (დედაბერი) | ბომბულა – ობობა    |
| ბადი – მოხუცი (ბერიკაცი)  | კულანი – გოგო      |

## ს ვ ა ნ უ რ ი:

|                        |                             |
|------------------------|-----------------------------|
| ჯგმილ-დაჩრუირ – და-ძმა | დეც – ცა                    |
| ლიმზობელ – მეზობლობა   | ანტეცტესეგ – ვარსკვლავი     |
| პეტი – ნათლია          | ლუვზერე – ბეჯითი, დაუზარელი |
| აშეტბლე – ადამიანი     | ზურალ – ქალი                |
| ლაშტგა – სამოსასახლო   | მუშგვრი – სტუმარი           |
| მეთხრუდებრ – მონადირე  | მეტარ – ძალიან, მეტისმეტად  |

სულიერია სახელი, რომელსაც საკუთარი ძალით გადაადგილება შეუძლია (ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები, თევზები):

## ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ბევრი ნაღველი შეასვეს მტრებმა ამ ჩემსა გულსაო (აკაგი);
2. ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა (ვ. გაფრინდაშვილი);
3. ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობა (აკაკი);
4. არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა (ვაჟა);
5. დახტოდა, დაჭრიჭინობდა ჭრიჭინობელა პატარა და უშრომე-უზრუნველობით მთელი ზაფხული ატარა (აკაკი);
6. ჭიშკრის ლატანებში გამძვრალ ბალახს ეპოტინებოდა რქებგაშლილი, ნისლისფერი ზარი (ო. იოსელიანი);
7. მანუჩარის მამულში, მდინარე ზანას პირას, მე და ჩემმა მეგობრებმა ვიპოვეთ უამრავი ჩონჩხი (კ. გასახურდია);

8. კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა სიონის ტაძარში და გამარჯვება უსურვა მეფესა და მის ლაშქარს (კ. გამსახურდია);

9. ტარიელს ლომი მოეკლა, მით ხმალსა სისხლი სცხებოდა (შოთა);

10. ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი – ლეკთა მოლამა (დ. გურამიშვილი);

11. და მელანდება მე მის წიაღში მოხუცი მამა ...სასხლავით ხელში დადის ვენახში (გალაკტიონი);

12. ეს თოვლია, თუ მიმინომ დააფეთა მტრედები? (გ. ლეონიძე)

13. მეგობარს ნიჭის მიხედვით არ ირჩევენ (ჯ. ქარჩხაძე);

14. ყმაწვილი წამოწოლილა ახლა ხის ჩრდილში... ცხენი გაუშვია საბალახოდ (ნ. ლორთქიფანიძე);

15. მძინარე დურაჯები მაშინ სიზმრად ხედავდნენ ოქროს ბეწვებს (ს. ცირეკიძე);

16. ცხენებით მიდიან რაჭისკენ, დედოფალი მორთულია ფარჩით და ძვირფასი თვლებით (ს. ცირეკიძე);

17. მამამ შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო (გ. რჩეულიშვილი);

18. ქერონა ჩიტი დაპერავს დაუსრულებელ გალობას, წიპრია იკლებს სტვენით არამარეს (ვაჟა);

19. უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წითვლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი მელიის შიშით (გ. ჩოხელი);

### მ ე გ რ უ ლ ი:

1. კამბეშიქ ხული ძირუა დო ლანდა ვაძირუა – კამეჩმა მხალი ნახა და ღობე ვერ ნახა;

2. ზესქეგიქ დო ზესქეგიქ წეკინდეს, ტურაქ პიჯი გიფშუა – მწყერი და მწყერი წაეკიდნენ ერთმანეთს, ტურამ პირი გაისო;

3. ცხენით მალგ კოს კუჩით მალგ ელამარქაფუდუა – ცხენით მიმავალ კაცს ფეხით მიმავალი ეტოლებოდაო;

4. თე დროს ართგ ყაზახიში ცუდეშე სუმი ნოსალეფცე გაგმოუროუმნა – ამ დროს ერთი ყაზახის სახლიდან სამი რძალი გამოსულა;

5. ახალაიაშ ჯოლორი გოშუაში ჯოლორეფს მიშალალუნდუა – ახალაიას ძაღლი გოშუას ძაღლებთან ყეფდაო;

## ლ ა ზ უ რ ო:

1. ცხენითე არ კოჩი მულუნ – ცხენით ერთი კაცი მოდის;
2. კოჩიქ-თი ხეთე ნჭარუმს ქარტალის – კაციც ხელით წერს ქაღალდს;
3. ხოჯიში ქრას არ მჭაჯი ქონოხედერეტუ – ხარის რქაზე ერთი ბუზი შემომჯდარა;
4. ბერეფექ ბაბა მუთეფეში ოდაშა ამახთეს – ბავშვები მამის ოთახში შევიდნენ;
5. ოხორჯა დაღიშა მენდახთუ – ქალი ტყეში წავიდა;
6. ბექს ნანაქ ოხორჯას მეჩაფს ფარას – ბავშვის დედა ქალს მისცემს ფულს;

## ს ვ ა ნ უ რ ო:

1. ზშესგა აშხუ ლადედ მეზგე ლადშუშას პწიპდა – წელი-წადში ერთხელ (ერთ დღეს) ყოველი ოჯახი პატიუბდა ასულებს (გვარის გათხოვილ მანდილოსნებს);
2. მახელუაჟბრ ლითოფისგა იმქარბლხ – ვაჟკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში;
3. ლახე ჭყინტ ითნი ქორისგა, ეჩქა ნახუმსპრ ხოშა ლა-ხიალბლს იჩო მეზგე – ვაჟი (ბიჭი) როცა იბადება ოჯახში, მაშინ განსაკუთრებულად დიდ ლხინს გადაიხდის მოსახლე;
4. აშხუჟინ ესნარ გვენეს უდუმბირ ცხიკისგა სგა ლახესურიდ-და დაშძუ – ერთხელ თურმე გვენეს უდაბურ ტყეში შეხვდა დათვი;
5. ტიტიშა ფამლი ლგმბრდ ლაღაშს მიჩა ლადიარბლმეყ – ტიტიაანთ მოსამსახურე (მონა) ყოფილა (ნამყოფა) ლაღამში თავის დედულებთან;

**უსულო ეწოდება ისეთ სახელებს, რომლებიც მოკლებულია საკუთარი ძალით მოძრაობის უნარს:**

## ქ ა რ თ უ ლ ი:

1. დავყნოს ვარდსა გადაშლილსა, ვუჭვრეტ ნაზად გაშლილ იას (აკაკი);
2. ცა რისხვას უთვლის დაბლა ბარს, ზღვა ერთურთს სტყორცნის ტალღებსა (ირ. ევდოშვილი);
3. სულ ჩემი გულის მონაწურია, რაც დაეპწყარა ქაღალდს ლექსბი (გ. ლეონიძე);
4. მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკგლავსა (აკაკი);
5. რტოებში ავობს ბებერი ქარი, ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს (გალაკტიონი);
6. ეს გული, სარკედ ქცეული, ბუნების ნათავსედია (აკაკი);
7. საფლავის ქვა ოდესლაც მბიმე ლოდი იყო (ს. კლდიაშვილი);
8. წამოვიდა ბურუსი და ჟრულვასავით უხილავი წვიმა (რ. ინანიშვილი);
9. თოკი ჩიბუხის ტარზე იყო გამობმული (გ. რჩეულიშვილი);
10. პირველი თოვლი სულ თხელი იყო... დილისთვის მთელი ველი დაფარა (გ. რჩეულიშვილი);
11. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატებობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდან გამომცემალ გულხავსიანს კლდესა (ვაჟა);
12. ტორტმანებდა მიწა და ფანჯრის მინებს რიალი გაჰქინდა (გ. ჩოხელი);
13. მის ეზოში უზარმაზარი წიფლის სე მოეტანა ზვავს (გ. ჩოხელი);
14. წვიმას შეუძლია, ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები (ვაჟა);

## ბ ე გ რ უ ლ ი:

1. ართგ ვარდი შარას ბბირი, ჯინც - ხუმლა, წვანც – პირი – ერთი ვარდი გზაში ვნაზე, ძირში ხმელი (გამხმარი), წვერზე - კოკორი;

- 2. მგაქუნალ გამკინწყვეტილობის და რაოდონი ცუკის გადამდობის დროში;
  - ტანსაცმელი გაიხადა და ისევ რაშის ყურში ჩაჯდა;
  - 3. არძო ოჯახის მუშ კოტო წყარი ფუნქცია – ყველა ოჯახში თავისი ქოთანი წყალი დუღსო;
  - 4. ჯა რექ და ქოთქვი, მუშმ მოკო ცოროფილ გუგოდვე – თუ ხე ხარ, მითხარი, რად მინდა შეყვარებული დაგარქვა;
  - 5. მაკირქუ დო ქაცოთ უშქური, მოხვადგ გურსე დო ეკირთვა;
  - მოისროლა ვაშლი, მოხვდა გულში და წაიქცა;

୧୩ ଅନ୍ତର୍ଗତ

1. ცხენი ირჩისთვი ნიტუ – ცხენი ქარივით მიღიოდა;
  2. მინჯეს თოფი გეუჭოფუ – პატრონს თოფი აულია;
  3. ქოთუმეს ტანის ბუნდლა აყვენ – ქათამს ტანხე ბუმბულია აქვს;
  4. ბიჭი ხამითე ჭუვალი გამაკვათუ – ბიჭმა დანით ტომარა გამოჭრა;
  5. ნოშეეის ხეი აქუ, ალთუნ დივუ – ნახშირს ხელი სტაცა, ოქროდ იქცა;

ს პ ა ნ უ რ ი:

1. აღ მურყმამ ლგმშრ ლდყურილ მურყმამ ი თხუმ ზანგლპგ ხარკენა – ეს კოშკი ყოფილა საგუშაგო კოშკი და სათავეში ზარიც (პკილებია) ყოფილა ჩამოკიდებული;
  2. ეჯ ტყუეფთე წუა სბენდიკ – იმ მხარეს მოიპოვება (იშოვება) სპონდიო (ერთგვარი მჩატე და ფაშარი ქვა);
  3. დიხსაბლდ ტაბბგთექა ანჯიდ მახე მგჯიბ ლელუ ი ქუთუბრ – დიასახლისმა სუფრაზე გამოიტანა ახლად მოხარშული ხორცი და ხაჭაპურები;
  4. ლახუბრთე მუს უკუე ჟი ლგდე ხარ – მთებზე თოვლი უკვე ლალო;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

|                  |                         |
|------------------|-------------------------|
| კამბეში – კამეჩი | წვანდი – წვერი          |
| ღანდა – ღობე     | მიკაქუნალი – ტანსაცმელი |
| ზესქვი – მწყერი  | ცუჯი – ყური             |
| ყაზახი – გლეხი   | კოტო – ქოთანი           |
| ცუდე – სახლი     | ჯა – სე                 |
| ნოსა – რძალი     | უშექური – ვაშლი         |
| გური – გული      | ცოროფილი – შეყვარებული  |

ლ ა ზ უ რ ი:

|                     |                  |
|---------------------|------------------|
| ქარტალი – ქაღალდი   | ნოჯი – ხარი      |
| რქა – რქა           | დაღი – ტყე       |
| მჭავედი – ბუზი      | ნანა – დედა      |
| ბერე – ბავშვი, ბიჭი | მინჯე – პატრონი  |
| ოხორვა – ქალი       | ქოთუმე – ქათამი  |
| ჭუვალი – ტომარა     | ალთუნი – ოქრო    |
| ნოშეები – ნახშირი   | ბუნდლა – ბუმბული |

ს ვ ა ნ უ რ ი:

|                               |                            |
|-------------------------------|----------------------------|
| ზბდ – წელი                    | მუს – თოვლი                |
| ეშტუ – ერთი                   | ქუთუბრ – ხაჭაპურები        |
| მეზგე – მოსახლე, კომლი        | მგჯბბ – მოხარშული          |
| ლაპაშუშა – ასულები            | მახე – ახალი               |
| მახელუბჟ – ვაჟკაცი            | ტაბეგ – სუფრა              |
| ლითოფ – თოვეის სროლა          | დიხსისლ – დიასახლისი       |
| ჭყინტ – ბიჭი                  | სბენდიკ – სპონდილი         |
| ქორ – სახლი                   | ტყუეფ – მხარე              |
| ხოშა – დიდი                   | ზანგლებგ – ზარი, ზანზალაკი |
| ლაპხადტლ – ქეიფი „სასიხარულო“ | მურყებამ – კოშკი           |
| აშხტუნი – ერთხელ              | ლიდდარასლ – პურობა         |

ესნარ –თურმე  
უდუშბირ –უდაბური  
ცხიკ – ტყე

ფეხმლი – მონა  
დაშესტერ – დათვე  
ლგლე – დადებული

საზოგადოა სახელი, რომელიც აღნიშნავს მრავალ ერთნაირ საგანს:

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ასკილის პაწაწა რტო ვარ, წელს პირველი ყვავილი მქონდა (ც. ბრეგვაძე);
2. დარაჯი ჯიხურიდან გამოვიდა და ჩანთიდან წითელი ალამიც ამოილო და ყვითელიც (ო. იოსელიანი);
3. ყანის თავში სპილენძის ქვაბი დაედგათ და ჭყინტ ტაროს ხარშავდნენ (ო. იოსელიანი);
4. ორმო ღრმა არ იყო, მაგრამ თოვლის ქვეშ დაცურებულ მიწას ნაპირი გაეკეთებინა (ო. იოსელიანი);
5. წერილს სამქუთხა ბეჭედი აზის. ზედ ჩენი სოფლის სახელი აწერია ქიმიური ფანქრით (ო. იოსელიანი);
6. დაუკვალავ ყანებში ისევ დგას წყალი, იზილება მიწა და კაცი და ხარი ეფლობა (ო. იოსელიანი);
7. ჩვენს სოფელს გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა (შ. დადიანი);
8. რა შეუბრალებელია კაცი! რასაც დაინახავს, უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს (ვაჟა);
9. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს (ვაჟა);
10. წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა (შოთა);
11. გოგო წყაროდან სოფლისაკენ მიდიოდა (გ. ჩოხელი);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. მეზობელს ხოჯი უზალი დო სი გაშინია – მეზობელს ხარი უსურვე და შენ მოგეცემაო;
2. ართი კილი ისირი გოლას მიკიფაფალგ – ერთი კონა ისლი მთაზე ფარფატებს;
3. ჩქიმგ ბედიში ხვამარდიქ ზღვაპიჯის ქაკმოქვიშუ მა – ჩემი ბედის ხმაბალდმა ზღვის პირას გამრიყა;
4. მერზიებულგ ქობალს ჯოლორგ ხოლო ვაჭკუმუნსია –შე-თავაზებულ პურს ძალლიც არ შეჭამსო;
5. მესიშ ჭვიმა ოქრო რე, ივანობაში – ვარჩხილი, კვირკვე-ში ჭვიმა დუდა რე, არგუსოში–დაჩხირი – მაისის წვიმა ოქროა, ივნისის-ვერცხლი, კვირიკობის თვისა - მდუღარე, აგვისტოსი - ცეცხლი;

## ლ ა ზ უ რ ო:

1. არ ავჯი ჯოლორის ტავშანი ექოლენ გამაყონუ უნტუ – ერთ მონადირე ძალლს კურდღლის (კურდღელი) იქიდან გამო-ყვანა უნდოდა;
2. ღიშქა ოკვათალე არგუნი ქევზდუ დო მთითის თის გოლჯინუ – შეშის (შეშა) საჭრელი ნაჯახი აიღო და დათვს თავში დაჰკრა;
3. იგზალენ დაღიშა დო თხა ქანოჭკივენ – წასულა ტყეში და თხა დაუკლავს;
4. ზოლაშ ღეჯის დელფინა ჯოხონს – ზღვის ღორს დელფინი ჰქვია;
5. ჩქინ ოხორჯა უწუმელო, კომში ქიდის ოსური უწუმელან – ჩვენ „ოხორჯას“ ვეძახით, მეზობელ სოფელში „ოსურს“ უძა-ხიან;

## ს ვ ა ნ უ რ ო:

1. აშხუ ხელწიფს ხორდა სემი გეზალ – ერთ ხელმწიფეს ჰყავდა სამი შვილი;

2. ნიშანზე ქა მგნაც დიპრს ბეფშუ მგშვნის ქა ხოჭდა – სალამოს გამომცხვარ პურს ბავშვი დეგუსტატორს (გამსინჯავს) მიუტანდა;

3. მუშგურისლს ეჯ მეზგაისგა ეჯ ლეთ ი მერმა ლადიდი გუნ პატიოუ ხნდე – სტუმრებს იმ ოჯახში დიდ პატივს სცემდნენ იმ ღამესაც და მეორე დღესაც;

4. ლაზურებნ გუნ ლულგუარე ტეხნის ქუინლგმგნბლ – მოიდნა საქონელი (სულდგმული) ძალზედ გასუქებული ბრუნდება;

**საკუთარია** სახელი, რომელიც ერთ რომელიმე საგანს ჰქვია. საკუთარ სახელთა ჯგუფში ერთიანდება: ადამიანთა სახელები და გვარები, მეტსახელები, ცხოველთა, ფრინველთა და გეოგრაფიული სახელები, ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობების, თხზულებათა... სახელწოდებები:

### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ღვინიას ამდენი ჩალა ერთ თვეს ეყოფა (ო. იოსელიანი);
2. გიორგი სააკაძე საქართველოსკენ მოუძღვებოდა შაპ-აბაზის ჯორ-აქლემებით აჩონჩხილ ლაშქარს (რ. ინანიშვილი);
3. ვაშლოვანში, და საზოგადოდ კახეთში, მაშინდელ დროში ... დაირებოდნენ ლეკები (ი. გოგებაშვილი);
4. პალიასტომს მზის დახედვამ კიდევ უფრო საშიში ფერი დასდო (ე. ნინოშვილი);
5. თუ არ გვიამბობ, კვირიავ, ჩამოგყრით დროშის ჭერასა (ვაჟა);
6. ვასილ ბარნოვის „თფილისის აჩრდილები” ხალხის სულიერი ტკივილების, ვნებებისა და ტრფიალების ამბავს მოგითხოობს (კ. გამსახურდია);
7. არაფერი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას დედის „იავნანა” (ნ. ლუმბაძე);
8. ჩემს ოჯახში ერთი უძვირფასესი წიგნი – რელიკვია ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის „დედაუნა” განლდათ (ნ. ლუმბაძე);

9. არლოვი გაბაღრული იყო და ისე მოალაჯებდა, თითქოს ბოროდინის ვალზე ნაპოლეონი დაეფრინოს (მიხ. ჯავახიშვილი);

10. თოთიას, მგელიკას ოჯახებში კვლავ იმედი და ღიმილი დამკვიდრდა (მიხ. ჯავახიშვილი);

11. პატრონმა ნისლას მუხლზე შემოჰკრა და აღვირი ქვევით დასწრა (ო. იოსელიანი);

12. ერთხელ გითხრა, დიოგენი თავის დიდებას კასრში ემ-ალებოდაო (ჯ. ქარჩხაძე).

13. აპრილში, როცა მტკვარი მოდიდდა, მოჭრა ორი ფიჭვი (პ. იაშვილი).

14. თუ გინახავთ უცნაური ყვავილი, ნილოსის სუნთქვით რომ ცოცხლობს? (გრ. რობაქიძე);

15. ვნახე ენგური, მოუსვენარი... მიდის, მიარღვევს მთა-ბარს (შ. დადიანი);

16. რად მიყვარს ალაზანი, შრიალა ვერხვთა შორის მოდუ-დუნე? (ი. ევდოშვილი);

### მ ე გ რ უ ლ ი:

1. გიორგი ცხონდია – ირკოჩიში მორდია – გიორგი ცხონ-დია ყველას (ყველა კაცის) ნათლია;

2. ჩხოუ მთელ სერს ზუმინუნდუ, ყურშა დო შხვა ჯოლო-რეფი ცურანდეს – ძროხა მთელი ღამე ბდაოდა, ყურშა და სხვა ძალლები ყმუოდნენ;

3. თურქეფი მანგარი ვაცოფენა, გუნებათი რენა ზურა – თურქი მაგრები არ ყოფილან, ბუნებით არიან მხდალნი;

4. მარგალი ცხენს გეხედუა დო აბგა პუხუს მაბუდუა – მეგრელი ცხენზე იჯდა და აბგა მხარზე ეკიდაო;

5. მენძელი ვაპანია, დიდი ხარგალია დო ჭიჭე „კამპანია” – მასპინძელი ვაპანია, დიდი ფაციფუცი (ხმაური) და ცოტა „კამ-პანია”;

### ლ ა ზ უ რ ი:

1. ისკანდერიქ დოგორეენ არ ჯოხო – ისკანდერს მოუმებნია სახელი;

2. ჩქინი მჯერეშ კოჩეფ პაპულიშ პაპულიქ აჯარას ალიშვეიში იქიფტუ – ჩვენი ძველი კაცები, პაპის პაპები, აჭარაში აღებ-მიცემობას ეწეოდნენ;

3. აფხაზეთიშენ არ კოჩი ბაშქა ... გურჯისტანიშა იდას—ნა, რუსეთიშა იდას-ნა, აბაზა უწუმელან – აფხაზეთიდან კაცი სხვა გურჯისტანში რომ წავიდეს, რუსეთში რომ წავიდეს, აფხაზს უწოდებენ;

4. აწი სი ხოფაშა იდა-ნა, გურჯიჯე ოღარღალუშ კოჩიშ ოშ ქოძიროვ – ახლა შენ ხოფაში რომ წახვიდე, ქართულად მოლაპარაკე კაცს ასს ნახავ;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ხეშკილ//ჰეშკილ აშხუ ჩიქქა ეზერ სოფელ ლემშრ ი ხორი გუბრ ლემზიგ: გაჯან ი ბბრუპნ – ხეშკილ//ჰეშკილ ერთ დროს კარგი სოფელი ყოფილა და ცხოვრობდა (ნაცხოვრება) აქ მხოლოდ ორი გვარი: გაგანი და ბარვანი;

2. ბექშვ ი გუეგნგ წმბ ლახუბა ლემშრხ – ბექა და გვეგნი მკვიდრი ძმები ყოფილან;

3. სოფელ ელი ჰოკერ, ჭალი პილს, მაღბუპდ სოფლიდ ლი. მეზგან ამე მერხალდ გარ იზგებ ი ამის ხაუხა აც – სოფელ ელის ბოლოში, მდინარის პირას, პატარა სოფელია, მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, ამ სოფელს ჰქვია აცი;

4. აშხუინ ესნბრ გიერგს ლესხმუშგურწნ ოთარ ოთარშა – ერთხელ თურმე გიერგს ესტუმრა ოთარაანთ ოთარი (დადეშქელიანი);

5. ჯუინალდ ლაპილს, ლაკუმი ფედიას ეშხუ მეზგე ლემზიგ ი უახად შარგანშა ხაუხენას – ძველად ლაპილში, ეკლესიის მახლობლად, ერთი მოსახლე ცხოვრობდა (ნაცხოვრება) და სახელად შარგიანი რქმევიათ;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ზ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

|                        |                          |
|------------------------|--------------------------|
| მორდია — ნათლია        | ხოჯი — ხარი              |
| ჩხოუ — ძროხა           | კილი — კონა              |
| სერი — ღამე            | ისირი — ისლი             |
| ზურა — მხდალი          | ხვამარდი — ხომალდი       |
| პუზუ — 1.მხარი. 2.კუზი | ქობალი — პური            |
| მენძელი — მასპინძელი   | ჭვიმა — წვიმა            |
| მარგალი — მეგრელი      | კვირკვე — კვირიკობის თვე |

ლ ა ზ უ რ ი:

|               |                     |
|---------------|---------------------|
| ჯოხო — სახელი | ოღარღალუ — ლაპარაკი |
| პაპული — პაპა | მჯვეში — ძველი      |
| ბაშქა — სხვა  |                     |

ს ვ ა ნ უ რ ი:

|                                   |                               |
|-----------------------------------|-------------------------------|
| ხელწიფ — ხელმწიფე                 | ლულგუარე — ჩასუქებული         |
| სემი — სამი                       | აშხურ ჩიქქა — ერთ დროს        |
| გეზალ — შვილი                     | ეზარ — კარგი                  |
| ნაბიზ — საღამო                    | წაშ — მკვიდრი, ღვიძლი         |
| მგნაც — გამომცხვარი               | ლახუბა — ძმები                |
| ლიბრ — პური                       | პოკერ — ბოლო, ძირი, დასალიერი |
| ბეფშუ — ბავშვი                    | ჭალბა — მდინარე               |
| მგშენი — დეგუსტატორი              | მადხუბა — ცოტაოდენი           |
| მუშგური — სტუმარი                 | მერხალდ — ხალვათად            |
| ლეთ — ღამე                        | ლაკუმი — სალოცავი             |
| მერმე — მეორე                     | ფერდია — ახლო, სიახლოვე       |
| უხე — სახელი                      | გარ — მხოლოდ, მარტო           |
| ქუინლგმენე — საქონელი (სულდგმული) |                               |
| ჯუინალდ — ძველად                  |                               |

**კონკრეტულია** სახელი, თუ ის აღნიშნავს რამე არსებას ან ფიზიკურ ობიექტს, რისი აღქმაც შესაძლებელია გრძნობათა ორგანოებით. **კონკრეტული** სახელები ძირეულია:

### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. მთა უარწივოდ სად გაგონილა? არწივმა მართვე საიდან გადმოაფრინოს, თუ მთაში ბუდე მოეშალა? (ნ. ლუმბაძე);
2. მზე ლურჯი ეკლესის გუმბათს ამოსცილდა (რ. ინანიშვილი);
3. გალავნის ჩრდილი წისქვილის არხზე ჩამავალ ვიწრო გზას ეფინება (რ. ინანიშვილი);
4. წიფლის ხის ნაჯახით დაჭრა ძალიან ძნელი იყო (ო. იოსელიანი);
5. ხევში ხავსისა და ხმელი ფოთლების რბილი ლეიბია ჩაგებული, ძირს დიდი ლოდები ჩანს (რ. ინანიშვილი);
6. გრძელი ზამთრის ღამეებში იჯდა ცეცხლის პირას ახმედი და ახალ ბადეებსა ქსოვდა (გ. რჩეულიშვილი);
7. ბებომ საკენკი დაუყარა ქათმებს და ისინიც რიგრივობით ჩამოვიდნენ ძირს (გ. ჩოხელი).

### ბ ე გ რ უ ლ ი:

1. ცას ჩიტი მეფურინუნდუ დო თუდო წკირს თოლუნდესია – ცაში ჩიტი მიფრინავდა და ქვევით წნელს თლიდნენო;
2. თეშ მაჯგირა ვართ აჭკადე ჭკადუსუ დო ვართ აჭინე ხარაზის – ასეთ კარგს ვერც მჭედელი გამოჭედავს და ვერც მკერავი ვერ შეკერავს;
3. ონდეთ გედერთ ქოჩორაქ, გამკგლ ჩუვანგ – ძლივს ადგა ქოჩორა, გამოიტანა ქვაბი;
4. ციხეშ კარი იშო ფართო რენია დო აშო-ინწრო – ციხის კარი იქით ფართო არის და აქეთ-ვიწროო;
5. ჭუკი ხვიმირს ვენტირედუა დო კუდელიშა კოტოს მიკმიკირანდუა – თაგვი ხვრელში ვერ ეტეოდა და უკან პატარა ქოთანს იბამდაო;

## ლ ა ზ უ რ ი:

1. გალეშე დიდი ჯაეფე ქონიბაძგაფტუ მაღარას – გარედან დიდ ხეებს მიაყუდებდა ბუნაგს;
2. მართევე მიხთე-ში მთელი მორდერი ბოზოფე დო ბიჭეუექ ხასანის დიდო გდაბგარეს – მეზობლები რომ მოვიდნენ, ყველა მოზრდილმა გოგომ და ბიჭმა ხასანს ძალიან დაატირა;
3. ოფუტეში კოჩეუ დო ოხარჯალეფე ირ ხოლ ხეფეს ქიფეფ დო კუკუმაფეთ, წკარიშ მოხთიმე ჩუმერტეს – სოფლის კაცები და ქალები – ყველანი ხელში ქვევრებითა და თუნგებით წყლის მოსვლას უცდიდნენ;
4. ბერეში ბაბა, დიდი ბაბა, დიდი ნანა დო ჯუმალეფე მუშიქ ოხორჯას ბითოუმ უყურტეს – ბაგშვის მამა, პაპა, ბებია და ბიძები ქალს მუდამ უყვიროდნენ;
5. ჭუბრიშენ კაი ნუხონდუდ – მუხა წაბლზე უფრო მაგრად ძლებს;

## ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ნესგა სურიფისგა ხოშამ ბშჩერი მურყუმშ ნშმრილუ ლეგ – შუაგულ სვიფში ვეებერთელა ქვაზე კოშკის ნანგრევები დგას;
2. ალ ზანგლაშგს ხაბ დორი ბერეშ ნაჭა – ამ ზარს აბიარების ორი ჯაჭვი;
3. ანდლაბ ლადელ ქა აჩბდ ცხეკთე ი ჟინქაჩე ჟინურა – ამაღლება დღეს წავიდა ტყეში და მოჭრა არყის ხე;
4. ჰარბყ, ლელუ ი ლიბრ მასპრდ ხულუას ი იქეიფხ – არაყი, ხორცი და პური უხვად აქვთ და ქეიფობენ;
5. ლუაჟბრ იყდის ლუნს უი ლემზერიდ – მამაკაცები ხბოს ყიდულობენ შესაწირად, შესალოცად;

**ასტრაქტულია** სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არა აქვს. იგი განკუნებულ ცნებას გამოხატავს და უმეტესად ნაწარმოებია სხვა სახელებისაგან.

## ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ახალგაზრდობა ზღაპრულ ჯადოქარს, აღსა ჰგავს და ტყეში შეტყუება იცის (ნ. დუმბაძე);
2. პალატაში სიწყნარე იყო, მაგრამ მალე ისევ დაიწყეს გვერდის შეცვლა და ხელოვნური ფშვინგა (ო. იოსელიანი);
3. სიცოცხლითა და სიმშვინიერით აღსავსე დედაქემი იქვე იღვა (ვაჟა);
4. იმ დღეს ავადმყოფობა არც გაშესენებია, მთელი დღე კარზე მეჭირა თვალი (ო. იოსელიანი);
5. ცის ღრუბლიან სიმუქეში მაინც გაარჩია ძელქვის წაჭრილი ტოტები (ო. იოსელიანი);
6. აბრავობა ისეთი საქმეა ... ჭკუა თუ აქვს კაცს, არ უნდა უნდოდეს (ჭ. ამირეჯიბი);
7. ბევრი ახირებული ადამიანია სიძველეების შემსწავლელთა შორის (გ. რჩეულიშვილი);
8. მაშინვე ჩემი ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა (ნ. დუმბაძე);
9. მწერლობა მარადიული ტკივილის დღესასწაულია (ნ. დუმბაძე);
10. ეს ორი უბედურება ქვრივს ქვით გატენილი ტომარასავით დაეცა თავზე (მიხ. ჯავახიშვილი);
11. ვალი გულგრილობის და ოფიციალობის ნიღაბში გაეხვია (მიხ. ჯავახიშვილი);
12. დანგრეულ ქოხში იმ დღიდან ორნი გავხდით. მესამე წევრად ბედნიერება ჩაგვისახლდა (მიხ. ჯავახიშვილი);
13. სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა (შოთა);
14. ბავშვობასა და ყრმობას ადამიანი ვერ შორდება (ჭ. გამ-სახურდია);
15. სიამაყემ არ დაუთმო სიცოცხლის სურვილებს (გ. ჩოხ-ელი);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. კოს კოჩანა გიღუდას, სახელი მუდგა რჯოხოდას – კაცს კაცობა გქონდეს, სახელი რაც გინდა, გერქვას;
2. ცოროფას ირო ბჭყალე, გური შემწუხებუნი, ირფელს თის ვაბრალე, მუთუნ ვეტენუჯებუნი – სიყვარულს ყოველთვის ვწყევლი, გული რომ შემიწუხებება, ყველაფერს მას ვაბრალებ;
3. სამართალი მიშუა დო უსამართლობაქ ნიჩვი ქედნატახუა – სამართალი მიღიოდა და უსამართლობამ ცხვირი ჩაამტვრიაო;
4. სორე თაქ ბედნერება, ჩილი ნათხირი პუნს, სქუალეფი მიწოცოთამილი, ბედჭვილი ვორექ საცოდარი – სად არის აქ ბედნიერება, ცოლი ნათხოვარი მყავს, შვილები – მიყრილ-მოყრილი, მე ბედდამწვარს, საცოდავს;
5. ცოროფა რე ანდაფა, თოლიშ აწოლანდაფა – სიყვარული მრავალკცია, მაგრამ წუთიერია (თვალის წამოლანდება);

## ლ ა ზ უ რ ო:

1. კენჯლული შქმი გომინდუნუ დო ჰიმ ბგორუმ – ჩემი ახალგაზრდობა დამეკარგა და იმას ვეძებ;
2. მა სკანდენი კაი ნოსი მიღუნ – მე შენზე კარგი ჭკუა მაქეს;
3. დაჩირი დო ოროფა ვა იმფულან – ცეცხლი და სიყვარული არ დაიმალება;
4. დინის – ნა გუიქთუნ კოჩიკალა მანებრობა ვარ ივენ – რჯულმოქცეულ კაცთან მეგობრობა არ შეიძლება;
5. იზმოჯეს გამათხვერი უხვენუ ვა იენ – სიზმარში გათხოვილი არ დაორსულდება;
6. ქესქინობა ალთუნიში მანჩხა რენ – სიბეჯითე ოქროს დარია;

## ს ვ ა ნ უ რ ო:

1. ღერბეთ ხოჩემი სტეტს გარ ჯაპტდის ი ნაბდნიერიუ ჯაჭრნახ – ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ კარგ სვესა და ბედნიერებასაც განიჭებდეთ;

2. მბბილშ ლიმშეღუაჟ ი ნაღმშრგი ლაპრტკდ ლტსუ ჩუ მესდე – მაბილას ვაჟეპცობა და სიკარგე (ვარგისიანობა) საარა-კოდ იყო დარჩენილი;

3. ალ დინას მგრზაფანი მაღლატ ესნბრ გუისგა ზუღუა, მარე იპუმი – ამ გოგოს თურმე მურზაფანის სიყვარული აქეს გულში, მაგრამ მაღლავს;

4. ლიბოფეშს იშეუღუნას ი გუხშნუი იქიზანალხ – ბავშვო-ბას იხსენებდინენ და გულიანად იცინოღნენ.

5. მართად ჩის გუნ ლახლატუნე თხუიმ მიჩა ხოჩა ლი-ზურალშუ, ლგხლობშუ – მართამ თავისი კარგი ქალობით, ყოვ-ლისმცოდნეობით ყველას ძალიან შეაყვარა თავი;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ხ ს ხ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

წკირი – წნელი  
ჭკადუ – მჭედელი  
ჩუანი – ქვაბი  
ჭუკი – თაგვი  
ქუდელი – კუდი  
აწოლანდაფა – მოჩვენება,  
მოლანდება

ნიჩი – ცხვირ-პირი  
ჩილი – ცოლი  
ბედჭვილი – ბედდამწვარი  
ანდაფა – მრავალკეცი,  
ქოჩანა – კაცობა

ლ ა ზ უ რ ი:

ჯენჯლული – ახალგაზრდობა  
კაი – კარგი  
ნოსი – ჭკუა  
დაჩხირი – ცეცხლი  
მანჩხა – დარი

კოჩიკალა – კაცოან  
მანგბრობა – მეგობრობა  
იზმოვეს – სიზმარი  
გამათხვერი – გათხოვილი  
ცოროფა – სიყვარული

## ს კ ა ნ უ რ ი:

ანდლებბ – ჯვართამაღლება  
უტკურა – არყის ხე  
ნესგა – შუა  
სტიჟ – სკიფი, საფიხვნო  
ბაჩ – ქვა  
ნამრიღული – ნანგრევი  
ოორი – ორი  
ბერეჟ – რკინა  
ნაჭა – ჯაჭვი  
პარაჟ – არაყი  
დიბრ – პური  
მასპრდ – უხვად, ბლომად  
ლურაჟრ – მამაკაცები  
მალატ – სიყვარული  
გური – გული  
ლიბოფშული – ბავშვობა

ლიმზირ – ლოცვა  
ლერბეთ – ლმერთი  
სტეტი – სვე-ბედი  
ნაბდნიერი – ბედნიერება  
ლიმზელუაჟ – ვაჟკაცობა  
ნალმბრგი – სიმარდე  
ლაპრბკ – საარაკო  
მესლე – დარჩენილი  
ალა – ეს  
დინა – გოგო  
ლგხბლ – მცოდნე  
ლიზურბლული – ქალობა  
ლუნ – ხბო  
მიჩა – მისი, თავისი  
თხურიმ – თავი  
ლიმპჩური – სიბერე

ნივთიერებათა სახელი აღნიშნავს ერთგვარ ნივთიერებებს, რომელთა დათვლა და ცალკეულ ერთულად წარმოდგენა არ ხერხდება. ასეთებია: მინერალების, ქიმიური ელემენტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ქსოვილების, პროდუქტებისა და სხვათა სახელები.

## ქ ა რ თ უ ლ ი:

1. იმ დღეს შეფიცულებსაც ისევე სწყუროდათ ღვინო, როგორც დამხრჩალს – წყალი (მიხ. ჯავახიშვილი);
2. წინანდალის ვაზი აყვავებული, ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა, დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული! (გ. ლეონიძე);
3. ცა ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა (გ. ლეონიძე);
4. ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო, და მის

გარშემო, წყლის ქვეშე, უცხო წალკოტი ჰყვავისო (ილია);

5. შაქრით მყავდი გაზრდილი, შენთვის ვლე კიდითკიდე (აკაკი);

6. ცრემში მილესავს ნაღველი და მელნად ის მიხმარია, შიგ თაფლი არის ნარევი და ზოგან ცხარე მმარია (აკაკი);

7. მჭედელმა ქვა წაიღო, ვუცეკვეთ, გადავაყარეთ (თავზე) ვერცხლი;

8. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა (შოთა);

9. ო, უთვალავი, რაღაც ულევი, მკერდზე ბრჭყვინავენ ვერცხლის ფულები (ა. კალანდაზე);

10. გლესავ და გლესავ, ხანჯალო, ფოლადო, ჩემო რკინაო (აკაკი);

11. როცა სახლიდან გავიდოდი, შაქარს მომპარავდა (ილია);

12. ბექა აღგა და სპილენძის კოდიდან თასით ლუდი ამოილო (გ. ჩოხელი);

13. თამარმა, აფხაზური ჩვეულებისამებრ, თითბრის ტაშტი და პირსახოცი ჩამოატარა (კ. გამსახურდია);

14. მოურავმა გადასცა ხაბაზს ფქვილი (ნ. ლორთქიფანიძე);

15. ანკარა, ჩუეჩჩუსა წყალი ამოდის აგერ და მიდის, მიედინება უქმად, უსარგებლოდ (ო. იოსელიანი);

### მ ე გ რ უ ლ ი:

1. კოჩიშ გური ჭირქა ორდუ, დუდშა წყარით ეფშაფილი – კაცის გული ჭიქა იყო, თავამდე წყლით ავსებული;

2. ქუმორთეს მემობელებქ დო ოში ქილა ქვირგ მიდელეს – მოვიდნენ მეზობლები და ასი ქილა ფქვილი წაიღეს;

3. სქანი ცვანაშ თუდო ქანაშ ორქო მუთოზეპუ – შენს ყანაში უხვად ყრია ოქრო;

4. პატი ფცით, უბირით, უსხაპით, გგნვორდვით ვარჩხილი – ვუცეკვეთ, თავზე ვერცხლი გადავაყარეთ.

5. წყარშა მიდაიცუნანს დო წყარს ვარჩანს – წყალზე წაგიყვანს, წყალს არ დაგალევინებს;

## ლ ა ზ უ რ ი:

1. ხომულა ხაჯი ქვასუმან ბიგათე – გამხმარ ლობიოს ცენტრულ ჯოხით;
2. გალეშე დიდი ჯაფე ქონიბაძეაფტუ მაღარას, თოფური გუმერ – გარედან დიდ ხეებს მიაყუდებდა ბუნაგს, თაფლი მოპქონდა;
3. ლაზუტი ოხოიშა მომალუ ვა ნაჭიშინენან – სიმინდის შინ მოტანა ვერ მოუსწრიათ;
4. აკო ალთუნი ქაგომდინით დო დაუდი დიზენგინუ – ამდენი დავკარგეთ და ებრაელი გამდიდრდაო;
5. კუჩხე წყარითე ოშუვუ გოჭკონდუ – ფეხის („ფეხი“) წყლით დასველება დაავიწყდა;
6. ჰემ ტასიში მარიტეტი: რაქი, შარაბიგვობა-ის მეორა-ის ალთუნი ივენ-ია, უწუუ. წყარი გღობა, მეორა-ის, გგმიში ივენ-ია, უწუუ – ის თასი, საიდუმლო არაყი, ღვინო რომ დაასხა, გადაღვარო, ოქროდ იქცევაო, – უთხრა, წყალი რომ დაასხა, გადაღვარო, – ვერცხლად იქცევაო, უთხრა;
7. არ ლაზი დო არ შეითანი დიეს აქარდაში, დოხაჩქე ონა არფა დო დიკა – ერთი ლაზი და ეშმაკი დამეგობრდნენ, დათესეს ყანაში ქერი და ხორბალი;
8. ჯურ ჯუმა მენდახთეს ნოღაშე, ჯუმუ დიინდრეს – ორი ბმა წავიდა ქალაქში, მარილი იყიდეს;

## ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ალ ნაზორ ჭემინს ჩუაპრაშყის ი ჟი იშხუნის ჰელშაშდ – ამ მოგროვილ ქერს არყად გამოხდიან და შეინახავენ რელიგიური დღესასწაულისთვის;
2. ალ თბშ ამ ლაშდლი ქუთუარე ნაჩდუნიაქ ხარხ – ეს ყველი იმ დღის ხაჭაპურებისთვის უნდათ;
3. ლელური აღაბ ლეტ მანკური ლელუს ხაგემს მაგ ი ეჩნოუშ ჩუ იდდარალხ – ხორციელის აღაპის ლამეს ჯერ ხორცს ჩაადგა-მენ მოსახარშად და მერე დაპურდებიან;
4. ნადდარობენ ფეტურშ ი ჭყპნი ცგრომას იჩოხ ი ეჩას

ხოგჟლის ჩი თურთ ფაქტის – ნასადილევს ფეტვის და ქონის შეჭამანდს აკუთებენ და იმას უდგამენ ყველას თითო ჯამს;

5. აღ დედბერ ლგყარუ ფატუს აუგანე – ეს დედაბერი სახურავზე ფეტვს მარგლავს;

მოქმედების სახელი აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, მაგრამ პირის გაგება არ გააჩნია.

### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს წვნაში, სახლის შენებაში (ო. იოსელიანი);

2. დათომ ხაზვა დაამთავრა, ნახაზი ფრთხილად დაახვია და კუთხეში ააყუდა (გ. რჩეულიშვილი);

3. თმებს უკუიყრის ნაკადი, ცისკენ დაიწყებს ცქერასა, შეპყურებს გაოცებული შავი ღრუბლების მღერასა, რა გულმა უნდა გაუძლოს იმ მთების გულის ძგერასა?! (ვაჟა);

4. ნელა წავიდა სუფრისაკენ, მალე შეუდგნენ საჭმლის ჭამას (გ. რჩეულიშვილი);

5. სიმინდის ტეხა ჰქონდათ, ოთხნი ამტვრევდნენ (რ. ინანიშვილი);

6. დედა ძაღლის ყეფაზე ან ხარის ფეხის ხმაზე აღებდა კარებს (ო. იოსელიანი);

7. მეორე დღეს ადრე გავედი ქუჩაში და ბინის ძებნას შევუდექი (გ. გამსახურდია);

8. ხეობიდან ნისლი დაიძრა, უშბამ ბოლვა დაიწყო (გ. რჩეულიშვილი);

9. აქ გავლაც კი ჭირდა (რ. ინანიშვილი);

10. ვგრძნობ ტფილისის მაჯის ფეთქვას და გავარვარებულ სუნთქვას (მიხ. ჯავახიშვილი);

11. თვალებში კი მტკიცე რწმენა და ბრძანება ეწერა (მიხ. ჯავახიშვილი);

12. იმ სიმაღლეზე მკაფიოდ მოისმოდა გაღვიძებული საარაკო ქალაქის დრტვინვა, გუგუნი, ქშენა, ზანზარი და სუნთქვა (მიხ. ჯავახიშვილი);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. დიფჩოქით, იბხვეწით ცუდექ ტახუა დიჭყუნი – დავიჩოქეთ, ვილოცეთ, სახლმა ნგრევა რომ დაიწყო;
2. სქან ძირაფას იფსხუნუა შუმუა-ჭკუმუა, რძღაფაშა – შენს ნახვას ვარჩევ სმა-ჭამას, ძღომას;
3. ჭიჭე ბოშე მუშ მუმას ხვეწებას დოუჭყანს – პატარა ბიჭი მამამისს ხვეწნას დაუწყებს;
4. ქორთუქ თქუა; ჭკიდიშ ჭუალა ვამიჩქ, მარა ჭვილგ ჭკიდის ქიფჩინენქია – ქართველმა თქვა; მჭადის გამოცხობა არ ვიცი, მაგრამ გამომცხვარ მჭადს ვიცნობობ;
5. ჭვალა მისგთ ვაუღუნი, ის სამგარიო ვაუტიბუნია – წველა ვისაც არ აქვს, მას სალოცავი არ წყალობსო;

## ლ ა ზ უ რ ო:

1. ოკითხუ დო ოჭარუ ვა იგურათ-ნა, ხე ჭყონდინერი, კაპულა გესიოქერი გოხთათე – კითხვა და წერა თუ არ ისწავლოთ, ხელებდამსკდარი, ზურგდაფხრეწილი იარეთ;
2. ომჩვირუ ვა გიჩქინში, წკარის მუ გორუმ – ცურვა თუ არ იცი, წყალში რა გინდა;
3. ოთქუ დო ოხვენუ არ ტასინონ – თქმა და ქმნა ერთი იყო;
4. ოძირუ ჩეთინი რენ, ოხარჯუ-კოლაი – შოვნა ძნელია, დახარჯვა ადვილი;
5. ოჭარუ გიჩქიტას დო ნოშქითენ ჭაი – წერა იცოდე და ნახშირით წერე;
6. პიჯიში ოწკუნუს ბურგულიში ოწკუნუ უჯგინ – პირის ტქივილს მუხლის ტკივილი ჯობია;

## ს კ ა ნ უ რ ი:

1. მანქური ჯგურები კათხს გთრახ, ეჩქანლო საყვანის ი ამჟღინ იბნოლდა ლითორეფ-ლილხნე – პირველად წმ. გოლოგის კათხას შესვამდნენ, მერე - საგანგებო სასმისს და ასე იწყებოდა სმა და მოლხენა;

2. ათხენლო სერ ქა ლგთიშ ზოხრალ იბნახ მურყუამთეუჟინ ლიტის – ამის მერე უკვე რჩეული ახალგაზრდები იწყებდნენ კოშკზე ასვლას;

1. უ'აჩბდ, მარე ეჭურ მამჭირად აჩბდ, ერე ლიბბჯი ი დაგრა მნე სერდე ხად – ავიდა, მაგრამ ისეთი დაზარებით ავიდა, რომ გადაბიჯება და სიკვდილი თითქმის სულერთი იყო მისოვის;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

### მ ე გ რ უ ლ ი:

|            |          |          |                           |
|------------|----------|----------|---------------------------|
| ჭირქა –    | ჭიქა     | ტახუა –  | ტყედომა                   |
| ლუდი –     | თავი     | ძირაფა – | ნახვა                     |
| წყარი –    | წყალი    | შუბუა –  | სმა                       |
| ეფშაფა –   | ავსება   | ჭკუბუა – | ჭამა                      |
| მეტობელი – | მეზობელი | რძლაფა – | გაძლომა                   |
| ქვირი –    | ფქვილი   | ჭიჭე –   | პატარა                    |
| ლალა –     | წალება   | ბოში –   | ბიჭი                      |
| მოულა –    | მოსვლა   | მუმა –   | მამა                      |
| ცვინა –    | ყანა     | ქორთუ –  | ქართველი                  |
| ბირა –     | სიმღერა  | თქუალა – | თქმა                      |
| სხაპუა –   | ცეკვა    | ჭეგდი –  | მჭადი                     |
| ვარჩხილი – | ვერცხლი  | ჭუალა –  | წვა, ცხობა                |
| ცუნაფა –   | წაყვანა  | ჭვალა –  | წველა                     |
| სმგარიო –  | სალოცავი | ზეპუა –  | 1. უხვად დაყრა<br>2. ცემა |

## ლ ა ზ უ რ ი:

შეითანი – ეშმაკი  
არფა – ქერი  
დიკა – ხორბალი  
ხომულა – გამხმარი  
საჯი – ლობიო  
გალე – გარეთ  
ოჭარუ – წერა  
ნოშქეი – ნახშირი  
ოწკუნუ – ტკივილი

მაღარა – ბუნაგი  
თოფუი – თაფლი  
ლაზუტი – სიმინდი  
რაქი – არაყი  
შარაბი – ღვინო  
ოკთხუ – კითხვა  
ომჩვირუ – ცურვა  
ბურგული – მუხლი  
პიჯი – პირი

## ს ვ ა ნ უ რ ი:

ნაზორ – მონაგროვები  
ჰემინ – ქერი  
ნაჩრუნ – შესარევი, ჩასატნევი  
ლელური აღაბ – ხორციელი  
ლეთ – ღამე  
მანგური – პირველად  
ჰეჭნ – ქონი  
ცერცა – კერძის სახელია  
ფაკტ – ჯამი  
დედბერ – დედაბერი  
ფატუ – ფეტვი  
საჭან – დღეობაზე შესრულებული სიმღერა

ჯგირწეგ – წმ. გიორგი  
ქათხ – კათხა  
ლითონე – სმა  
ლგთიშ – გამორჩეული  
ხოხტრა – უმცროსი  
ლიზი – სვლა  
მამჭირბე – ზარმაცი  
ლიბბჭი – გადაბიჯება  
დაგრა – სიკვდილი  
ლგყბრ – სახურავი  
ქან – კანაფი

კრებითია საზოგადო არსებითი სახელი, რომელიც მხოლო-  
ბითი რიცხვის ფორმით აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს,  
როგორც ერთ მთელს. კრებითი სახელი შეიძლება იყოს ძირითა-  
დი (ფარა, ჯოგი, რემა, კოლტი...). და წარმოქმნილიც (მუხ-ნარ-ი,  
ქვიშ-ნარ-ი, ნაძვ-ნარ-ი...);

## ქ ა რ თ უ ლ ო:

1. გაჩერდა მთელი ჯოგი: ყურები ცქვიტეს, უწესრიგოდ მოაწყდნენ კედლებს (გ. რჩეულიშვილი);
2. მხოლოდ ბუნდოვნად ესმოდა, რომ ხალხი ღრიალებდა (გ. რჩეულიშვილი);
3. მე ჩემი მადლიერი თაობის სახელით მოწიწებით ვხრი თავს მისი ნიჭიერების წინაშე (ნ. ღუმბაძე);
4. ფიჭვნარში დედები თავიანთ ბავშვებს დაასეირნებდნენ (გ. რჩეულიშვილი);
5. ესკადრონს ოთხი სამთო ზარბაზანი მოჰყვა, რომლებმაც ხალხი ზღარბივით აბურძგნა (მიხ. ჯავახიშვილი);
6. იმ გუნდის შუაგულიდან ისევ ცეცხლის ენა და კვამლის ვეება ბურთი გამოვარდა (მიხ. ჯავახიშვილი);
7. მთელი ჯარი ნაპირზე გადმოგდებული თევზივით ეყარა (მიხ. ჯავახიშვილი);
8. მწყემსი შეჭხარის გამაძლარ, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება ძილისათვის (ნ. ლორთქითანიძე);
9. იქ ბევრია თავისუფალი აღაგი, გადაქცეული უმცირესობის ფარების, ნახირისა და ჯოგის საძოვრად (ვაჟა).
10. ამილახვარო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია (შოთა);
11. დაბალი ბუჩქნარი ქამარივით აკრავს გარშემოს (მ. ჯავახიშვილი);
12. ის ბილიკი შედიოდა დაბურულ ზიღნარში (რ. ინანიშვილი);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. მუშა ხარხიში მაჯდვერეფი ზურათ მიორჩქუნანო?! – მუშა ხალხის წინამძღვრები მშრიშრად მიაჩნიათო?!  
2. ნემცევიშ ჯარე ქანას დოუზანზარუ – გერმანელების ჯარმა ქვეყანა შეაზანზარაო;  
3. ირი ოჭუმარეს საქონელს ტყაშა ორაცანა – ყოველ დილით საქონელს ტყეში ერევებიან;
2. ირი ოჭუმარეს საქონელს ტყაშა ორაცანა – ყოველ დილით საქონელს ტყეში ერევებიან;
3. ხალხიქ მით ოგვანუნი, ბოლოს არძა ონგარუა – ხალხმა

ვინც გაასუქა, ბოლოს ყველა აატირაო;

4. თე ჯას ფურცელქ ქედოუცუ — ამ ხეს ფოთოლი დაუცვივდა;

### ლ ა ზ უ რ ი:

1. ჩქინი ადეთი მარგალის ადეთის ნუნგაფს ... სუფთა ხალხი იქნა — ჩვენი ადათი მეგრულ ადათს ჰქავს ... სუფთა ხალხი არის;

2. ია დუნდაგიუზელი დივევეს გოწაყონუშენი არ ფათიშაის მუში ასქერი ექ დვაყვილუ — იმ მზეთუნახავის („ის მეთუნახავი“) დევებისთვის წარომევაში („დევებს წარომევისათვის“) ერთ ხელმწიფეს თავისი ლაშქარი იქ დაეხოცა;

### ს კ ა ნ უ რ ი:

1. ლახუბენ გუნ ლულგუარე ტეხნის ქუინლგმგენზლ — მთიდან საქონელი ძალზედ ჩასუქებული ბრუნდება;

2. ჩაუ ჯგლგყს სატებინ ხოჭოლდა მიშვუ მეზუბელი მახე ნანჭყაუ თუხარიკ ჩადა — ცხენების რემას წინ მოუძღოდა ჩემი მეზობლის ახლად გახედნილი თხარიკი ცხენი;

3. ნეცინ მანგბრს: დაწელს, ლუელდაქს ი მეშვს ჩი ლადბლ ხელდელს მგლდლა — წვრილფეხა საქონელს — თხას, ცხვარს და მეწველს — ყოველდღე მწყემსავენ მწყემსები;

4. ეჯ ტყუეფთო მეთხუიბრ იმ მრმ ათასდა — ლეწუერს, ლეგაბას, ლელუმერს, უეშგიმბილს სგანთქმდგნენა ულუმბირ ცხეკოესგა — იმ მხარეს მონადირე რას არ გადასწყდომია — წიფლნარს, ფიჭვნარს, ნაძვნარს და ბოლოს კი უდაბურ ტყეში მოხვედრილა;

5. ჭალბას ეჩხანჩუ ი ამხანჩუ ლებგლებჩ ესჭიმ — მდინარეს ორივე მხარის ნაპირებზე მურყნარი გასდევს;

6. მერმა ლადბლ ანგანხ უ ი აჩბდხ აფხზეთი ლახუბ-რთე, ამეჩუნ მასბრდ ოთლეხ ესნბრ ქუილგმგენები ჯტეგ, ჩაუ ჯგლგყ, ი დაწლბშ ი ლუელდაქს ჯუეგბრ — მეორე დღეს ადგნენ და წავიდნენ აფხაზეთის მთებში, აქ თურმე ბლომად წაართვეს ცხენების რემა, თხისა და ცხვრის ჯოგები;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ზ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

|           |            |         |          |
|-----------|------------|---------|----------|
| ხარხი     | ხალხი      | გვანაფა | გასუქება |
| მაკლევერე | წინამძღოლი | ნგარა   | ტირილი   |
| ზურა      | მშიშარა    | ჯა      | ხე       |
| ქანა      | ქვეყანა    | ცუმა    | ცვენა    |
| ოჭუმარე   | დილა       | ირი     | ყოველი   |
| ტყა       | ტყე        | არძა    | ყველა    |
| რაცუა     | გარეპვა    |         |          |

ს ვ ა ნ უ რ ი:

|          |             |            |           |
|----------|-------------|------------|-----------|
| ჩქე      | ცხენი       | ლუელდჭქ    | ცხვარი    |
| ჯგლგჷ    | ცხენის რემა | დაბგლ      | თხა       |
| სგუებინ  | წინ         | მეშგ       | მეწველი   |
| მიშგუ    | ჩემი        | მგლდლა     | მწყემსები |
| მახე     | ახალი       | ლეწუერ     | წიფლნარი  |
| ნანჭყარტ | განახედნი   | ლევგიბ     | უიჭვნარი  |
| ნეცინ    | წვრილი      | ლელუმერ    | ნაძვნარი  |
| მანგბრ   | მსხვილფეხა  | უეშგიმბილს | ბოლოს     |
| ლებგლყბჩ | მურყნარი    | ლეშთხგნდა  | თხილნარი  |

კნინობითია წარმოქმნილი სახელი, რომელიც ძირეული სიტყვით აღნიშნულ საგანს შემცირებულად წარმოგვიდგენს. კნინობითი ფორმა ხშირად აღერსობითის მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ქ ა რ თ უ ლ ი:

- მმა ყველაზე მიყრუებულ ოთახში გადაემალა ქალუკას, რათა მამის უცაბედ განრისხებას არ შესწიროდა (ო. ჭილაძე);
- მერე, რაკი ნიკალამ ჰყითხა, რაზე დაგემართა ასეთი რა-მეო, მხრები აიჩეჩა (რ. ინანიშვილი);

3. იაგორამ გაზეთის ქაღალდში შეახვია ორი ცალი (რ. ინანიშვილი);

4. ჩემი ბიჭუნა დედასთან არის, სოფელში (რ. ინანიშვილი);

5. ის კატა ჯერ თითქო ნამდვილი კატის კნუტს ჰგავდა – შინაურ კატუნის, წენარსა და ფრუტუნას (მიხ. ჯავახიშვილი);

6. საით გამორბის წყალუკა თეთრი? (ა. კალანდაძე);

7. ვტაცე ხელი ამ ჭუკელას და წმოვედი (ნ. ლორთქიფანიძე);

8. ზლაზვნით მოდიოდა გოგიელა, თითქოს მიწაშია ჩაჭედილი და ფეხების ამოღება უჭირსო (ნ. ლორთქიფანიძე);

9. ოჳ. გლახუკას გაუმარჯოს, ჩემს გლახუკას! (ილა);

10. მე და ცირუნიას ერთი პატარა ოთახი დაგვიტოვეს (კ. გამსახურდია);

11. გვერდზე უნდა გადაეხვია და კლდის ძირას მეორე ქვაბუნა გპოვნა (ო. იოსელიანი);

12. ეფრემას თავისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უნახავს მანქანა (გ. ჩოხელი);

13. სინამდვილეში ყველანი პატარა, სასაცილო კაცუნები ვართო (ჯ. ქარჩხაძე);

14. გატუნია, მეუბნება იგი – კარგად დამიგდე ყური (გალაკტიონი);

15. ამ გოგონამ გულში ჩაიკრა ოქროსთმიანი ცისფერთვალება... დედოფალა (ს. კლდიაშვილი);

16. ნუნუკას მართლა გაუხარდა, ჩემი ბავშვობის ამზანაგირომ ნახა (ჯ. ქარჩხაძე);

მ ე გ რ უ ლ ი:

1. ნანაია, ეს მუსი რე ვორწყექნი! – დედა (დედიკო), ამას რასაა, რომ ვხედავ!

2. სი მუ გოკოდუა, ჯიმაია, აქი? – შენ აქ რა გინდოდაო, ძამიკო?

3. თუნთიქ მიგერუდა ბაბაჩია ოკო დოუმახევა – დათვი თუ მოგერია, ბაბა (მამიკო) უნდა დაუმახოო;

4. ნანაიას ბაბაია ტყურათ ვაცქეანსია – დედიკოს მამიკო ტყუილად არ აქებსო;

5. სი ქუგორლუაფუდას მიკი-მიკი სქანი დედუჩია – შენ შემოგევლოს (ყოველმხრივ) დედაშენი (დედიკო);

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. კადუისგა უწნესელვაწნ ზგნსგა ქათლიდ ი ლტბინე ლიტუ-ლი – მუცელში გაცოცხლდა ნახევარქათამა და დაიწყო ძანილი;

2. ალ ციცულდ ამნემდ ღულშრუ ესსეგურე ი ლიფტშეტუ რხბინე – ეს კატა ამან კალთაში ჩასვა და მოფერება დაუწყო;

3. ბოფშპრ ლებგლეჭხნექუა ხელდელს ესნპრ ნელშტგლპრს ი ჟინღლდაბრს – ბავშვები მურქნარში მწყემსავენ თურმე თიკნებსა და ბატქნებს (თიკანუკებს და ბატკანუკებს);

4. ხოხურა უდლიდდ მშხდადშტ ლისტბი-ლილრშლ ლტბინე – უმცროსმა დაიკომ სიხარულისგან ცეკვა-სიმღერა დაიწყო;

5. უიბე ლახტუს ხოხურა ქუტბილბრ ლიხ ი ეჩხენეუ ეჯუე ხორა ბიქულდაბრ ხობელეხ – ზემო მთაში პატარ-პატარა გამოქვ-აბულებია და იქიდან ისეთი სასიამოგნო ქარები ქრიან;

6. სემი მუხბეხნენქა ლტშიალხან ეშხურილ ეჯა გარ ღალ შმტეხელი – სამი მმიდან ერთი ისლა დაბრუნებულა ომიდან შინ;

7. მაპურენე მუხუბე სგა ლოხგუდირდა რტშილდს ი ეშხუი ლგზბდ ლტსუ – უმცროსმა მმამ ხელი მოჰკიდა რაშს: იყო მხ-ოლოდ ერთი წლისა;

8. ნაუადოლდ მეუარ ადხიდე მიჩა ქორშბლ ი მიჩა მუნუადა-ლა – ნანატრმა მეტისმეტად გაახარა მისი ოჯახის წევრები და მისი გამნებივრებლები;

9. ქშდფიშე ათხ'ამნებ ლტრტყ ი ა ლგშეტდ ხანჯრელ ხებ უოქურეშ – მოიხსნა ამან ქამარი და წელზე არტყია მოჭედილი ოქროს ხანჯალი;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ზ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

ნანაია — დედიკო  
რწყება — შეხედვა,  
ყურება, დანახვა  
კორინი, კორინაფა — ნდომა  
ბაბაჩია — მამიკო  
გოლუაფა — შემოვლება

ჯიმაია — ძამიკო  
დოძახინი — დაძახება  
ჯუდა, ჯუნა — კოცნა  
ტურა — ტყუილი

ს ვ ა ნ უ რ ი:

ქტდ — მუცელი  
ხგნისგა — ნახევარი  
ქთლიდ — ქათამი  
ლიტული — დაძახება  
ციცულდ — კატა  
ლულარ — კალთა  
ლიფტშეგურე — ხელის გადასმა, ფერება  
რაშ — რაში  
ნაუად — ნანატრი  
ხოხტრა — უმცროსი  
უდლიდ — და დისთვის  
მჭდად — სიხარული  
ლგშეკვდ — მოჭედილი

ლისტბი-ლილრაშლ — ცეკვა-სიმღერა  
ქუბილ — გამოქვაბული  
ხოჩა — კარგი  
ბიქუ — ქარი  
მაპტრენე — ყველაზე პატარა  
მუხტბე — ძმა ძმისთვის  
ნელშტგლ — თიკანი  
ჟინღლდ — ბატკანი  
ქორშბლ — ოჯახის წევრები  
მუნუბდი — გამნებივრებელი  
ლპრტყ — ქამარი, სარტყელი  
ლგნქროუე — მოქროვილი

წინავითარებისაა სახელი, რომელიც აღნიშნავს, თუ რას წარ-  
მოადგენდა საგანი წინათ, ან როგორია ის წინანდელთან შედარ-  
ებით.

## ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ფრთხილად ვაცლი ყოველ ნაწება ყავარს, ზოგს წელი აქვს ნალურსმნალთან დაფუტურებული (ო. იოსელიანი);
2. ხარს ვგავარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ (ვაჟა);
3. აჩქარებით გადაიარა ნაეზოვარი მიქელამ (დ. კლდიაშვილი);
4. სათაა ტყეულად, სათამაშოდ გასაოხრებელი ნაშარვლარი ან ნაპერანგალი (ო. იოსელიანი);
5. ძალიან უწყობდა ხელს თავის გუნებაში დათია თავის ნაბატონარს (დ. კლდიაშვილი);
6. ლაფაროში სახურავის ნაწვეთარი რომ არ ჭყაპუნობდეს, თითქოს არც წვიმს (ო. იოსელიანი);
7. მისდა იღბლად ... როსტომს შერჩა ერთი ნაყმევი (დ. კლდიაშვილი);
8. ნავენახარი გვაქვს გასათოხნი, გვალვამ მოგვისწრო (ო. იოსელიანი);
9. აბა შიშიანობა თუ იყო, მაშინ იყო, როცა ნაკვალევიც ნახეს ...ნაკბილარიც (ო. იოსელიანი);
10. ხან ეს ტოტი ჩამოამტვრია, ხან ის და მაინც თავისი ქნა – ნატოტვარზე ჩვენ ამოგვიყარა – შვილიშვილები (ო. იოსელიანი);
11. ვახტანგი ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა! თუ ნადირის ნატერთუალი მეფის ტერთს არ ტოლობს (გ. მაჭავარიანი);
12. მე და ბებიას შავი ძროხა ნავენახარის გადაღმა, დახრამულ მინდორზე, მარტონი დავრჩით (ო. იოსლიანი);
13. იმის ნაფეხარს და ნახელავს ბოლის და მტვრის კორიანტელი ასდის (გ. ჯავახიშვილი);
14. იღვიძებს მიწა და ნაზამთრალი სიზმრები მზის სხივებში ცხოველდება (გ. ჩოხელი);
15. მეორე დღეს ისე დაიფანტა ცხვარი, რომ ნატერთუალიც ვერ ნახეს (ნ. ლორთქიფანიძე);
16. ნასოფლარია, თორე სოფელი რომ იყოს, ძაღლი დაიწყებდა ყეფას (გ. ჩოხელი);

17. ნამეხარ გულზე ზელი მიიღო, თითქოს შემაგრება ეწადა (მ. ჯავახიშვილი);

18. მთვარეულივით დავემზობი თბილისის მიწას და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვპოცნი (ლ. ასათიანი);

19. ჩამოსძახოდა ლურჯთვალა იებს ნამეხარი მუხა (გ. ჩოხელი);

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. ნაგოლოფუს კარი გოუნჯი, ნაჭოროფუს – დუკილე – ნაგვალევს კარი გაუდე, ნესტიანს (ნაწვიმარს) – დაუკეტე;

2. პერტაიეფიში ნოხორის ახალაიეფქ ქიგიხორესია – პერტაიების ნასახლარზე ახალაიები დასახლდნენ;

3. ათენეფს უღუნნია ჯვეში ქისეფი, მუაჩქმიში ნაზითური – ამათ აქვთო ძველი ქისები მამაჩემის ნამზითევი;

4. სორდიეფიში ნადიხუსუ ცვანა ქიგიოთასესია – სორდიეფის ნამიწარზე (ნასახლარზე) ყანა დათესესო;

5. ათე ნაინჭის გერთ ჯაქ, მოსავალს მიღანდუნი ფერ ჯაქ – ამ ადრე ჭის ადგილზე აღმოცენდა ისეთი ხე, მოსავალს რომ მოიტანდა;

### ს ვ ა ნ უ რ ო:

1. ფელტბრა პდგილბრ ლიხ ი ათხევ ჟი ზეთრა ჯუინლიშ ჯუინელ ნბლზიგუბრ –დამრეცი, ფერდობი ადგილებია და ახლაც ეტყობა ძველისძველი ნამოსახლარები;

2. დოსგ ახაგანხ ლაჯბნს, მარე გიმ ლგმპრ ნალდაბუ ხუშდ ხსნდშ უმშია ი მეუარ ხოლა ლექნი ლპსუ – დილაუთენია შეუდგნენ ხვნას, მაგრამ მიწა ყოფილა ნაყნარი, დიდი ხნის დაუმუშავებელი და ძალზედ ცუდი დასახნავი გამოდგა;

3. ზარდლბშთე მეზი მპნკუიდ ხეწდენი კგლთხი მურყუმბლს, ეჩქანდო ნბლზიგუბრს, ნბმრილუბლს, ნაქრულდბრს – ზარდლაშში ამსვლელი პირველად მაღალ კოშკებს დაინახავს, მერე – ნამოსახლარებს, ნანგრევებს, ნასახლარებს;

4. ლელჰენ გირკიდ ნალქურლიდბრი ფიშირ ლიხ ი ეშხუ-ორი ლექტერ ათხედ ჩუ ლეგ – ლელის ირგვლივ ნაწისქვილ-არებიც ბევრია და ერთი-ორი წისქვილი ახლაც დგას;

5. ნალგრტამ (შდრ.ძვ.ქართ. ძგილი) გიბ გუნ ლიგგნე ლპსუ, ამღა მერმა ზაუ მაჯად ი მეტარ ხოჩა ანჯად – ნაბოსტნარი მიწა ძალზედ იყო გაპოხიერებული, ამიტომაც მოსავალი მეორე წელს ძალიან კარგი მოვიდა;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ხ ს ნ ა

### მ ე გ რ უ ლ ი:

|                      |                                       |
|----------------------|---------------------------------------|
| ნაგოლოფუ – ნაგვალევი | ნაჭოროფუ – ნესტიანი, ნაწვიმარი        |
| ნოხორი – ნასახლარი   | ჯვეში – ძველი                         |
| მუჩქიმი – მამაჩქიმი  | ნაზითური – ნამზითევი                  |
| ნადიხუ – ნამიწარი    | ცვანა – ყანა                          |
| თასუა – თესვა        | ნაინჭი – ადგილი,<br>სადაც ადრე ჭა იყო |

### ს ვ ა ნ უ რ ი:

|                                 |                             |
|---------------------------------|-----------------------------|
| ფელტარა – ფერდობი, დამრეცი      | კელთხი – მაღალი             |
| ნაბლიგუ – ნამოსახლარი           | ნამრიღუ – ნანგრევი          |
| ლოსგ – ადრე                     | ნაქულდბრ – ნასახლარები      |
| მარე – მაგრამ                   | ლელჰენ – ლელე, რუ           |
| გიბ – მიწა                      | გირკიდ – ირგვლივ            |
| ხტეშ – ბევრი                    | ფიშირ – ბევრი               |
| უშმა – უმუშევარი, დაუმუშავებელი | ეშხუ-ორი – ერთი-ორი         |
| მეტარ – ძალზედ, მეტისმეტად      | ლექტერ – წისქვილი           |
| ხოლა – ცუდი                     | ნალგრტამ – ნაბოსტნარი       |
| ლექნი – დასახნავი               | მაჯად – მოსავალი            |
| მეზი – წამსვლელი, მგზავრი       | მანქურდ – პირველად          |
| ნალდაბუ – ნაყანევი              | ნალქურლიდ –<br>ნაწისქვილარი |

## გეოგრაფიული სახელები

### ქ ა რ თ უ ლ ი ა:

1. ეს ადგილი კრატინისია! დაისთავან ქართლისათა რიგით ბოლო დაისია (მ. მაჭავარიანი);
2. მტრული აშოროს მზერა ... ჯვარი სწერია გელათის (მ. მაჭავარიანი);
3. ახლოა ძეგლი საათაბაგო, ორ ნაბიჯზეა აქედან სამცხე (ა. კალანდაძე);
4. საციციანოს არბევდა ქარი, ისმოდა მისი ზათქი და ბორგვა (ა. კალანდაძე);
5. გულმცემული გიორგი დადიოდა აფხაზეთში, სამცხესა და ქართლში (კ. გამსახურდია);
6. აგონძება რუსთი... საკონცერტო დარბაზი, ამხანაგები... ოცნება საქართველოზე (ს. ცირეკიძე);
7. გამოჩნდა გელათი, რიონის ჭალა (ს. ცირეკიძე);
8. წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა (შოთა);
9. იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი (შოთა);

### ბ ე გ რ უ ლ ი ა :

1. სამარგალო გვალო შხვა რე, ჩქიმი დიდა დო ჩქიმი მუმა რე – სამეგრელო სულ სხვაა, ჩემთვის დედაცაა და მამაც;
2. გოლა ხეთას გოხოლუდი., გოლასერი – ჭალადიდის – გუშინ ხეთაში გახლდი, გუშინწინ – ჭალადიდში;
3. მიდართეს ილორშა გინაჩამშა, დიდგ ოჭკადგრეშა – წაგინდენ ილორში გადასაცემად, დიდ სამჭედლოში (სამჭედლო ხე, გადასაცემი);
4. აბრაგიქ გაგნორთუ სათურქეშა დო თექი ქიდიხორუ – აბრაგი გადავიდა თურქეთში და იქ დასახლდა;
5. ჭინჭას ხასლა გელამწყი დო ინგირი გებობგი ემერი – ჭინჭრაქას ფერდი ამოვაძვრე და ენგური გავბოგე;
6. კულეს კოჩი ლახეს დო ჯვარს გურქ მოურთუა – კულეში კაცი ცემეს და ჯვარში გული მოუვიდაო;

## ს კ ა ნ უ რ ი:

1. კუთხიალდ აშხუ დრეტურინ ოთარშა ბმჩედს აფხზეთი ლახუპროცე ქუინლგმგენემიშ ი მპნცინი ლალეშგალოე – ძველად, ერთ დროს ოთარისანნი (დადეშქელიანები) აფხაზეთის მთებში წასულან სულდგმულისა და წერილფეხა საქონლის წასართ-მევად;

2. ლეპნა მახად გარ ნაზუ ხუსტ ყარჩათე ლაშლზიგანლდ – შარშან სამოსახლოდ ახალი გადასული ვიყავი ყარაჩაი-ჩერ-ქეთზეთში;

3. დალ მეუარ ხოჩა ლამვბდიან ტყუეფ ლი – დალის ხეობა ძალიან მოსავლიანი შხარეა;

4. მახედუაჟიპრ ლინთრისგა ღურდახ ზანთე, გუირდათე ი იმრეთთე, იმუშა ხოჩა ლემშაუ ი ლაშქა ხეთხოლახ, ეჩხაუ – ზამთარში მამაკაცები მიღიოდნენ სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში, სადაც უკეთესი სამუშაო ეშოვებდათ;

5. ზაულადადლ სბუთე ღურდახ, ეჩე დარუ დოშდულმახა ირაგახ ი ეჩხან ხაბნბრს ი გიცრბრს კიდახ – ზაფხულობით ჩრდილოკავკასიაში (სავეთში) გადადიოდნენ, იქ ორ თვეს (ორ ახალმთვარეს) დაპყოფდნენ და იქიდან მოზვრები და ვერძები გადომოჰყავდათ;

6. კლუხორი თანბლ დალეშ ტუიბიშ ი ყარჩა ნესგა ლი – კლუხორის უღელტეხილი მდებარეობს დალის ხეობასა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს შორის;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

### ბ ე გ რ უ ლ ი:

სამარგალო – სამეგრელო

ჩემი – ჩემი

ხოლმა – ხლება, მყოფობა

ოჭკადგრე – სამჭედლო

ჭინჭა – ჭინჭრაქა

გვალო – სულ

გოდა – გუშინ

გოდასერი – გუშინწინ დამე

თექი – იქ

ხასლა – ფერდი

|                      |                            |
|----------------------|----------------------------|
| ელანწყუმა — ამოძრობა | ბოგუა — გაბოგვა            |
| ლაპუა — ცემა         | გურიშ მოულა — გულის მოსვლა |

ს ვ ა ნ უ რ ი:

|                                       |                      |
|---------------------------------------|----------------------|
| ჯტინალდ — ქველად                      | ზპნ — სამეგრელო      |
| მშცინ — წვრილფეხა                     | ზატლადედ — ზაფხული   |
| ლილეშგვლ — წართმევა                   | ლეჭა — გასულ წელს    |
| ლტბლზიგბლდ — სამოსახლოდ               | საბნა — მოზერი       |
| გიცპრ — კერძი                         | ლინთუ — ზამთარი      |
| თანბლ — უღელტეხილი                    | დერა/დერე — მყინვარი |
| სპუ — ჩრ. კავკასია, ყაბარდო-ბალყარეთი |                      |
| დოშდულ მახე — ახალი მთვარე            |                      |
| ლამჭბდიბნ ტყუეფ — მოსავლიანი მხარე    |                      |
| დალდშ ტუიბ — დალის ხეობა              |                      |

## 2. გრამატიკული რიცხვი:

ქართველურ ქვესისტემებში სახელსა და ზმნას მოეპოვება საერთო კატეგორია — **გრამატიკული რიცხვი**, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ოპოზიციის ორი წევრი: **მხოლობითი** და **მრავლობითი**. გრამატიკულ განსხვავებას მათ შორის ქმნის მრავლობითი რიცხვის ფორმანტი. მრავლობითი რიცხვი ოპოზიციის მარკირებული წევრია, რითაც იგი უპირისპირდება მხოლობითს (ოპოზიციის არამარკირებულ წევრს); ამ წესს ქართველურ ქვესისტემებში გამონაკლისი არა აქვს.

ქართული სამწერლობო ენის განვითარების მთელ მანძილზე მრავლობითობის გამოსახატავად სახელებში დადასტურებულია სამი ფორმანტი: -ებ, -ნ, -თ; ამათგან -ნ და -თ ერთ სისტემაში ფუნქციონირებს, -ებ სუფიქსის ადგილი კი განსაზღვრულია ამოსაგალ ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის.

## მხოლობითი რიცხვი

1. მთვარე რომ ამობრწყინდება, გული გაფრენად მზად არის  
(ა. კალანდაძე);
2. და შედგა ჩემი ბედის ბორბალი, შეჩერდა შენი თმით  
დახლართული (გრ. აბაშიძე);
3. ტყებ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყივის (ილია);
4. ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი შორეულ ქალის, მომაკვ-  
დავ გედის (გალაკტიონი);
5. ბაგით ყვავილის მტვერს ამიზიდავს სუსტი ფუტკარი  
(ა. კალანდაძე);
6. მხედარს ბრძოლა გარდეხადა, ახლა ცერზე ქორი უჯდა  
(ა. კალანდაძე);
7. შვილო, რად სტირი ნეტარა, რა უბედობა გეწვია? (ვაჟა);
8. წიწილის თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავსა  
(ვაჟა);
9. ალბათ, აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი  
(ილია);
10. სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების (ნ. ბარათაშ-  
ვილი);
11. მდინარევ, ჩემის მშობლიური მთის ცრემლით შემდგარო!  
აწ შენს კიდეზე ვდგავარ, დაგცქერ მე, მეგობარო! (ილია);
12. თავგამოდებით გალობდა შაშვი და სხივთა მთოვარს  
ეთხოვებოლდა მზეს ნაძვის წვერი ... წითელი იყო ცა, ეზო, ოდა,  
წისქვილი, შქერი (ა. კალანდაძე);
13. სარკმელს ურიცხვი ენარცხვის მუმლი, ბებერი კომში  
წაქცევაზეა (მ. მაჭავარიანი);
14. უანგმა თქვა: ვიდრე მე რკინა შევჭამე, დარდმა გული  
უკვე მოინელაო (ანდაზა);

## **მრავლობითი რიცხვი**

1. სოფელი ზევიდან უცქერის ციტრუსების ბაღებს, ბაზუკების ტყეებს, ჩაის გრძელ პლანტაციებს და ზღვას (ო. იოსელიანი);
2. თეთრ ზამბახების დგანან ფარდები, გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს (ტ. ტაბიძე);
3. გაფრინდა ბავშვობის დღეები, მინდვრები, ჭალები, ტყეები (გალაკტიონი);
4. მდინარეში რომ ჩახტე, ტალღები ნაპირებს შეეხლება (ო. იოსელიანი);
5. ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი, ნუკრის თვალებით, თმით მიმოზებით (გალაკტიონი);
6. თოვლი გადნა და ზეებმა თვალების მსგავსად ყლორტები გახსნეს (ს. ჩიქოვანი);
7. რა ლამაზია, წყეულო, შენს ზვირთთა ლალი ჩქერანი (ვაჟა);
8. რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა? (ა. კალანდაძე);
9. კიდევაც ვნახავ, უხვადა ვარდნი, იანი ჰყვაოდნენ (ვაჟა);
10. ვარდთ შემოუნახავთ წვეობი წვიმის, გზაც ნაწვიმარია (ა. კალანდაძე);
11. გზაზე შემომხვდნენ მე ასულნი მწუხარე ლიმილით (ა. კალანდაძე);
12. შეარხევს რტოთა ნიავი მშვიდი (ა. კალანდაძე);
13. ხმობენ კაკბები, სურნელთ მაკმევნი, როკვენ ყვავილნი, თვრებიან ველნი (ა. კალანდაძე);
14. ჭაბუქნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ .. არ დაიჩნიოთ შავის ბედის მსწრაფნი ლახვარნი (ნ. ბარათაშვილი);
15. მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავის წინ, გმირო მხცოვანო და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ, ხმოვან! (ნ. ბარათაშვილი);

## მ ე გ რ უ ლ ი

მეგრულში მრავლობითობის ძირითადი სუფიქსია ქართული ებ'ის კვივალენტი -ეჟ, რომელსაც მოთხოვობითსა და მიცემითში ენაცვლება -ენ და -ემ აღომორფები. ხმოვანფუძიან სახელთა ერთ ნაწილში ფუძესა და მრავლობითი რიცხვის ფორმანტს შორის შეიძლება გაჩნდეს -ლ და -ლ ელემენტები (ჯიმა-ლ-ეფ-ი//ჯიმა-ლ-ეფ-ი.. „ძმები“).

## მხოლობითი რიცხვი

1. ე ბოშიქ გინატუ ღურაშე ე ირემი – ამ ბიჭმა სიკვდილს გადაარჩინა ეს ირემი;
2. ბაწარი ვით ორგია წყუშე გეშეღ კოჩქ დო ეჩი ორგიას ქედნაცოთუ – ბაწარი ათი მხარი ჭიდან ამოიღო კაცმა და ოც მხარ ჭაში ჩააგდო;
3. მარა თე ამბე სოლედგარენ ქოუგინაფუ ათე მაფაში მოარჩეს – მაგრამ ეს ამბავი საიდანლაც გაუგა ამ მეფის მოსამ-სახურეს;
4. თუნთის სხაპუა ვადაშვენს, ბიწების გიორთუდასუნი – დათვს ცეკვა არ დაშვენდება, ცერულსაც რომ უკლიდეს;
5. ბრელ კოს მუში ხე დო მუშ ბირგული ნათხუა აფუნია – ბევრს თავისი ხელი და თავისი მუხლი ნათხოვარი აქვსო;

## მრავლობითი რიცხვი

1. თითო მართახი მუშ ჯიმალენს ქეგნოცუნუ დო მიდართუ – თითო მათრახი თავის ძმებს გადააწნა და წავიდა;
2. გოლეფი ენგორჯვეგიმინანა, ჩაით გინოქუჩუჩელი – (ბრეგე) მთები ამაყად მიყურებენ, ჩაით გადაქოჩილები;
3. შხური ჯოლორეფს ძალით ითხოზინუანსია – ცხვარი ძალებს ძალით იდევნებსო;
4. მუჟამს ბოშის ღონექ ქიმიაჩუნი, ტარიელემქ გეგნაცოთეს ოფორალი – როცა ბიჭს ღონე მიეცა, ვაჟეკაცებმა მოხსნეს გა-დასაფარებელი;

5. თხალეფს ჭყვადუა ქიმადირთუნი, ქალეფს დუჭყანანია ჩხარკაფის – თხებს გაწყდომის დრო რომ მოადგება, რქებს დაუწყებენო ჩხაკუნს.

ლ ა ზ უ რ ი

ლაზურში სახელთა მრავლობითობა ფორმდება ფონოლო-გიურად შეპირობებული ორი ალომორფით -ჟე და -ეჟე. ჟე ერთვის ა, ე, ო და უ ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, -ეჟე დაჩნდება ხმოვნით დაბოლოებულ, ანუ წარმოშობით თანხმოვან-ფუძიან სახელებს. ხმოვანფუძიან სახელთა ერთ ნაწილში ფუძესა და მრავლობითი რიცხვის ფორმანტს შორის შეიძლება დააჩნდეს -ლ- ელემენტი და ამ შემთხვევაში მრავლობითის ნიშანი -ლეჟე ფორმანტით წარმოგვიდგება.

### მხოლობითი რიცხვი

1. ხოჯა სუმ ეშეღი ქუონურტუ – ხოჯას სამი ვირი ჰყავდა;
2. ხოჯა თხომბუშა ქეხთუ – ხოჯა თხმელაზე ავიდა;
3. გზა კოჩი ნჯავ – გზაზე კაცი წევს;
4. ლემლო-ოლლიმ... ქომეკორუ ძიგარა და ნუსა მუში უწუ-ჩე – ლემლი-ოლლიმ გაახვია პაპიროსი და თავის რძალს უთხრა;
5. შქიმი ასეური სი მუჭო დოლვოჭუნარ დო ჩარ – ჩემს ჯარს შენ როგორ ჩაცმევ და აჭმევ?
6. არ ლაზი და არ შეითანი დიეს აქარდაში – ერთი ლაზი და ერთი ეშმაკი დამეგობრდნენ;
7. ოხორჯა იგზალუ ოხორი მუშიშა – ქალი წავიდა თავის სახლში;
8. უური ჯუმა მენდახთეს ნოლაშე, ჯუმუ დიინდრეს – ორი მმა წავიდა ქალაქში, მარილი იყიდეს;
9. არ მოუთი, მკდაფუ დო მგეი აქადაში დიყვეენან – ერთი დათვი, ტურა და მგელი დამეგობრდნენ;
10. დევექ მონდრიკუ დიდი ნჯა დო მუსტაფას უწუ-ქი – დევმა მოდრიკა დიდი სე და მუსტაფას უთხრა;
11. მა ნა ემუს გამაუყონოპტი ქოთუმუ, ბიბი, კაზი, ემუქ ჩქიმდა მუთუ ვა ახვენეტუ – მე რომ მისგან გამომყავდა ქათამი, იხვი, ბატი, ის მე ვერაფერს მიშვრებოდა;

12. არ დღას უურ ჯუმა დაღიშა იგზალეს – ერთ დღეს ორი მმა ტყეში წავიდა;

13. მუთეფექ ქაეზდეს ოცხოჯი, საპონი დო მაქვალი დო ჭეიშა ქაეზთეს – თავად აიღეს სავარცხელი, საპონი და კვერცხი და სხვენზე ავიდნენ;

## მრავლობითი რიცხვი

1. კოჩიში-ი? კიბით ვუწუმეთ: კოჩიში კიბირევე იყვენ-წოხ-ლენი, ფართო, დანეფეში მწკილი, ოკაჩხენეფე მჩხუ დო მუგვალი, ქოქიში კიბირევე – კაცისას? კბილს ვეტყვით: კაცის კბილი იქნება – წინა, ფართო, გვერდისა – საჭრეთელი, უკანანი – მსხვილი და მრგვალი, ძირის კბილები;

2. ლუჯეფე ჩქიმითე ბოგნი – ჩემი ყურებით გავიგონე;

3. მონჭვა დო ჭეჭულეფე ართიკათის ქონუკიუ – კრუხი და წიწილები ერთმანეთს გადააბა;

4. ჩქიმი ჯვეში პაპულეფე მენგრელი ტეს, ლაზისტანის დოსქიდეს, ლაზი დივეს – ჩემი ძეგლი წინაპრები მეგრელები იყვნენ, ლაზისტანში დარჩნენ, ლაზი გახდნენ;

5. ოსურეფე ჩქიმი – ჰეთი ბაბა დო ნანას ათქენ – ჩემს ქალიშვილებს („ასულებს“) ესეც დედას და მამას შეუძლია თქვას;

6. ბადი მენდახთუ შეპესიშე, კოჩეფე ქოგვაბლეს – ბერიკაცი წავიდა ქალაქში, ხალხი შემოესია („კაცები“ შემოეხვივნენ);

7. ოხორჯალეფე, კულანეფე, მოდიდოჯი ბერეფე მთელი ხოლო ქომოხთეს – ქალები, გოგონები, მოზრდილი ბავშვები სულ ყველანი მოვიდნენ;

8. მოთალეფეში ჯოხოფე რენ: ფუქიში-გენი, ცხენიში თავ – ნაშიერთა სახელებია: ძროხისა-ბბო, ცხენისა -კვიცი;

9. ეგულე დალეფე მუშიქ „ჯუმა ჩქიმი“-ა დო გდამგარეს – მერე მისმა დებმა „ჩემო ძმააო“ დაატირეს;

10. ხოჯა არ დღას ჰამამიშა იდუ ბერეფეკალა, ბერეფე ელიკათუ დო იგზალუ – ხოჯა ერთხელ აბანოში წავიდა ბავშვებთან ერთად, ბავშვები გაიყოლია და წავიდა;

11. ციბგარუ-სი, ჩილამრეფე ინჯილიშ ქვა დიმუ – რომ იტირა, ცრემლები ქვებად იქცა;

12. მკაფუფე ქომოხთეს ... მკაფუფე იშტეს – ტურები მოვიდნენ ... ტურები გაიქცნენ;

13. კუნდურაში დღას აიშექ ქოჭოფუ მჩხური, ლეტას ქოდოჯინუ, კუჩხეფე დუკირუ დო დიდი მაკასითენ ოღვანჭუს ქოღოჭკუ – თებერვლის დღეს იაშებ დაიჭირა ცხვარი, მიწაზე დააწვინა, ფეხები შეუკრა და დიდი მაკრატლით კრეჭა დაუწყო;

## ს ვ ა ნ უ რ ი

სვანური მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლების თვალსაზრისით მრავალფეროვანია: -არ, -ალ, -პრ, -პლ, -პრ, -პლ, -ელ, -ოლ, -ირ, -ერ, -შრუ, -უ, -დალუ, ლა-ა.

## მხოლობითი რიცხვი

1. მაშენე მუხტებე ლი მეთხუიბრ – უფროსი ძმა მონადირეა;

2. მაპრენე მუხტებე შმჩედ ლპთხუიართე ი აშირ ოთდაგრა აშხური – უმცროსი ძმა წასულა სანადიროდ და ასი ნანადირევი მოუკლავს ერთ ჯერზედ;

3. სემი ლიხ ლახტბა – სამნი არიან ძმანი;

4. ანნარაშნე ხოშა ლახტბა ი ესლრიხ. ალას დემ ინჯრინეხა ხოხრა მუხტება – მოემზადნენ უფროსი ძმები და მიდიან, უმცროსი ძმა არა და არ მიჰყავთ;

5. სგაჩად მაშენე მუხტებე ხელწიფოთესგა – შევიდა უფროსი ძმა ხელმწიფესთან;

6. მეთხუიბრს ოთხუია ეგშდორი წელ ი ჩუროთლაბა ეშხუ რშჭუშუ დეშდორი წელ. ათხე ეშხუ რშჭულ ეჯა მშდლი. დეშდორი წელი ლპბ იმხან სხფასი ეჩას – მონადირეს წაუყვანია თორმეტი ვირი და ერთი კურდღლით დაუტვირთავს თორმეტი ვირი, რა არის ერთი კურდღლი (კურდღლუკა), თორმეტი ვირის ტვირთი აბა როგორლა გამოვა ის;

7. მაპრენე მუხტებეს ოხკაჩა ლაცხნირუ თეტენ, თეტენუ მახსთ, შმჩედ ამზ კპცხთეუ, ალსგიდნელი ი ქახტდა წელშრს იმუნდლე უოლუ – უმცროს ძმას ალუმართავს სავარცხ-

ელი, სავარცხელზე – სადგისი, სადგისზე – მახათი, ასულა ამის წევეროზედ, გადაუხედავს და შორს სადღაც მყინვარზე შეუნიშნავს ვირები;

### **მრავლობითი რიცხვი**

1. კგრშპრშერ ლუაჟებრს მამაგუეშ ხოხალდახ ამიშ ი ეშ ბდებაუეს – კირშაანთ მამაკაცებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ და ძალზედ გაიკვირვეს;

2. ალ მორი თემ უენდილდ გარ ოთსყახ მინე მესუფელას – ეს ორი თემი ძლივძლივობით შეურიგებიათ თავიანთ თანასოფლელებს;

3. ათხე აშხუ ლეტ ეცრი ოთარშერ ჯანსუხს ი მიჩა ლახტბას დურეუ ესუთიშახ ი ჩუათშგებახ ფართე, ამეჩუნ ჟ'ოხმექრახ ი დიგორხან ი მიჩა ფამლი დინაბლ მურყუამთუეფი ამჩედელის ლატუთე – ერთი ღამითაც ეცერელ ოთარაანთ ჯანსულს და მის ძმებს დრო შეურჩევიათ და მივარდნილან ფარში, აქ კი ეს შეუტყვიათ და დიგორხანი და მისი მოახლე გოგოები კოშკზე ასულან ლტოლვილებად;

4. აშხუ ლადბლ დავ ანებდ ფაგუე ლაშგომთე ი ოქურშ სკიურბლ შუნ ხუდუე მარგლიტებრშუ ჟი ლუგუშილე – ერთ დღესაც დევი მოვიდა ფაგოს სათხოვნელად და ხელთ უპყრია მარგალიტებით სავსე ოქროს სკივრები;

5. ალდერს ათჩონხ გუნ –ამათ გულიანად (ძალიან) გაეცინათ;

6. ბათბლი ი გოჯი ლაცლა ლიხ – ბათალბი და გოჯი ტოლები არიან;

7. მურზაყან ესნარ ეჯუ ათტკლებენახ მიჩა ლელტიაშდუს, ერე ჰერქამეფუშდე ესერ ხალჭლახ – მურზაყანი თურმე ისე დანანებიათ თავის საყვარლებს, რომ ხმამალლა, გულამოსკვნით დასტიროდნენ (დანატირებან);

8. კესარშერ ლემესგ ჩუ მედგე ხარენახ, პაზუისგად დაწრ ლგმპრდელის – კეისარისანებს ცეცხლი ჩამქრალი ჰქონიათ, ეზოშიც არავინ ყოფილან;

9. ხელწიფი გეზლირ ლიხ მიუუწუდუნა – ხელწიფის შვილები არიან მზეთუნახავები;

10. მორეულ მარტლ დერქედა თემთე უმამჭირუბლად ლგმ-ზელშლხ – მედიატორი კაცები ორთვე თემში დაუზარებლად მიმოდიოდნენ (მინავალან);

11. საფტინ ლეტ ქუნარუ ესღრის ლალხორთე – შაბათ საღამოს სულები მიღიან ლალხორში;

12. დილარუს მეპად ხახდადს გეზლირე ნალუეზრი ი ჩილად იმზირს ეჯდარე ნაშტდუებისნ – დედებს ყოველთვის უხარიათ შვილების სიბეჭითე და მუდამ ლოცულობენ იმათი მშვიდობისთვის;

13. ლეტი ნათუნ მარტლ გურიანდქა უი იგნალხ – წუხანდელი ნაქეიფარი კაცები გვიან წამოდგებიან;

14. ქშმ ლაკირცახსნ მერდალას ჰარყი ნაჭმუნ მასტრდ ხულუეხ, ეჯდარი ხარს ლიხირულ ი ხოჩა ლარდა – გარეთ საკირესთან მყოფებს შეჭამანდი (არაყთან მისატანებელი) ბლო-მად აქვთ და არიან ნადომსა და დიდ მხიარულებაში;

15. მერმა ლადბლ მესუფელა ჩუ ფხეუნის ი ქორშშ გარ ხაშდბა ლაკირი ლიშხის, მარე ობშინ აჯაღ წედნის მუმურჯუა ი ეჯდარ აჯაღდე ხომურჯუის ლელკირი ლახერხას – მეორე დღეს თანასოფლელები დაიშლებიან და მხოლოდ ოჯახის წევრები მუშაობენ საკირესთან, მაგრამ დამხმარეები კვლავაც მოდიან და ისინი ისევ ეხმარებიან საკირე მასალის დახერხვაში;

16. მულგუპერიდ ჟიბეშ ი ჩუბე შირტლ დექერდა ჩუადსინ-ჯაუე ი ლეგუეპ ითქ ეჩქნდო გარ აშიდ სგა – მეწისქვილემ ზედა და ქვედა დოლაბები ორთავე გასინჯა და დასაფქვავი მარცვალი მხოლოდ ამის შემდეგდა ჩაყარა;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ს ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

ლურა – სიკვდილი

მაფა – მეფე

გიოტება – გადარჩენა

მოარხე – მოსამსახურე

ორგია – სიგრძის საზომი; მხარი

თუნთი – დათვი

წეუ – ჭე

ბიწეპ – ცერი

|               |                   |              |            |
|---------------|-------------------|--------------|------------|
| ეშაღდალა —    | ამოღდება          | ბრელი —      | ბევრი      |
| ენოურთამა —   | ჩაგდება           | ბირგული —    | მუხლი      |
| გინაფა —      | შეგრძნება, გაგება | თხუალა —     | თხოვნა     |
| ჯიმა —        | ძმა               | გუნოუნაფა —  | გადავლება, |
|               |                   |              | გადაწინა   |
| ულა —         | წასვლა            | გოლა —       | მთა        |
| ენორჯგიმინი — | ამაყად ყურება     | შხური —      | ცხვარი     |
| თხოზინი —     | დეკნა             | გინოურთამა — | გადაგდება, |
| ქა — რქა      |                   |              | მოხსნა     |
| ჩხარკაფი —    | ჩხაკუნი           |              |            |

### ლ ა ზ უ რ ი:

|          |          |           |            |
|----------|----------|-----------|------------|
| თხომბუ — | თხმელა   | ქოთუმე —  | ქათამი     |
| ძიგარა — | პაპიროსი | ბიბი —    | იხვი       |
| ნუსა —   | რძალი    | კაზი —    | ბატი       |
| ოხორი —  | სახლი    | ოცხოვი —  | სავარცხელი |
| მთუთი —  | დათვი    | მაქალი —  | კვერცხი    |
| მკდაფუ — | ტურა     | ცუჯი —    | ყური       |
| მგევი —  | მგელი    | კულანი —  | ქალიშვილი  |
| მონჭვა — | კრუხი    | ჰამამი —  | აბანო      |
| ჭუჭული — | წიწილა   | ჩილამრე — | ცრემლი     |

### ს ვ ა ნ უ რ ი:

|            |            |               |             |
|------------|------------|---------------|-------------|
| აშირ —     | ასი        | მორეუ —       | მედიატორი   |
| ათხე —     | ახლა       | დერქელა —     | ორივე       |
| ეშდოღორი — | თორმეტი    | უამჭირტბლად — | დაუზარებლად |
| ლიტუ —     | გაქცევა    | საფტინ —      | შაბათი      |
| წელ —      | ვირი       | ლეტ —         | ღამე        |
| რაჭუ —     | კურდღელი   | ჭუნარუ —      | სულები      |
| ლაპბ —     | ტვირთი     | დილბრუ —      | დედები      |
| ლაცხნირ —  | სავარცხელი | მეპად —       | ყოველთვის   |
| თეტენ —    | საღისი     | ნალუეზრი —    | სიბეჯითე    |
| უოლ —      | მყინვარი   | ნათუნ —       | ნასვამი     |

|                          |                              |
|--------------------------|------------------------------|
| ზაჟ – ღევი               | ქაშ – გარეთ                  |
| ში – ხელი                | ლაპკინ – საკირე              |
| ლუგუშილე – ავსებული      | მერლბლა – მყოფნი             |
| ლაცლა – ტოლები           | მიუწუდუნა – მზეთუნახავი      |
| ლულტაძლუ – საყვარლები    | ლიხირშლ – მხიარულება         |
| ჰერქემუშუშლე – ხმამაღლა  | ობბშინ – ხშირად              |
| ლემესგ – ცეცხლი          | მუშურჯუშა – დამხმარენი       |
| მედგე – ჩამქრალი         | მულგუპერი – მეწისქვილე       |
| ჰაზუ – ეზო               | ჟიბეშ – ზედა                 |
| ზარ – არავინ             | ჩუბეშ – ქვედა                |
| ჷჭმუნ – შეჭამანდი        | შირა – დოლაბი, წისქვილის ქვა |
| თქ – მარცვალი            | ლეგუჟ – დასაფქვავი           |
| მესუფელა – თანასოფლელები | მუყოსგი – დაუპატიუბელი       |

### 3. სახელის ფუძე

ფუძის მიხედვით სახელები ქართველურ ენებში ორგვარია: ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი.

#### ბოლოხმოვნიანი

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. მაძღარი მთვარე ცის შუაგულში დასეირნობდა (მ. ჯავახიშვილი);
2. ტყვედ წაყვანილთა შორის შეიარაღებული ქალებიც იპოვეს. (კ. გამსახურდია);
3. ლოქო დასაჯეს და მორევში გადააგდესო (ხალხური);
4. მელიას ღიმილით შეხედა და კატის კნავილით შეკნავლა (მ. ჯავახიშვილი);
5. მიწავ, შენ გებარებოდეს ეს ჩემი ტურფა იაო (ვაჟა);
6. შეშლილი სახით კიოდა ქუჩა (გალაკტიონი);
7. დედის რძესავით ტკბილია ღამე (ტ. ტაბიძე);
8. ამ გზას მივენდე, ვთქვი სიმღერა მზის ჰანგებიდან (ი. მოსაშვილი);

9. თივას აქაურ მთებში ამზადებდნენ და შემოდგომით მანქანებით მიჰქონდათ (გ. ჩოხელი);

10. ეს წუთია ჩავიდა მზე... ჩუმი სევდა ეფინება გარემოს (ს. კლდიაშვილი);

11. როცა საღამო მოაწევდა, მეფის ვაჟი სასახლეს დატოვებდა (დ. ჩიანელი);

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. სახე ბჟალარაშა გიგუ, თოლგ დო წარი ყურიაშა – სახე ბზის ბზინვას გიგავს, თვალი და წარბი – ყურყუმასა;

2. თიქ სუშმა ვარენო ხე ქიგნუფუჩონუდა, ტყვია ხათე ხოლო ეშელენს – იმან თუ სამჯერ (არ არის) ხელი გადაუსვა, ტყვია მაშინვე ამოვა;

3. არდგილიშ ლებიას არდგილიშ წყარი ხაშუნსია – ადგილის ლობიოს (იმავე) ადგილის წყალი მოხარშავსო;

4. ცუდეშა ქუმოროთესუნი, იცუ ხარებაქ, დიარაქ დო რხინქ – სახლში რომ მოვიდნენ, იქნა მხიარულება, ლხინი და ქეთი;

5. ართ დღაშ მეტებულ საქმექ ჟარნეჩი დღაშა გინიდუა – ერთ დღეს მიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდა;

### ლ ა ზ უ რ ო:

1. არ ტასის, მეა ოფშა ტასის, ჟურ თანე მაი უკაპუდოენ – ერთ თასში რძით („რძე“) სავსე თასში, ორი ბაყაყი ჩამხტარა;

2. ხუთ თანე მოხა მიყოუნტყუ – ხუთი თხა მყავდა;

3. ჰუდ კატუ მთუდ ჰუფუდ – ახლა კატა თაგვს იჭერს;

4. გზას არ მკადფუ ქონაგეს – გზაზე ერთი ტურა შეხვდათ;

5. ჯამუშის ქრას ზენჯირი გებუდვი – კამეჩი რქაში ჯაჭვი შევაბი;

6. აი მონჭვაქ მთელი გამაწრ ლუფს – კარგი კრუხი ყველას გამოჩექს;

7. არ ჩევა მღაჭო უწუმელან; ემუთე ათმაჯა ჭოუფან – ერთს კიდევ დაჯის ეტყვიან; იმით მიმინოს იჭერენ;

8. მუნტუი მეხთუ დიმჭკუშა – მატლი მივიდა ჭინჭველასთან;

9. საღრა დუცხუში ივენ. დუცხუ მჯა ენ – გობი ცაცხვის იქნება. ცაცხვი ხეა;

10. ონტულესთი თუთენი ვარ მატახუ – ბოსტანშიც თამბაქო ვერ შევტეხე;

11. ჰადა ორძო, ორძო გეხუნონი რენ – ეს სკამია. სკამი დასაჯდომია;

12. მჯიხი გეჩუ თის დო თი ღომუ დუხენუ – მჯილი დაპკრა თავში და თავი „ღომად“ უქცია;

13. ჯუმუ ვა რტას-ში, უჯუმელინ გიად დაიყვენ – მარილი თუ არ უყვეს, უმარილო საჭმელი გამოვა;

14. ია მთუგეფეში დუშმანი კატუ რენ – ის თაგვების მტერი კატა არის;

15. მჯვაბუ გალე გულუნ, მაპარი წარი ღოლოპენ – გომბეშო მიწაზე დადის, ბაყაყი წყალში ზის;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. მუხტებე ღალ ესურდ უმბილდ ხადგაროლნა სგა, ეჯას ხაკუჩ ერე ლალლიაშ ჩუქვნისგა ეშდვორუ კა ლოხტბენს ი ეჩნორუშ ლემზელალნელუსუ მიჩა ლგდარობური – საუბედუროდ, ვისაც ძმა შემოაკვდებოდა, იმას იღლიის ქვემოთ თორმეტი ფიქა-ლი ქვა უნდა გამოება და იმით ევლო მთელი სიცოცხლის მან-ბილზე;

2. შირა სიპ ი აგუეპ – დოლაბი (წისქვილის ქვა) ტრია-ლებს და ფქვაეს;

3. თეკრა ბალე გოწეირი ბალედ ხურდეშუ ხომშარა ლი – ნეკერჩხლის ფოთოლი კოწახურის ფოთოლზე ბევრად ფართე არის;

4. სგ'ანჯვდი ამხარტესგა აჯალ ალიაშრა – დაშუდუ ი თხერე ი მალ – აქ ისევ შემოვიდნენ ესენი – დათვი მგელი და მელა;

5. ბექვდ გუნ ლგთიშ მორევ მარე ლგმარ – ბექა უაღრესად ცნობილი მედიატორი კაცი ყოფილა;

6. ეჯ ტყუეფთე მეტარ ხამთქუა ნადირ: დაშუდუ, თხერე, ფორეცხ – იმ მხარეში გავრცელებულია ნადირი: დათვი, მგელი, ფოცხვერი;

7. ცინყა ინდანდო ეზარ ხანუნდო გარ იპი – მოცვი ჟოლოს

მერე კარგა ხნის მერე მწიფდება;

8. აჩბდ ხოხურა მუხუბე მიჩა ხეხუმი ლათხელთე – წავიდა უმცროსი ძმა თავისი ცოლის საძებრად;

#### ბოლოთანზმოვნიანი

#### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. ცაცხვსა და ჭადარს შორის ახალგაზრდები ზიმზიმებდნენ (პ. გამსახურდია);

2. მგელი კვდებოდა და ცხვარი კუნტრუშის გუნებაზე იყო (ხალხური);

3. მატარებელმა რამდენჯერმე წაიფორხილა, თითქოს ვიღა-ცამ მძლავრად მოსწია ლაგამი (ძ. ჯავახიშვილი);

4. გემის დანახვისას, ალბათ, ქადაღდის ნავი მოაგონდება ყოველ კაცს (პ. გამსახურდია);

5. გათავდა სიმინდის რჩევა, ფუჩქიც კი შეჰყარეს საბძელში (ს. ლორთქიფანიძე);

6. უგვარო ცხენსაო ნუ აჭმევ ქერსაო (ხალხური.);

7. ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში (გალაპტიონი);

8. ზევით ღრიალით მიგორავს თერგი, ქვევით გრიალი გაუდის არაგვს (ს. ჩიქოვანი);

9. რატომ ხმაურობს ჩემი გული, როგორც წისქვილი?! (ს. ჩიქოვანი);

10. ბილიკმა მარჯვნივ რომ გადაუხვია, ამოისუნთქა: მარ-ცხნივ მოექცა მტერი (ო. იოსელიანი);

#### ბ ე გ რ უ ლ ი:

1. არგუნს ვაჭკირუნი, თინა ნინაქ გოჭკირუა – ნაჯახმა რომ ვერ გაჭრა, ის ენამ გაჭრაო;

2. ოხვამერიშ ოზეს ცხაცხუს ქიმკაშკვანა ლისმარს დო გი-ნოჩანა, ჭყენა – ეკლესიის ეზოში ცაცხვზე მიაჭედებენ ლურს-მანს და გადასცემენ, წყევლიან;

3. ბორია თირს კვახუნს დო იშო იღანს – ქარი თოვლს ადნობს და იქით მიაქვს;

4. ართი ბარჯგიშა, ართი ჯგუწჯგიშა ღობერი ვემკიღობენია – ერთ სარზე ღობე არ შემოიღობებაო;

5. გერიშ ნაძქურინეფი ჯოლორი მურიცხევს ულალუნდუა – მგლის შეშინებული ძალლი ვარსკვლავებს, ჩრდილს უყეფდაო;

### ლ ა ზ უ რ ი:

1. გუნბე ცუჯონიქ უწუ-ქი ყუჯის-და ცხენიქ გუჩხე ქოგე-მობაძეუ-და – გრძელყურიანმა უთხრა, რომ ყურზე ცხენმა ფეხი დამადგაო;

2. ქოთუმეს, ბიბის, მამულის, კაზის, კვინჩეუეს-კიბით (//კი-ბირი) უღუ – ქათამს, იხვს, მამალს, ბატს, ჩიტებს კბილი („ნი-სკარტი“) თუ აქვს;

3. მა თოლეფე ჩქიმითე ბძირი – მე ჩემი თვალებით ვნახე;

4. ბაბაში ბაბას აპაული ჯოხონს, ნანაშის-თი ეშო ვუწუ-მელთ – მამის მამას პაპა ჰქვია, დედის მამასაც ასე ვეტყვით;

5. ნანა-მუში დიზაბუნუ, სქირი, ბლურურ – დედამისი ავად გახდა, შვილო, გვკდები;

6. ჩილი ჩქიმიში ოხორიშა ბიგზალ – ჩემი ცოლის სახლში წავედი;

7. მთირი მუშის უხეზმეთუმს – თავის მამამთილს ემსახურება;

8. ოკაჩხე ჰიმ ბადიქ მენდი ღონუ ოხორი მუშიშე – მერე იმ ბერიკაცმა წაიყვანა თავის სახლში;

9. მა ხუთ კითი მიღუნ – მე ხუთი თითი მაქვს;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. აშხუ მუღუშ პილს ჟან ლემგენ – ერთი ზღვის პირას ხარი მდგარა;

2. მგლტბლს ცაგერ ლეპუდიდ ხაყენა თუეთნე ღუელდაქ – ლატალელს ცაგერში გასაყიდად ჰყოლია თეთრი ცხვარი;

3. ლექტერ ხოჩამდ აგუეჳ – წისქვილი კარგად ფქვავს;

4. ალ ზურალს მეტარ ათხიდენა ლელბტი ლიქედ – ამ ქალს მეტისმეტად გახარებია საყვარლის მოსვლა;

5. მურყუამ გპნხბნებუ ლიც ანლგრდა, ამჩუ არდა დინა, ხე-დუბა სარგი ლიცს იგუშა სტამპნთე – კოშკის გვარდზე წყალი მოდიოდა, აქვე იყო გოგონა, რომელიც კოკას ავსებდა წყაროს წყლით;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ზ ს ნ ა

მ ე გ რ უ ლ ი:

|                                   |                      |
|-----------------------------------|----------------------|
| ბჟალარა – მზეობა, მზიანობა        | ზათე – მაშინვე       |
| თოლი – თვალი                      | ჟარნები – ორმოცი     |
| წარი – წარბი                      | არგუნი – ნაჯახი      |
| ფურია – ფურყუმი, ძლიერ შავი       | ნინა – ქნა           |
| გურაფა – 1. სწავლა 2. დამსგავსება | ჭეკირუა – ჭრა        |
| ხე – ხელი                         | ოხვამერი – ეკლესია   |
| ფუჩონი – 1. მოფერება              | ოზე – ეზო            |
| ემოულა – ამოსვლა                  | ცხაცხუ – ცაცხვი      |
| ხაშუა – ხარშვა                    | ლისმარი – ლურსმანი   |
| გინოდვალა – გადადება              | ჭყალა – წყევლა       |
| მიკოშეუმალა – მიჭედება            | გინოჩამა – გადაცემა  |
| ბორია – ქარი                      | თირი – თოვლი         |
| ღალა – წალება                     | ბარჯვე – სარი        |
| გერი – მგელი                      | მურიცხი – ვარსკვლავი |
| ლალუა – ყეფა                      | ჯვუნჯვეგი – სარი     |

ლ ა ზ უ რ ი:

|                     |                       |
|---------------------|-----------------------|
| კატუ – კატა         | ორზო – სკამი          |
| მთუე//მთუგი – თაგვი | თი – თავი             |
| ჯამუში – კამეჩი     | გდაი//გიარი – საჭმელი |
| ქრა – რქა           | მჯვაბუ – გომბეშო      |
| ზენჯირი – ჯაჭვი     | მაპარი – ბაყაყი       |

ათმავეა — მიმინო  
დიმჭვეუ — ჭიანჭველა  
საღრა — გობი

მამული — მამული  
მთირი — მამამთირი  
დუცხუ — ცაცხვი

ს ვ ა ნ უ რ ი:

უმბილდ — უნებურად  
კა — ფიქალი ქვა  
თეკრა — ნეკერჩხალი  
ბალე — ფოთოლი  
გოწხირ — კოწახური  
ზუშა — ბევრი  
ხომშარა — უფრო განიერი  
თხერე — მგელი  
მალ — მელია  
ცინქა — მოცვი  
ინდა — ჟოლო  
ლგებარ — ცოცხალი

ხეხუ — ცოლი  
ლითხელი — ძებნა  
ძულტა — ზღვა  
კპნ — ხარი  
მგლტაბლ — ლატალელი  
ლიპტადი — მიცემა, გაყიდვა  
გვნხპნ — გვერდით  
ლიც — წყალი  
ხელუბდ — რომელიც  
სარაგ — წყარო  
სტამპან — კოკა

#### 4. ბრუნვები და ბრუნვათა ნიშნები ქართველურ ენგბში

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შვიდი ბრუნვაა, მეგრულში – ცხრა, ლაზურში – შვიდი, სვანურში – ექვსი.

#### ქ ა რ თ უ ლ ი

|             |      |               |
|-------------|------|---------------|
| სახელობითი  | -ი,  | - $\emptyset$ |
| მოთხრობითი  | -ძა, | -ძ            |
| მიცემითი    | -ს   | -ს            |
| ნათესაობითი | -ის, | -ს(ი)         |
| მოქმედებითი | -ით, | თ(ი)          |
| ვითარებითი  | -ად, | -დ            |
| წოდებითი    | -ო   | ო / -ვ        |

ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნების ნიმუში ქართულში:

#### უკუმშველი

|             |        |           |          |
|-------------|--------|-----------|----------|
| სახელობითი  | კაც-ი  | კაც-ებ-ი  | კაც-ნ-ი  |
| მოთხრობითი  | კაც-ძა | კაც-ებ-ძა | კაც-თ(ა) |
| მიცემითი    | კაც-ს  | კაც-ებ-ს  | კაც-თ(ა) |
| ნათესაობითი | კაც-ის | კაც-ებ-ის | კაც-თ(ა) |
| მოქმედებითი | კაც-ით | კაც-ებ-ით | —        |
| ვითარებითი  | კაც-ად | კაც-ებ-ად | —        |
| წოდებითი    | კაც-ო  | კაც-ებ-ო  | კაც-ნ-ო  |

#### კუმშვადი

|             |          |            |            |
|-------------|----------|------------|------------|
| სახელობითი  | ბეღელ-ი  | ბეღლ-ებ-ი  | ბეღელ-ნ-ი  |
| მოთხრობითი  | ბეღელ-ძა | ბეღლ-ებ-ძა | ბეღელ-თ(ა) |
| მიცემითი    | ბეღელ-ს  | ბეღლ-ებ-ს  | ბეღელ-თ(ა) |
| ნათესაობითი | ბეღლ-ის  | ბეღლ-ებ-ის | ბეღელ-თ(ა) |
| მოქმედებითი | ბეღლ-ით  | ბეღლ-ებ-ით | —          |

|            |         |            |          |
|------------|---------|------------|----------|
| ვითარებითი | ბეღლ-ად | ბეღლ-ებ-ად | -----    |
| წოდებითი   | ბეღლ-ო  | ბეღლ-ებ-ო  | ბეღლ-ნ-ო |

ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნების ნიმუში ქართულში:

### პეტადი

|             |        |           |            |
|-------------|--------|-----------|------------|
| სახელობითი  | მიწა   | მიწ-ებ-ი  | მიწა-ნ-ი   |
| მოთხრობითი  | მიწა-მ | მიწ-ებ-მა | მიწა-თ(ა)  |
| მიცემითი    | მიწა-ს | მიწ-ებ-ს  | მიწა-თა(ა) |
| ნათესაობითი | მიწ-ის | მიწ-ებ-ის | მიწა-თ(ა)  |
| მოქმედებითი | მიწ-ით | მიწ-ებ-ით | -----      |
| ვითარებითი  | მიწა-დ | მიწ-ებ-ად | -----      |
| წოდებითი    | მიწა-ვ | მიწებ-ო   | მიწა-ნ-ო   |

### უკვეთელი

|             |          |           |          |
|-------------|----------|-----------|----------|
| სახელობითი  | რტო      | რტო-ებ-ი  | რტო-ნ-ი  |
| მოთხრობითი  | რტო-მ    | რტო-ებ-მა | რტო-თ(ა) |
| მიცემითი    | რტო-ს    | რტო-ებ-ს  | რტო-თ(ა) |
| ნათესაობითი | რტო-ს(ი) | რტო-ებ-ის | რტო-თ(ა) |
| მოქმედებითი | რტო-თ(ი) | რტო-ებ-ით | -----    |
| ვითარებითი  | რტო-დ    | რტო-ებ-ად | -----    |
| წოდებითი    | რტო-ო    | რტო-ებ-ო  | რტო-ნ-ო  |

### მ ე გ რ უ ლ ო

|                      |         |
|----------------------|---------|
| სახელობითი           | -ი      |
| მოთხრობითი           | -ქ      |
| მიცემითი             | -ს      |
| ნათესაობითი          | -იშ(ი)  |
| მიმართულებითი        | -იშა    |
| დაშორებითი           | -იშე    |
| მოქმედებითი          | -ით(ი)  |
| დანიშნულებითი        | -იშო(თ) |
| ვზებითი ანუ გარდაქც. | -ო      |

ბოლოთან ხმოვნიანი სახელის ბრუნების ნიმუში მეგრულში:

|                            |            |                        |
|----------------------------|------------|------------------------|
| სახელობითი                 | კოჩ-ი      | კოჩ-ეფ-ი               |
| მოთხრობითი                 | კოჩ-ქ      | კოჩ-ეფ-ქ // (კოჩ-ენ-ქ) |
| მიცემითი                   | კო-ს       | კოჩ-ეფ-ს // (კოჩ-ენ-ს) |
| ნათესაობითი                | კოჩ-იშ(ი)  | კოჩ-ეფ-იშ(ი)           |
| მიმართულებითი              | კოჩ-იშა    | კოჩ-ეფ-იშა             |
| დაშორებითი                 | კოჩ-იშე    | კოჩ-ეფ-იშე             |
| მოქმედებითი                | კოჩ-ით(ი)  | კოჩ-ეფ-ით(ი)           |
| დანიშნულებითი              | კოჩ-იშო(თ) | კოჩ-ეფ-იშო(თ)          |
| ვნებითი ანუ გარდაქც. კოჩ-ო | კოჩ-ო      | კოჩ-ეფ-ო               |

ბოლოხმოვნიანი სახელის ბრუნების ნიმუში მეგრულში:

|                            |            |                        |
|----------------------------|------------|------------------------|
| სახელობითი                 | ცირა       | ცირ-ეფ-ი               |
| მოთხრობითი                 | ცირა-ქ     | ცირ-ეფ-ქ // (ცირ-ენ-ქ) |
| მიცემითი                   | ცირა-ს     | ცირ-ეფ-ს // (ცირ-ენ-ს) |
| ნათესაობითი                | ცირა-შ(ი)  | ცირ-ეფ-იშ(ი)           |
| მიმართულებითი              | ცირა-შა    | ცირ-ეფ-იშა             |
| დაშორებითი                 | ცირა-შე    | ცირ-ეფ-იშე             |
| მოქმედებითი                | ცირა-თ(ი)  | ცირ-ეფ-ით(ი)           |
| დანიშნულებითი              | ცირა-თო(თ) | ცირ-ეფ-ითო(თ)          |
| ვნებითი ანუ გარდაქ. ცირა-თ | ცირა-თ     | ცირ-ეფ-ო               |

## ლ ა ზ უ რ ი

|               |        |
|---------------|--------|
| სახელობითი    | -ი     |
| მოთხრობითი    | -ქ     |
| მიცემითი      | -ს     |
| ნათესაობითი   | -შ(ი)  |
| მიმართულებითი | -შა    |
| დაშორებითი    | -შე(ნ) |
| მოქმედებითი   | -თე(ნ) |

## -ი'-ზე დაბოლოებული სახელის ბრუნება ლაზურში

|               |            |                |
|---------------|------------|----------------|
| სახელობითი    | კოჩი-      | კოჩ-ეფ-ე       |
| მოთხრობითი    | კოჩი-ქ     | კოჩ-ეფ-ე-ქ     |
| მიცემითი      | კოჩი-ს     | კოჩ-ეფ-ე-ს     |
| ნათესაობითი   | კოჩი-შ(ი)  | კოჩ-ეფ-ე-შ(ი)  |
| მიმართულებითი | კოჩი-შა    | კოჩ-ეფ-ე-შ(ა)  |
| დაშორებითი    | კოჩი-შე(ნ) | კოჩ-ეფ-ე-შე(ნ) |
| მოქმედებითი   | კოჩი-თე(ნ) | კოჩ-ეფ-ე-თე(ნ) |

## -ა'-ზე (-ე, -ო , -უ) დაბოლოებული სახელის ბრუნება ლაზურში

|               |             |                 |
|---------------|-------------|-----------------|
| სახელობითი    | ბუცხა       | ბუცხა-ფ-ე       |
| მოთხრობითი    | ბუცხა-ქ     | ბუცხა-ფ-ე-ქ     |
| მიცემითი      | ბუცხა-ს     | ბუცხა-ფ-ე-ს     |
| ნათესაობითი   | ბუცხა-შ(ი)  | ბუცხა-ფ-ე-შ(ი)  |
| მიმართულებითი | ბუცხა-შა    | ბუცხა-ფ-ე-შა    |
| დაშორებითი    | ბუცხა-შე(ნ) | ბუცხა-ფ-ე-შე(ნ) |
| მოქმედებითი   | ბუცხა-თე(ნ) | ბუცხა-ფ-ე-თე(ნ) |

## სვანურ ბრუნვათა ძირითადი ალომორფულია

|             |           |
|-------------|-----------|
| სახელობითი  | -ი და -Ø  |
| მიცემითი    | -ს        |
| მოთხრობითი  | -დ და -ამ |
| ნათესაობითი | -იშ       |
| მოქმედებითი | -შე       |
| ვითარებითი  | -დ        |

(ზ. ჭუმბურიძე, რ. ჭურდაძე, ლ. ნიუარაძე, „სვანური ენა“, თბ. 2007, გვ. 95)

## სახელთა ბრუნების ნიმუშები სკანურში:

|       | მხ.რ.         | მრ. რ.    | მხ.რ.       | მრ.რ.     |
|-------|---------------|-----------|-------------|-----------|
| სახ.  | ბაპ „მღვდელი“ | ბაპ-პრ    | ღინა „გოგო“ | ღინა-ლ    |
| მიც.  | ბაპ-ს         | ბაპ-პრ-ს  | ღინა-ს      | ღინა-ლ-ს  |
| მოთხ. | ბაპ-დ         | ბაპ-პრ-დ  | ღინა-დ      | ღინა-ლ-დ  |
| ნათ.  | ბაპ-შ/იშ      | ბაპ-რ-ეშ  | ღინა-შ      | ღინა-ლ-ეშ |
| მოქ.  | ბაპ-შუ        | ბაპ-პრ-შუ | ღინა-უშ     | ღინა-ლ-შუ |
| ვით.  | ბაპ-დ         | ბაპ-პრ-დ  | ღინა-დ      | ღინა-ლ-დ  |

## სახელობითი

ქ ა რ თ უ ლ ი:

### უკუმშველი

1. ბიჭი და ვერძი სასახლეში რომ წაიყვანეს, ხალხიც მალე დაიშალა (ო. ჭილაძე);
2. სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, განცალკევებით იღვა (გ. რჩეულიშვილი);
3. მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (აკაკი);
4. ცეცხლი სულ ჩაქრა, ჭრაქი მაინც აგენთო (ო. იოსე-ლიანი);
5. მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ერთ დროს ფარული დარღი მიყვარდა (გალაკტიონი);
6. აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დამსგავსება (გალაკტიონი);

### კუმშვადი:

1. გაღმა სოფელი აღრე იღვიძებს, მოლა აღვიძებს (ნ. დუმბაძე);
2. ისეთი გოდორი დაწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო (ანდაზა);

3. ისედაც მშვიდი, უფრო დაცხრა ამაღამ მტკგარი (ჭ. ტაბიძე);
4. მე დავიბადე ქველს წნულის ქოხში, ლერწამი იყო ჩემი აკვანი (ი. ევდოშვილი);
5. ფუტკარი თაფლსაც ამზადებს და შხამსაცო (ანდაზა);

## უკველი

1. ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო, ლურჯად ნახავერდები (გალაკტიონი);
2. ეზოში ყეფდა ბამბურა მურა, ეზოში მწვანე ჰყვაოდა ბაო (გალაკტიონი);
3. ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად (აკაკი);
4. მას დედის ძუძუ, ტკბილი, შხამადაც შერგებია, მამულისათვის სიკვდილი ვისაც დანანებია (ილია);
5. შრიალებს რტო და მიწიდან მესმის მკერდგანგმირული პოეტის სუნთქვა (ლ. ასათიანი);
6. ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან (შ. ნიშნიანიძე);

## ქვედი

1. ია კვნესოდა, კვდებოდა, მიწასვე ებრალებოდა (ვაჟა);
2. შეშლილი სახით კიოდა ქუჩა, შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა (გალაკტიონი);
3. ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია! – მე ვიმეორებ ყოველ ცის-მარე (ი. გრიშაშვილი);
4. ზღვა დამდგარიყო ცრემლისა, შიგა ჰყვაოდნენ იანი (ვაჟა);
5. გარეთ ცივა, ქრის ქარი, მთვარე ვახშმობს მუხებში (ს. შანშიაშვილი);
6. ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის თავზე გადამის-ვას ხელი (ა. კალანდაძე);

## მ ე გ რ უ ლ ი:

1. მარგალგ გოხირეს დო ღობერს უკულ გითმოცუნუანდუა – გლეხი (მეგრელი) გაქურდეს და ღობე მერე შემოავლო ეზო-კარსაო;

2. შონს ცუჯი სო გილუნია, კიტხესია დო მაჟია ცუჯიშა გინმიჭირინდუა ხე – სვანს ყური სად გაქვსო, პკითხესო და მეორე ყურისკენ გადაიწვდინაო ხელი;

3. მართალგ თქეია დო ღურელი გედირთუნია – სიმართლე თქვი და მკვდარი ადგებაო;

4. შური დო ხორცი წამიწყმინდი, ჯოჯოხეთის მუჩი ბინა – სული და ხორცი წამიწყმიდე, ჯოჯოხეთში მიმიჩინე ბინა;

5. მარდუ ჩქეჩქე ნგარათ იჩინებენია – მზრდელი ბავშვი ტირილით იცნობაო;

## ლ ა ზ უ რ ი:

1. ჰა ოხორჯა მუშენი გონდუნუ? ბერეფე მუჭო გომინდუნუ?  
– ეს ქალი რატომ დაიკარგა? ბავშვები როგორ დამეკარგა?

2. ზუდა გომდუნი, ჰაშო ქომომალუ – ზღვაში დავიკარგე, ასე მოვედი;

3. სი ჰაქ ჩილი ჩქიმიქ გონგდინასენ, გადუშმანუდორენ – შენ აქ ჩემი ცოლი დაგლუპავს, გადაგმტერებია;

4. მკდაფუ ხვალა გამახთუ – ტურა მარტო გამოვიდა;

5. ბერეფე, არ მუთხანი გიწვამინონ – ბავშვებო, ერთი რაღაც უნდა გითხრათ;

6. ცანდლა მჭეში მუთხა თქუ – ერთხელ მწყემსმა რაღაცა თქვა;

7. ოხორი პკოდი ჟურ ოდათე – სახლი ავაგე ოროთახიანი;

## ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ალ სიმაქ ლახ იქიზანბლ, ეჩუი პთუ ლი, ერე მეგბმხნჩუ ნიპტოლ ჩუ შეყედნი – ეს ქალიშვილი როცა იცინის, ისეთი ცხელია, რომ ხიდან ჩიტიც კი ჩამოვარდება;

2. ჯუნინალდ ამჩეუ ლგმზიგ ლგფერელ იმახათ – ძველად აქცხოვობდა (ნაცხოვრება) ქალბატონი იმახათი;

3. აშხუ ლადბლ ლპთხუდართე აჩბდ ესნპრ ხოშა მუხუბე, ოხუიშდ ღუაშ ჩუ ხეთხწნ ი ბგით' ანუბდ – ერთ დღეს (თურმე) სანადიროდ წასულა უფროსი მმა, ხუთი ჯიხვი მოინალირა (ეშოვა) და შინ დაბრუნდა;

4. მერმა ლადბლ ჭიტი დრსგ ანგგწნ, მპინძელს მაკუპშ ხაჯუ ი ბგითე ანუბდ – მეორე დღეს ჭიტი ადრე ადგა, მასპინძელს მადლობა უთხრა და შინ წავიდა;

5. ზურაბლ ქ'ეჩხად ი გებილ მწნეუ მარპნს ხოძგბრ – ქალი გავიდა და გაბი სწრაფად შევარდა მარანში;

6. სემი ლახუბა ლიხ ი ესლრიხ ლაქჩათე ჰამს, მინე-მინე ლეზიზ ხულუებ – სამი მმანი არიან და დილას მიდიან ტყეში (მორების) მოსაჭრელად, თავთავიანთი საგზალი აქვთ ყველას;

## მოთხრობითი

ქ ა რ თ უ ლ ი:

### უკუმშველი

1. ეგებ ინებოს ბატონმა, გაგვმარჯვებიყოს მტერზედა (ვაჟა);  
2. ყმაწვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა ნაზი პეპელა (აკაკი);  
3. დაქროლა ქარმა სასტიკმა, თან წარიტანა ყვავილი (ნ. ბარათაშვილი);

4. ველარ აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი (ნ. ბარათაშვილი);

5. ეს რა ეშმაქმა ააბორგა ამაღამ ქარი, ამიწიოკა, დამირბია მან შთაგონება (ლადო);

6. დათვმა თქვა: კბენა არ ვიცოდი და ადამიანმა მასწავლაო (ხალხური);

## **ქუმშეაღი**

1. ვაითუ, ისე სოფელმა მიწის ლოგინი დამიგოსო (თ. რაზიკაშვილი);
2. ცხვარმა თხას სთხოვა ნახარშიო (ანდაზა);
3. დიაკვანმა თქვა, ჩემი „დავითნი” მომიტანეთო (ხალხური);
4. ქათამმა უთხრა კვერცხსაო: ეგეთი ვიყავ მეცაო (ხალხური);

## **უკვეცელი**

1. მოდი, ჩვენც ესე ვიქმაროთ და სწვა დიდება ნუ გვინდა, ყაყაჩომ შემოგვანათოს ლამაზი ქალის შუქითა (ლ. ასათიანი);
2. გუშინ ჩემს ფანჯარასთან გოგონამ ჩაიარა, თითქოს გულში შეარჩა ატმის ტოტი ბრიალა (შ. ნიშნიანიძე);
3. რა ხანია ცელქმა სიომ ვენახები დაირბინა (შ. მღვიმელი);
4. რის ვაი-ვაგლახით დაზარდა კოდალამ ბარტყები (თ. რაზიკაშვილი);
5. ნახანძრალი ყანა მოცელილმა ურდომ დაფარა (რ. გვეტაძე);

## **პეტაღი**

1. და მეც მოვკვდე სიმღერებში, ტბის სევდიან გედად, ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (ვაჟა);
2. დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები (ვაჟა);
3. გადაგვარების მოსურნე შეჭამოს ტურა-მელამა (ვაჟა);
4. ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ სინათლე დაგვიბნელაო (აკაკი);
5. იამაც სუნი მოგვფინა, რა ზამთარს სული გავარდა (რ. ერისთავი);
6. მოვარემ დადგა ვეცხლის ტახტი, მზემ აიღო დილით (ლ. ასათიანი);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. ლუქმაქ გამლაიოლუა პიჯიშე-და, ატარს ვარა ქიგელასია – ლუქმა თუ გამოგივარდა პირიდან, ჯამში მაინც ჩავარდესო;
2. მუ ღორონთიქ დაგაბადგ, ჩქიმი გურიში მადალალი – რა ღმერთმა გაგაჩინა, ჩემი გულის დამსერელო, გამშავებელო;
3. კურდღლელქ მუზმა იკვაკუა, თიზმა ირულუა – კურდ-ღელმა რამდენიც იკონა, იმდენი ირბინაო;
4. უბედური ბედიში კოჩქ შხვაში ჭირს უბრალოთ ქიმშაბლია – უბედური კაცი სხვის გასაჭირში ტყუილუბრალოდ გავეხვიეო;
5. კოჩქ ჩიჩური ვაგაკეთავა, სი ვაწორხვადუდა, სქან სქუას ქაწოხვადუნია – კაცმა ცუდი არ გააკეთოო - შენ თუ წინ არ დაგხვდება, შენს შვილს დახვდებაო;

## ლ ა ზ უ რ ო:

1. ფადიშაპიქ ხელინათე გონდინერ ბერე-მუშის გახველუ – ხელმწიფებ სიხარულით თავის დაკარგულ შვილს აკოცა;
2. არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული გღომბონაპტუ – ერთი მოხუცი კაცი ბაღში მსხალს ამწობდა;
3. თილჩიქ სთოლი ქოგოდოდგუ – მელიამ მაგიდა დადგა;
4. ადა სირთეფექ ოკორთუფან კახეთი დაღისტანიშენ – ეს მთები ყოფენ კახეთს დაღესტანისგან;
5. ოკაჩხუ ჰიმ ბადიქ მენდიღონუ ოხოი მუშიშე – მერე იმ ბერიკაცმა წაიყვანა თავის სახლში;
6. გინძე ღალი-თი რენ, ალაზანიში ღალი. ადა ღალქ კახეთი ოკორთუფს ორთა დერის – გრძელი მდინარეც არის, ალაზნის მდინარე. ეს მდინარე კახეთს ორად ყოფს;

## ს ვ ა ნ უ რ ო:

1. ხოშამ მუხტბებ ხშექუ – მიჩეშდ ესერ ცხლ ხაცხენა, მარე მუხტბათან ესერ დარ ლი მუხტბებმი ბედუნ – უფროსმა ძმა უთხრა: მეგობარი შენს თავს მერჩივნა[ო], მაგრამ დავრწყმუნდი,

რომ მმის შესადარი ვერავინ ვერ შეიძლება მმისთვის იყოსო;

2. ქურუხანერი შდუგუდ ანქუიჭე თხუიმ – ხვრელიდან თაგვმა ამოყო თავი;

3. ღაშუდდ ხაქუინ ამისა თხერეს ი მალს – დათვმა უთხრა ე ამათ მგელსა და მელას;

4. მგლტელდ ლახტიხ: ამ დანა ყერლო ალ ღურელდაქს მაგუდ მანკ ხამგნკა ხოჩმგნქა – ლატალელმა უპასუხა: იანის ძალასამც ვფიცავ, ამ ცხვარს კარგის მეტი არვითარი მავნე რამ არა სჩვევია, გარდა კარგისა;

5. თანთხერილდ მაქუამ ხაქუ ი ქორთე ლიწის ლოხუბინე, მარე თხერემ უარ ხაქუ – თანთხერილმა მადლობა გადაუხადა და სახლში დაბატიუება დაუწყო, მაგრამ მგელმა უარი უთხრა;

6. ანამბუჟუ ესერ მასლეგუეშ, მალდ ხაქუინ – რამე მოყევიო, – უთხრა მელამ;

7. ალა პალ უპნმექრეს ხოშმ ლახუბად, ხოლა ლიცუშლ ბდინეხ, მარე მაპურენა მუხუბა მამ ხასდიკგნდა – ეს როგორც კი შეიტყვეს უფროსმა ძმებმა, საშინელი ჩხუბი დაიწყეს, თუმცა უმცროს ძმას არ სწყინდა;

### მიცემითი

ქ ა რ თ უ ლ ი:

### უკუმშევლი

1. ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ, ვარსკვლავს შეგურებ ლხენითა (აკაკი);

2. საათს დახედა, ... ათ წუთში სახლში იქნებოდა (ო. იოსე-ლიანი);

3. სხივს რომ უხვად აფრქვევს, ბრწყინვალე რაა? (ა. კა-ლანდაძე);

4. ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისი აღარ მოეთხოვება (ტ. ტაბიძე);

5. ნუ გამიმტყუნებთ იმედსა, ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე (აკაკი);

## **პუმშვალი**

1. მე ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს, კლიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს (ლ. ასათიანი);
2. ვერცხლის ფიგურები მიჯრით, მიწყობილად გარს ევლებოდა ქამარს (კ. გამსახურდია);
3. ბადრიჯანს რომ ფრთები მისცა, მერცხალი იქნებოდაო (ხალხური);
4. ობოლს ერთი კვერი ერგო და ისიც ნაცრიანიო (ხალხური);
5. ყველა ალუბალს დაატყდა ტოტი, იმდენი ესხა (ი. ორჯონივიძე);

## **ჟკვეცელი**

1. გოგონას თვალები ცისფერი ექნება, ზღვისფერი (ო. იოსელიანი);
2. თეთრი თოვლის ქვეშ ლამაზ ენძელას ძინავს უთვალავს (ა. კალანდაძე);
3. მე იმ ლოთიან მომღერალს ვგავარ, ქართველი ქალის შნოსა და ჯავარს რომ უმღეროდა დაუღალავად (ლ. ასათიანი);
4. ბულბულმა დაიწყო აპრილის საღამოს ნოქტიურნი (კ. გამსახურდია);
5. ეკითხება... ეზოს განაპირას მდგარ ისლით დახურულ ოდაზე უთითებს (კ. გამსახურდია);
6. რტოს არხევდა, ნამს იშრობდა (ა. კალანდაძე);

## **პეცალი**

1. ვებერთელა საწერ მაგიდას ვუზივარ და დილის ფოსტას ვათვარიელებ (ნ. ლუმბაძე);
2. თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე და დავუჩოქებ მიწას მუხლებით (ტ. ტაბიძე);
3. თოვლის გუნდას ჰგავს ხალხში დარხეული ხმა (კ. გამსახურდია);

4. როგორ არ მინდა ჩემს სიჭაბუკეს დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები (ლ. ასათიანი);

5. ენას კლიტე არ დაედებაო (ხალხური);

6. იას ვუთხარი ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო (ვაჟა);

მ ე გ რ უ ლ ო:

1. უკუდელე ჩხოუ კუდელამს ჭანდის გგთიორაცანდუა – უკუდო ძროხა კუდიანს ბუზს უგერიებდაო;

2. მათხუალს ქიმეჩია დო მასხებელს ვემეჩავა – მათხოვარს მიეციო და მსესხებელს კი არ მისცეო;

3. მანგარგ ზოთონც ჯვირი ზარხულგ მოუნცია – მაგარ ზამთარს კარგი ზაფხული მოჰყებაო;

4. ვარდის დო ჭუჭელეს ჟირხოლოს ართო ოკო რინა – ვარდს და ჭინჭარს ორივეს ერთად უნდა ყოფნა;

5. ხოჯის ქათ დაკირანანია დო კოს-ნინათია – ხარს რქებით აბამენ, კაცს კი – ენითო;

ლ ა ზ უ რ ო:

1. ოხოი დვაჭუ ხჩინის – სახლი დაეწვა დედაბერს;

2. ადა ჯაზიქ ჭიტა ჯუმას ჯუმალეფე ქოჭკომეენ – ამ ჯაზს უმცროსი ძმისთვის ძმები შეუჭამია;

3. კოჩეფექ ათმაჯა ნუტალემან ბულდუჯინის – კაცები მიმინოს მიუშვებენ მწყერზე;

4. ნოშქერი ქოდოლობდუ ჭუვალის – ნახშირი ჩაყარა ტომარაში;

5. დიდი კარდალას ჭიტა კარდალა ქოდოლოდგუ – დიდ ქვაბში, პატარა ქვაბი ჩადგა;

6. არ ქარმატეს არ დემერენჯი ქოხეტუ – ერთ წისქვილში ერთი მეწისქვილე იჯდა;

ს ვ ა ნ უ რ ო:

1. ალ ზურალს გუნ ხალტენა მიჩა გლეხბრ ი ქორს-

მერდალასი ი სოფელსი გუნ ხალტენას, ეჯკლიბ მალუგრუტრ ი მოლტე ლგმპრ ჩიმიშ – ამ ქალს ძალიან ჰყვარებია თავისი გლეხები [და] შინამოსამსახურეებსა და სოფლელებსაც ძალიან ჰყვარებიათ, იმისთანა მოწყალე და მოსიყვარულე ყოფილა ყველასი;

2. მეთხუიარას მრაშ-მრაშ ნაირდ ხემთქუას ლითხუიპრ – მონადირეებს სხვადასხვანაირად სჩვევიათ ნადირობა;

3. თანთხერილდ ტაბბგ ოხეგ დატუს, მარე აშხუშინ ეშხუი ნათხუიარე ქა დეშ ახად, ეჩზუმ ლიზუებ ხეგუპდ ალ ფისრპდს – თანთხერილმა სუფრა გაუშალა დევს, მაგრამ ერთ ჯერობაზე ერთი ნანადირევი ვერც კი ეყო, იმდენი საჭმელი უნდოდა ამ საზიზღარს (ფისიანს);

4. უ'ესერუ ოთვიდ ალა ი ამღ'ესერ ქახაპუდის ეშხუ დალისტუს – წაუღეო ეს და ამის სანაცვლოდ კი მოგცემენო ერთ ბატკანს;

5. [მანძელდ] ჰარყი სტამნის ახფხიჭე ი ამხანქა ჰარბყს იგუშე – მასპინძელმა არყის დოქს სტაცა ხელი და აქედან ისხამს არაყს;

## ნათესაობითი

ქ ა რ თ უ ლ ი:

### უკუმშველი:

1. ო, ეს ჭადარი, სულ ცამდე შეუპოვარი ქარის და მეხის (ა. კალანდაძე);

2. მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვგოცნი (ლ. ასათიანი);

3. ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა (ლ. ასათიანი);

4. კაცის აშენებული სახლი ქარმა დაანგრია, ქარისა კი – ვერც ეშმაკმაო (ანდაზა);

5. პურის ნატეხი და ერთი ჭიქა ღვინო სიმდიდრედ ჩამით-ვალეთ (ლ. ასათიანი);

6. როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ელვა-რებდა ნაპირი (გალაკტიონი);

### პუშტეალი

1. შარიშურობდა კაკლის ხის ტოტი, ნანას უმღერდა წალკოტს ჩრდილიანს (ლ. ასათიანი);

2. ეს ისეთი ბატყანია, რომელიც მარტო მგლის ხორცს ჭამს (მიხ. ჯავახიშვილი);

3. საქის კარი ხმაურით გაიღო, შიგ ზედამზედველი ჩადგა (ნ. დუმბაძე);

4. მე ჭიშკრისაკენ გავიქეცი, რომ თავი დამეღწია (ო. იოსელიანი);

5. მეზობლის დიასახლისიც გამოჩნდა კარებში (ო. იოსელიანი);

6. კავს სახნისი დაუანგოდა, ერქვნის სახელური მონჯლ-რეულიყო (ო. იოსელიანი);

7. ეს არის ჩემი მეგობრის სული, თრთის და კანკალებს (ა. კალანდაძე);

### უკეცელი

1. არ მიღიმისო ამ მწარე მიწაზე მდელოს სიმწვანე (კ. გამსახურდია);

2. ბუს შემყურე ბუს კლანჭები თვალებში ეჩირებაო (ხალხური);

3. სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა (ილია);

4. გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად (ილია);

5. უცხო რამ ფერი იდო, მწიფე რკოს ანარეკლი გადაჰკრავდა (მიხ. ჯავახიშვილი);

6. დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ... გატეხა (საბა);

## **პერაზი**

1. ყური დაუგდე მთის შვილებს, როგორ ამაყად კივიან (ვაჟა);
2. ელისაბედმა პიტნის ჩაი დაახვედრა – ოფლს მოგადენსო (რ. ინანიშვილი);
3. ძდინარის პირად, ერთ უკაცრიელ მინდორზე დაიწყო სეკუნდანტების თათბირი (კ. გამსახურდია);
4. ოთახში რძის ჩერიალი არ ისმის (ო. იოსელიანი);
5. როცა ყნის მკა დაიწყეს, გიჟია, გადარეულიო (ვაჟა);

**მ ე გ რ უ ლ ი:**

1. მაფაშ ხასობას ჭკადუშ ჩილობა უჯგუნია – მეფის საყარლობას მჭედლის ცოლობა სჯობიაო;
2. მდინარიშ ონწეს ეშმაკევ ხოლო უკვანწუანა, ღარიბის ძიე ხოლო ვაშინია – მდიდრის საქანელას ეშმაკებიც აქანავებენ, ღარიბი ძიძასაც ვერ იშოვისო;
3. მუშენი რექ თევაგურა ჯგირი, ანგელოზიშ დასადარი? – რატომ ხარ ასეთი კარგი, ანგელოზის მსგავსი?
4. დიდებაქ მეშინუ ამდღარი ბერში ჩხორიაში ეულას – დიდება მოხსენდა დღევანდელი მზის სხივის ამოსვლას;
5. მაჭირხოლი ღორონთიშ ქოთომი რენია – მერცხალი ღვთის ქათამი არისო;

**ლ ა ზ უ რ ი:**

1. მჩხუიშ თიკანი სქანი ქობჭკომათ – შენი ცხვრის თიკანი შევჭამოთ;
2. თოფურიში გემალუ ვარ ადუშუნეს – თაფლის ჩამოტანა ვერ მოიფიქრეს;
3. ჩხომეფეში სახელი გინონ სი, გიწვა აწი – თევზების სახელი გინდა შენ, გეტყვი ახლა;
4. ქვუმე კაკალიში იყვენ, ოხიიში იყვენ – ჩურჩხელა ნიგვზისა იქნება, თხილისა იქნება;
5. წიფრიში დაჩხურონი დიშქა ქოგამილუ – წიფლის ცეცხ-

ლმოკიდებული შეშა გამოიტანა;

6. არ ზღუაში ქწნარიშა მეფიით — ერთი ზღვის ნაპირას მივედი;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. აშხუ მახალუაჟს ესნარ ხალტე ეშხუ მეზგემი დინა — ერთ ვაჟკაცს უყვარს ოურმე ერთი ოჯახის ქალიშვილი;

2. ტოთარშერ იმახათ ჰეცრიშ ლგუელ ლგმბრელი — ოთარაანთ იმახათი ეცერის დიდგვაროვანი ქალბატონი ყოფილა;

3. მად ჩუემინას ათხე, დეშ აჟუმე ამინ ნექუსა მეჩი მარემიშ — რა ქნას ახლა, [ვერ დაშლის], ვერ გადავა ნათქვაშს შეცოვანი [მოხუცი] კაცისას;

4. ლინდის ჩიმიშ იჩომდახ: ლიკნიშ, ლითიშ, ლილოემიშ, ლილგიმბლეშ — ნაღობას ყველაფრისას აკუთებდნენ: ხვნის, მკის, მატყლის ძაფის დართვის, მშენებლობის;

### მოქმედებითი

### ქ ა რ თ უ ლ ი:

### უკუმშველი

1. ვაჟა მძიმე ნაბიჯით დადიოდა და ითვლიდა (გ. რჩეულიშვილი);

2. გაკრული ხელით აჯობებს დაწერა თუ ბეჭდურით? (ო. იოსელიანი);

3. შენ უცნაური ფერით ენთები (ა. კალანაძე);

4. შხამით სავსევ და აღვსილო ნექტარით, სხვათა კარებზე დგას შენი ეტლი (ა. კალანდაძე);

5. მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და დილის ნამით გაილუმპები (ლ. ასათიანი);

## **ქუმშეაღი**

1. მისი წითელი მელნითა შემაღებინე ჭაღარა (აკაკი);
2. ეკლიო ნუ მჩხვლეტ, დამიბრუნე ვარდები (აკაკი);
3. ნამგლებით გარსა გეხვივნენ ბიჭები ჩემისთანაო (ი. და-ვითაშვილი);
4. მოქანდაკის საჭრეთელს გვერდზე გადავაგდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს (კ. გამსახურდია);

## **ქვეცაღი**

1. როცა მათ ჰქედავს ერთადა, კაცი ვერ ძღება ცქერითა (ვაჟა);
2. ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი, ქართვლის ძილშია კპნესა ისმოლა (ილია);
3. რაც მე სიტყვით გითხარი, შენ საქმით აღმისრულე (ილია);
4. ორლობის ძირში ატუზულიყო დიდი ამაღლით... ბრიყვი მამალი (ი. ორჯონიკიძე);
5. წადი, შვილო და რაც ნახე, ქართული ხმით იგალობე! (შ. ნიშნიანიძე);
6. დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სულისთ-ვის უწამებია (ილია);

## **უკვეცელი**

1. გორაკზე შემდგარი ციხის ნანგრევები ძოწნარევი ოქრო-თი მოოჭვილიყო (კ. გამსახურდია);
2. ჩამოწვა ფიფქი ტირიფის რტოით (ა. კალანდაძე);
3. რა არის, შვილო, რა დაგმართნია? – მკითხა მამამ მშვი-დობიანი კილოთი (ი. გოგებაშვილი);
4. ილიკო ასე სოფელ-სოფელ დადიოდა თავისი ბროლიათი (ს. მგალობლიშვილი);
5. გამოჩნდა წითელი ოქროთი შებურვილი ბაღი და მზე (ა. აბაშიძე);

6. მჭიდროდ შეკრული შტოებით დახურული ფაცხები ტალ-ახით იყო შეთითხნილი (ნ. ლორთქიფანიძე);

7. ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯა-დოთი, გრძნებით ნაზად, ამაყად ცეცხლსა პირს იჯდა (ილია);

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. ირფელი გურით ხარენს, დაჩხირი – უგურეთა – ყველაფერი გულით ხარობს, ცეცხლი – უგულობითაო;

2. მოზვერს კუდელით ჭოფუნს, მარა მუთ გოკო, ბორო რე – მოზვერს კუდით იჭერს, მაგრამ რად გინდა, სულელიაო;

3. ღურათ ვა ღურედათია დო დღას ვა იძირუდანია გახ-არება – არ მომკვდარიყავით, მაგრამ არც გახარებულიყავითო;

4. პიჯით ჯუდაშა გურით ჯუდა მისხუნუნია – პირით კოც-ნას გულით კოცნა მირჩენიაო;

5. ეშელი, ნები გორაცი, გიმელი, ღეჯი გორაცი., ჭინდით ჭანდი გარაცი – ადი, ნიგოზი გაფერთხე, ჩამოდი, ღორი გადენე, წნელით ბუზი მოიგერიე;

4. მაპრენე მუხტბე პთჭებ ნაზტს, ჯუედხა მინდუერისგა ჟ'პთლაკ ხოშა წურუს – უმცროსი ძმა გაჰყვა ნაკვალევს, შუა მინდორში წააწყდა დიდ ხვრელს;

5. მაპრენე მუხუბედ ახფიშუდ ტარხან ი ჩუაქშე — ყველაზე პატარა ძმამ ესროლა ხელკეტი და დაჭრა;

6. მანესგრე მუხუბედ ისგლოთუდ გარ შნმედე ლიყრულ ი ისგლათუნლო მემპერდ ალასი ქ'ოთქუით მერმე უისგუ — შუათანა ძმამ მხოლოდ შუაღამემდე შესძლო ყარაულობა და შუაღამის მერე კი ფრინველმა ამასაც მოპარა ოქროს ვაშლი;

7. ხოხრა მუხუბედ ხშექუე ალდპრს: სემი უდილ ესერ სემი მუხუბერმიშდ, ხოშა — ხოშემიშდ, მანესგრე — მანესგრემიშდ, მაპრენე მუკუჩხი — მიჩხშდ — უმცროსმა ძმამ უთხრა ამათ: სამი და — სამი ძმისთვისო, უფროსი — უფროსისთვის, შუათანა — შუათანა ძმისთვის და ყველაზე პატარა და კოჭლი კი — ჩემთვისო;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს      ა ზ ს ნ ა

ბ ე გ რ უ ლ ი:

უფრაში — უარესი  
უმოსი — უფრო მეტი  
ეშაღალა — ამოღება  
მუთუნი — არაფერი  
ცინი — ყინვა  
გინორჩიოლაფა — გადათეთრება  
მოწარო — მოცხარო  
მაჭიჭა — ასეთი პატარა  
მორიება — მორევა  
შარა — გზა  
მაზაკვალი — გამთვალავი  
მოთხილაფა — მოფრთხილება  
ღლა — ღღე  
მეცოთამა — დაკარგვა

ძირაფა — ნახვა  
ზირე — ორშემო  
უწარაში — უფრო მწარე  
თიცალი — ისეთი  
დოლო — მდელო  
ოჭკუმალი — საჭმელი  
მაღიდა — ამხელა  
საქართულ — საქართველო  
მაშქირუა — რუხი  
გორუა — ნახვა, ძებნა  
ღური — ძილი  
დიძდარი — მდიდარი  
მოჯვირე — ნათესავი

ს ვ ა ნ უ რ ი:

მწერული ლეთ – პირველი დამე  
ხოხურა მუხუბე – უმცროსი ძმა  
ხოშა ლახუბა – უფროსი ძმები  
განესგრე – შუათანა  
მაჟურენე – ყველაზე პატარა  
ლიჭემ – გაყოლა, მიღევნება  
ნაზუ – ნაკვალევი  
ჯურდხა – შორს, შორეთი  
ჯურუ – ხვრელი  
ტარხან – ხელკეტი  
ისგლეთ – შუალამე  
მემპერ – ფრინველი  
ლიქუთერ – მოპარვა, ქურდობა  
მუკუჩი – კოჭლი  
ლიმიდე – შეძლება  
ლილეშგი – წართმევა

### 3. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

მსაზღვრელი ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური. ატრიბუტულია (შეთანხმებული) მსაზღვრელი, როცა ის გადმოცემულია ზედსართავით ან საზღვრულთან ზედსართავისებრ შეწყობილი არსებითით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელითა და სახელზმით:

ლამაზი ქალი, ჭიქა წყალი, ცხრა წყარო, ჩვენი ეზო, გაბრწყვინებული სახე, სროლა საფანტი.

სუბსტანტიური (მართული) მსაზღვრელი გადმოცემულია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით) და მეტწილად გამოხატავს მასალას, კუთვნილება-დანიშნულებას: კედლის საათი, სტუდენტის ბილეთი.

განირჩევა მსაზღვრელ-საზღვრულის ორგვარი წყობა (რიგი): პრეპოზიციული (წინამავალი) და პოსტპოზიციური (შებრუნებული,

ინვერსიული). შეიძლება მსაზღვრელ-საზღვრული გათიშული იყოს რომელიმე სიტყვით ან სიტყვებით, ასეთ მსაზღვრელს გათიშული მსაზღვრელი ჰქვია.

### ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის პრუნება

|             |        |         |
|-------------|--------|---------|
| სახელობითი  | დიდ-ი  | სახლ-ი  |
| მოთხრობითი  | დიდ-მა | სახლ-მა |
| მიცემითი    | დიდ    | სახლ-ს  |
| ნათესაობითი | დიდ-ი  | სახლ-ის |
| მოქმედებითი | დიდ-ი  | სახლ-ით |
| ვითარებითი  | დიდ    | სახლ-ად |
| წოდებითი    | დიდ-ო  | სახლ-ო  |

### ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის პრუნება

|             |        |         |
|-------------|--------|---------|
| სახელობითი  | პატარა | სახლ-ი  |
| მოთხრობითი  | პატარა | სახლ-მა |
| მიცემითი    | პატარა | სახლ-ს  |
| ნათესაობითი | პატარა | სახლ-ის |
| მოქმედებითი | პატარა | სახლ-ით |
| ვითარებითი  | პატარა | სახლ-ად |
| წოდებითი    | პატარა | სახლ-ო  |

### პრეზოზიცია (შეთანხმებული)

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. მოპქრის ურა ცხენი, მონდოლური რაშით, ზედ შავი თარაქამა ვერ უსწორებს აღვირს (გ. ლეონიძე);
2. მმაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები! (გალაკტიონი);
3. ყმაწვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა ნაზი პეპელა (აკაკი);
4. ბუნებაში არ არსებობს ცივი ცეცხლი, ცხელი ყინული, ბნელი ნათელი და მშრალი წყალი (მიხ. ჯავახიშვილი);

5. ეშინია, გაზაფხულის გრილმა ჰაერმა არ დაჰქრას (გ. ჩოხელი);
6. გინაზავთ პიტალო კლდეზე ჩანჩქერი გადმომდინარი?! (ვაჟა);
7. ელვარე თოვლში მოჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თე-თრი ავდარი (გალაკტიონი);
8. მხნე ვაჟკაცის ნაცვლად თოხლო კაცს წააწყდა (მიხ. ჯავახიშვილი);
9. მემომაგონდა ბრმა იადონი და ყვავილები, სულში აღზ-რდილი (ს. ჩიქვანი);
10. წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცის-ფერი ღამე (ტ. გრანელი);
11. ამ მშენებერსა დილასა კაცს რად სურს სისხლი კაცისა?! (გრ. ორბელიანი);
12. მელამ თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა (საბა).
13. შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა (დ. გურამიშვილი);
14. ომგადახდილსა მშენოდეს მე ენიანი კაბანი (შოთა);
15. შავი ნაბდები წამოისხეს გუდამაყრელმა მწყემსებმა (გ. ჩოხელი);
16. ერთი მწირი შემოგვეკედლა, მეროჭიკე ბერი უნდა იყოს (კ. გამსახურდია);
17. ეს სააბედე სოკო ხმელ წიფელს ავაჭერიო (ვაჟა);
18. მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია (დ. გუ-რამიშვილი);

**ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება მეგრულში**

**შენიშვნა:** მეგრულში როგორც ხმოვანულიანი, ისე თანხ-მოვანულიანი ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად ბრუნებისას უცვლელია ყველა ბრუნვაში.

|                                   |                            |
|-----------------------------------|----------------------------|
| სახელობითი                        | სქვამ-ი ცირა (ლამაზი გოგო) |
| მოთხრობითი                        | სქვამ-ი ცირა-ქ             |
| მიცემითი                          | სქვამ-ი ცირა-ს             |
| ნათესაობითი                       | სქვამ-ი ცირა-შ(ი)          |
| მიმართულებითი                     | სქვამ-ი ცირა-შა            |
| დაშორებითი                        | სქვამ-ი ცირა-შე            |
| მოქმედებითი                       | სქვამ-ი ცირა-თ(ი)          |
| დანიშნულებითი                     | სქვამ-ი ცირა-შო(თ)         |
| გნებ. ანუ გარდაქც. სქვამ-ი ცირა-თ |                            |

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. კუბოს ქანმოსვანჯუანა, უჩა დიხათ დოფობრუნა – კუ-ბოში ჩამასვენებენ, შავი მიწით დამფუარავენ;
2. ლალა კოჩი დამორჩილს ღურუნია – უქნარა (ზარმაცი) კაცი შემოდგომაზე კვდებაო;
3. ამდღარ დღახუ ჩქინოთ ჭითა ობიშხა რენია – დღევან-დელი დღესასატაული ჩენთვის წითელი პარასეგვი არისო;
4. ტანო ჭიჭე ახაიგაზრდა კოჩი კოჩანენსუნი, თქუანა, მი-იბიჭუ ქიანაქია – ტანად პატარა ახალგაზრდა კაცი რომ კაცობს, იტყვიან, გადაგვარდა(მობიჭდა) ქვეყანაო;
5. მანგარ ზოთნჯის ჯგირი ზარზული მოცუნისა – მაგარ ზამთარს კარგი ზაფხული მოჰყებაო;
6. მით რჩინ კოს გაიძიცნესუნი, თინა მუში დუდიშა გიძიცანს – ვინც მოხუც კაცს დასცინის, ის თავის თავს დასცინისო;
7. მით ჭკვერ კოჩი ვარენ, შხვაში ჭკუათ იშენ უჭკუო რე-ნია – ვინც ჭკვიანი კაცი არ არის, სხვისი ჭკუით მაინც უჭკუო არისო;
8. ხენწიფეს გეუდგუ ართი სქვამ სადგემი, ნამუში კილა მუს უღუდუ – ხელმწიფეს ედგა ერთი ლამაზი საცხოვრებელი, რომლის გასაღებიც მას ჰქონდა;

## ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნება ლაზურში

**შენიშვნა:** ლაზურში როგორც ხმოვანთუბიანი, ისე თანხმოვანთუბიანი მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად ბრუნებისას უცვლელია ყველა ბრუნვაში.

|             |                         |
|-------------|-------------------------|
| სახელობითი  | დიდი მჭკონი „დიდი მუხა“ |
| მოთხრობითი  | დიდი მჭკონი-ქ           |
| მიცემითი    | დიდი მჭკონი-ს           |
| ნათესაობითი | დიდი მჭკონი-შ(ი)        |
| მიმართებითი | დიდი მჭკონი-შა          |
| დაშორებითი  | დიდი მჭკონი-შე(ნ)       |
| მოქმედებითი | დიდი მჭკონი-თე(ნ)       |

### ლ ა ზ უ რ ი:

1. რაკანის არ დიდი მჭკონი ქოგელადგინ – მთაზე ერთი დიდი მუხა დგას;
2. არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული გვომპონაპტუ – ერთი მოხუცი კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა;
3. ინი წერი ქოშუ – ცივი წყალი დალია;
4. კორლონი ცხენი წკარის სქიდუნ – კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს;
5. ხასანი მონქა ბაბუნი ტუ – ხასანი მძიმე ავადმყოფი იყო;
6. ხოწი იჯიბენ მორდერი ჭუკანითე – ხორცი იხარშება მოზრდილი ქვაბით;
7. ჭიტა ჯუმაქ ჯუმალეფეს ოხოფე დუკიდუფეს – პატარა ქმა ქმებს სახლებს უშენებს;
8. დიდი კარდალას ჭიტა კარდალა ქოდოლოდგუ – დიდ ქვაბში პატარა ქვაბი ჩადგა;
9. ტუცა წკაის შექეი ქოდოლობლაფან – ცხელ წყალში შაქარს ჩაყრიან;
10. დიდი ხოჯა სოთხანი იგზალეენ – დიდი ხოჯა სადღაც წასულა;

11. ნაკო მსქვა სიჯა რენ? – რამდენად ლამაზი სიძე არის?
12. მჩხუ ქვეთული ოთხო ფარჩა დიქიფან – მსხვილ მორს ოთხ ნაწილად გაგლეჯებ;
13. არ ჭიტა კარდალა ქელუდგუ – ერთი პატარა ქვაბი გვერდით დაუდგა;
14. დიდი ჯუმაქ უწუ წუტა ჯუმა მუშის – უფროსმა ძმაშ უთხრა უმცროს ძმას;
15. არ მჭითა მსქვა ჩხომი ოხონტალუტუ – ერთი წითელი ლამაზი თევზი ერია;
16. ხჩე ჯოღოქ, შუქრიშ ჯოღოქ, ქოძიუ დო ოჭოფუ – თეთრმა ძაღლმა, შუქრის ძაღლმა, დაინახა და დაიჭირა;
17. მჯვეში ვახთის ამიერეფე მეგრელისტანი ტუ – ძველად ეს ადგილები სამეგრელო იყო;
18. ფოთინიში დოლოხე თითხუ წინეკი მუიდუმელან – ფეხ-საცმლის შიგნით თხელ წინდას იცვამენ;
19. ქარმატეშე ვიგზალი, ოფშა ლაზუტი ვარ ორტუ – წისქვილში წავედი, ბევრი სიმინდი არ იყო;
20. კიცი ჩიჩქუ ქვაში იყვენ – კეცი რბილი ქვისა იქნება;
21. ხომულა ხაჯი ქვასუმან ბიგათე – გამხმარ ლობიოს ჯოხით ჩეჩავენ;
22. ხასანი მონკა ძაბუნი ტუ – ხასანი მძიმე ავადმყოფი იყო;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ჭრებს ხეზდა უოქტრიშ ლუმიჭურ თურეთნე შხერილ – ჯოგს ერთი ოქროს რქიანი, თეთრი, ზოლებიანი მოზვერი ურევია;
2. ჭრდი ღუატ ლი ლტყულა ი ლტთიშ – უექიშ ი ითქი ლტთიშ – გრძელი ხელკეტი არის გამყოფი და გასარჩევი – მარცვლისა და ბზის გასარჩევი;
3. აჩბდ ი ბნებჩ ალა, ჭრდი ღუატ ი სგ' სთბიშე ალ მიჩა მოახლ მარას – წავიდა და მოჭრა ეს გრძელი ხელკეტი და გადაწოდა ამ თავის მოახლე კაცს;

4. უოქტრის ლუმიჭუ მეშე კინ ჯუეგთე'სგა სგ'ანტშხ — ოქროს რქაანი შავი ხარი ჯოგში დაბრუნდა;
5. ლპკრი გუნ ხოჩა მაბგრგა ლპსუ, ლგდედ ი ლგჯმშუ — ირაკლი ძალიან კარგი მოჭიდავე იყო, ძლიერი და საიმედო;
6. ლპსუს ხოჩა ლაცლა-ლამურა, უშებრენე თხტიმ ხდის ნათირულში და იყვნენ კარგი მეგობრები, ერთმანეთს იცნობდნენ ომიანობის დროიდან;
7. იბნოლ ლიზელშლ სოფელისგა — ხედუშ მეზგას სგალშეგნოლხ, ხომზირდას ხოჩა მოსაუბლის, ხოჩა ზბღლ, ლიფშირუს — იწყებოდა მსვლელობა სოფელში — რომელ მოსახლეებაც მიადგებოდნენ, უსურვებდნენ და ულოცავდნენ კარგ მოსავალს, კარგ ახალ წელიწადს, სიმრავლეს;
8. სემეშდ-ოშთხეულეშდ მარე სოფელს ხეჭმენდა — ოცდაათი-ორმოცი კაცი შემოუვლიდა სოფელს;
9. ლირპლთე უილემზგრი ფუკუშრს უიხშელინახ, წყვლიანდ უიხშმზგრდას ი იბნას ლიღრშლს ი ლიხირუილს — გამთენისას შესაწირ ვაცებს შეულოცავდნენ, წმინდად აკურთხებდნენ და იწყებდნენ სიმღერასა და მხიარულებას;

### **პოსტპოზიცია**

**ქ ა რ თ უ ლ ი:**

1. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (შოთა);
2. მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას! (გრ. ორბელიანი);
3. დაპქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარიტანა ყვავილინი (6. ბარათაშვილი);
4. ირხევა, ბიბინებს კორდი პაწია, თეთრი ყვავილების კაბა აცვია (ა. კალანდაძე);
5. ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა ქლდოვანი (შოთა);

6. სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამდღვრად? (6. ბარათაშვილი);
7. შეარხევს რტოთა ნიავი მშვიდი (ა. კალანდაძე);
8. ტყეს წიწვიანს თეთრი თოვლი მოერია (ს. ჩიქოვანი);
9. მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტყბილი შევუთვალე (შოთა);
10. აგრე დაგშორდი ვაი-ვაგლახით, ვერ დაგახარჯე გრძნობები თბილი (ს. ჩიქოვანი);
11. კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა (შოთა);
12. სოფელი იმად არ ღირს კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა (გრ. ორბელიანი);
13. საბრალოა მხოლოდ სული ობოლი, მნელლა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი (6. ბარათაშვილი);
14. აღმობრწყინდა მზე დიდებულადა და განანათლა ქვეყანა ბნელი (ილია);
15. და თუნდაც გაღმოსულიყო მტერი შმაგი და ვერანი, მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა, სით გაუშვებდა ლელაი?! (ა. კალანაძე);
16. გამოგვეგბა ძაღლი ბებერი, გვიცნო და უცებ შეწყვიტა ყეფა (გალაკტიონი);
17. სამხრესა შინა ჰქონდა თვალი ძვირფასი (საბა);

გ ე გ რ უ ლ ი:

1. ლებია ლასირი, ლებია რკვანილი, ლებია კაკილი – არძო ლებია რენია – ლობიო ამოლესილი, ლობიო დანაყილი, ლობიო შეკმაზული – ყველა ლობიო არისო;
2. მუჭო ნინა გეწოპტყურუ, თი მახორობა ჭვილქ – როგორ ენა დამტყუა იმ სახლკარდამწვარმა;
3. მუთ რენ ქიმიპონით ჭყორინებულო, წარი ეკონაცხილო – როგორც იქნა, მოვიყვანეთ შეწუხებული, წარბშეკრული;
4. ღუმუ ზელი, ხორცი ხაშილი, ტაბაკი დოდგუმილი – სინჯაქ ვამორთუა – ლომი ჩაზელილი, ხორცი მოხარშული, ტაბლა დადგმული, სიძე კი არ მოვიდა;

5. ქოძირგ მუში ზაბორი ეკორთელი ნი, ქიმიოკიუინუ – რომ ნახა თავისი ზღუდე წაქცეული, დაიყვარა;
6. ყაზახიქ ქიდირულუ ცოდაქ – გლეხშა დაიძინა საწყალმა;
7. ცირას უჯინედეს სქვამს – გოგოს უთვალოვალებდნენ ლამაზს;
8. ჩხორო დღაში ოლუს თუნთი გუმარე უზარმაზარი – ცხრა დღის სავალზე დათვი იდგა უზარმაზარი;
9. აშო ქუმორთი ჩქიმი ძღაბი, თოლი პირჭალი, თოლი გვირალი – აქეთ მოდი, ჩემო გოგო, თვალებდაჭყეტილო, თვალებ-ბრდლვიალა (ჟუჟუნათვალებიანო).
10. კიბირი ბროილ, თოლი გვირალი, ტანი ზღვინდალი, კონიერი – კბილი ბროლი, თვალი ფართე, ტანი წერწეტა, ზომიერი;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ათხ'ალა წელში ლგლშბ უენდ გარ ანლრიხ, რშტუშტ ლგლშბ ალა დეშდორი წელ – ვირები დატვირთულნი ძლივ-ძლივობით მოდიან, ძლივძლივობით მოდის ერთი კურდლლით დატვირთული ეს თორმეტი ვირი;
2. თანლპრეა მეზელალა მაფშპრ, ლგმშდლუნე, უენდილდ გარ აპესგის ქა ლეშტუდუებთექა – უდელტეხილებზე მოსიარუ-ლენი დაღლილები, დამშეულები, ძლივძლივობით აღწევენ სამშვიდობომდე;
3. ტურისტებლ ჭალი პილს ათაგშნს ჟი შუკს, ნახუწის, ლაცეგეულს – ტურისტები მდინარის პირას დაადგნენ გზას ვიწროს, საცალფეხოს;
4. შუპნს მეპად გუხენჟი ილხნეს მუშგურის, ჯუედიახსნ ნაჯბდუს, ჟი ლუწუდინენეს – სგანეთში ყოველთვის მოულხენენ, სიხარულით მასპინძლობენ სტუმარს, შორიდან მოსულს, მონა-ტრებულს;
5. ზაულადალ სტუთე ღერდახ, ეჩე დარუ დოშდულმახა ირაგახ ი ეჩხენ ხაბნრს ი გიცრპრს ჸიდახ – ზაფხულობით ჩრდილოკავკასიაში (სავეთში) გადადიოდნენ, იქ ორ თვეს (ორ

ახალმთვარეს) დაჰყოფდნენ და იქიდან მოზვერები და ვერძები გადმოჰყავდათ;

## სუბსტანტიური შსაზღვრელი

### პრეპოზიციული:

|             |              |
|-------------|--------------|
| სახელობითი  | მზის სხივ-ი  |
| მოთხრობითი  | მზის სხივ-მა |
| მიცემითი    | მზის სხივ-ს  |
| ნათესაობითი | მზის სხივ-ის |
| მოქმედებითი | მზის სხივ-ით |
| ვითარებითი  | მზის სხივ-ად |
| წოდებითი    | მზის სხივ-ო  |

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი (გ. ორბელიანი);
2. ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის კუთხე პატარა, ქედმოდრეებილა ნაღვლით საწყალი (ილია);
3. ყორდანებიდან გნოლი აფრინდა, ყაბარდოს ველი გადაი-არა (გ. ლეონიძე);
4. გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა (გალაკტიონი);
5. ახლა იწყება წითის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შე-გეშინდებათ? (გალაკტიონი);
6. ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამ-ჭევრი (დ. გურამიშვილი);
7. მე ვარ სიტყვის მეწისქვილე, შენი თეთრი თმის მემინდე (სიმ. ჩიქოვანი);
8. გარეთ იანვრის ქარი ზუზუნებს (გ. ჩოხელი);
9. რას მრისხანებ ჩემო ბედის ვარსკვლავო? (ნ. ბარათაშ-ვილი);

10. საზარელია სიმარტოვის უამს საიდანლაც მონაქროლი ამაოების ქარი (გ. ჩოხელი);
11. შენ ეს მითხარი, იზლერის ბაღი გინახავს? (ილია);
12. დიდი არხის წყალი ღიღინებდა, მოუსვენარი ლიახვი დილის ზღაპარს მღეროდა (მიხ. ჯავახიშვილი);
13. დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო (დ. გურამიშვილი);
14. კაკლის ჩეროში, მაღლობლად ღობის, დგას ქვის მაგიდა (მ. მაჭავარიანი);
15. იქვე ეგდო სალომეს გუდა და შინდის ჯოხი (გ. ჩოხელი);
16. ისევ აშლილა აბასის ურდო, ისევ მომდგარა კახეთის კარზე (ა. კალანდაძე);
17. ოქროს ტაბაკს დაემსგავსა გუდამაყრის ხეობა (გ. ჩოხელი);
18. სინათლის სვეტი ისევ ცაში ადიოდა (გ. ჩოხელი);
19. თაფლის სანთლები ლიცლიცებდნენ ნისლებში (კ. გამ-სახურდია);
20. დილის საუზმე ცოლის მზითევს სკობიაო (ანდაზა);

ბ ე გ რ უ ლ ი:

|               |   |
|---------------|---|
| სახელობითი    | ხენწიიფეშ(ი) დოხორე „ხელმწიფის სასახლე“ |
| მოთხოვობითი   | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-ქ                   |
| მიცემითი      | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-ს                   |
| ნათესაობითი   | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-შ(ი)                |
| მიმართულებითი | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-შა                  |
| დაშორებითი    | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-შე                  |
| მოქმედებითი   | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-თი                  |
| დანიშნულებითი | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-შო(თ)               |
| გარდაქცევითი  | ხენწიიფეშ(ი) დოხორე-თ                   |

1. ოქროში ლაგამს ღურა უჩქუ – ოქროს ლაგამმა სიკვდილი იცის;
2. ოსურიშ მუმაქ მუში ვაზირი მიდაშქუ – ქალის მამამ თავისი ვეზირი გააგზავნა;

3. გურქის ხანიშ დოხორეშა – გასწის ხანის სასახლისკენ;
4. დუდიშ ჭუაში წამალს კუჩხის გეუდვანდესია – თავის ტკივილის წამალს ფეხზე აღებდნენ;
5. ზარაზანიშ ტყვიაქ მოფხვადასგნი, იშა ქომსხუნუ დობლურენი – ზარბაზნის ტყვია რომ მომზვდეს, იმას მოვკვდე მირჩევნიაო;

ლ ა ზ უ რ ი:

|               |                  |             |
|---------------|------------------|-------------|
| სახელობითი    | ჯაში ოხორი       | „ხის სახლი” |
| მოთხოვობითი   | ჯაში ოხორი-ქ     |             |
| მიცემითი      | ჯაში ოხორი-ს     |             |
| ნათესაობითი   | ჯაში ოხორი-ში    |             |
| მიმართულებითი | ჯაში ოხორი-შა    |             |
| მოქმედებითი   | ჯაში ოხორი-თე(ნ) |             |
| დაშორებითი    | ჯაში ოხორი-შე(ნ) |             |

1. ფათიშაიშ ბიჭი ოხოიშა მენდახთუ დო ოხოის დოთქუ – ფათიშაის ვაჟი შინ წავიდა და სახლში თქვა;
2. ნჯაში თუდე მეხთუ დო საჯაქი კუჩხე-ამამთი ქოდოდგუ – ხის ძირში მივიდა და ზედადვარი პირალმა დადგა;
3. ადა ფათიშაიში ბერე დო ბადიში მოთა ართიკართის დვაყ-ოოფენან – ამ ხელმწიფის ვაჟს და მოხუცის შვილიშვილს ერთ-მანეთი შეუყვარდებათ;
4. მწეოში ბიგა ქომუმელან – წყავის ჯოხს მოიტანენ;
5. მშერიში ფავრი დოწილუ – შექრის ფოთოლი მოკრიფა;
6. დიღი ოდას ფიცარიში დუშემე დოვოხვენაფი... ჩამის ფიცაი ქომოიღი – დიდ ოთახში ფიცრის იატაკი დავაგებინე;
7. ოფუტეში დობერეფე დოჭუ – ეზოების დობეები დაწვა;
8. ოხვამეშ ხვამა იყვენ – ეკლესიის ლოცვა იქნება;
9. სიჯა ბოზოში ოხოიშა მენდიონამან – სიძეს ქალის სახლში წაიყვანენ;
10. ბექს ნანაქ ოხორვას მეჩაფს ფარა – ბავშვის დედა ქალს მისცემს ფულს;
11. ჰექ დივიშ ტხორშე ქომეხთუ – ის დევის სახლში მივიდა;

12. ქოთუებეში ხორცი ბგიბუფთ წკაის – ქათმის ხორცს ვხარშავთ სახლში;

13. ფუჯიში ტებიშე ქალამანი ბიქუმთ – ძროხის ტყავისგან ქალამანს ვიკერავთ;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ლაპგლეტარშლი ზექიშ ლაშტი, ნამშარან სგლვნი ნაზიმ, ნაკლათხან ტედრად ხოკლათხა, უშეუსრუი ლგწკგტად ეშდ-დეშდ სგლვინ ერ ათსკელაშ – ყალბიბიც ზისა იყო, სიგანით სულგუნის ზომისა, ვედროზე უფრო მაღალი, ერთმანეთზე დაწყობილად ათ-ათი სულგუნი რომ დატეულიყო;

2. ხაშდბას ჰამგნლუე ნშბოზდ ი ნშბოზს ხეჭუინს მაპრენა მეყერებას, ხოხრა მუხუბებები ხეხუს – მუშაობენ დილიდან საღამომდე და შებინდებისას უთხრეს ყველაზე პატარა რძალს [შილს], უმცროსი ძმის ცოლს;

3. მიშგუ ბაბას მეპად ხშრდენა ჯუეგ ქუინიმგენებ ი დაქლებში – ჩემს ბაბუას ყოველთვის პყოლია ჯოგი საქონლისა (სულდგმულისა) და თხის;

### ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

#### მ ე გ რ უ ლ ი:

ლაგამი – აღვირი

ჭუა – ტკივილი

გვევალა – დადება

მოხვალამა – მოხვედრა

ენოსეანჯაფა – ჩასვენება

კამპანია – თავშეყრა, ლხინი

ფორუა – დაფარება

დამორჩილი – შემოდგომა

თბიშხა – პარასკევი

ახალგაზრდა – ახალგაზრდა

მეშქუმალა – გაგზავნა

კუჩი – ფეხი

ზარაზანი – ზარბაზანი

სხუნა, სხუნაფა – რჩევა

ხარეალი – ჩხაკუნი, ხმაური

მიწა – მიწა

ლალა – უქნარა

დღახუ – დღესასწაული

ჩქინოთ – ჩვენთვის

კოჩანობა – კაცობა

|          |                |         |           |
|----------|----------------|---------|-----------|
| მობიჭეთა | — გადაგვარება  | ქიანა   | — ქვეყანა |
| მანგარი  | — მაგარი       | ზოთონჯი | — ზამთარი |
| ჯგირი    | — კარგი        | ზარბული | — ზაფხული |
| რჩინა    | — მოხუცი       | გეძიცა  | — დაცინვა |
| ჰკვერი   | — ჰკვიანი      | უჰეუ    | — უჰეუ    |
| ხელწიფე  | — ხელმწიფე     | სქვამი  | — ლამაზი  |
| სადგრი   | — საცხოვრებელი | ნამუში  | — რომლის  |
| კილა     | — გასაღები     | მუს     | — მას     |
| ლუნა     | — ქონა         | გედგუმა | — დადგმა  |

ლ ა ხ უ რ ი:

ფათიშაიშ ბიჭი — ფადიშაის ბიჭი  
 ნჯაში თუდე — ხის ძირას  
 ბადიში მოთა — მოხუცის შვილიშვილი  
 მწერიში ბიგა — წყავის ჯოხი  
 მშერიში ფავრი — შქერის ფოთოლი  
 ფიცარიში ღუშემე — ფიცრის იატაკი  
 ოწუტეში ღობერევე — ეზოების ღობები  
 ოხვამეშ ხვამა — ეკლესიის ლოცვა  
 ბოზოში ოხო — ქალის სახლი  
 ბეეს ნანა — ბავშვის დედა  
 ღივიშ ოხორშე — ღევის სახლიდან

ს ვ ა ნ უ რ ი:

მაბგრგა — მოჭიდავე  
 ლათიშ — გასარჩევი  
 მეშხე — შავი  
 ლიშდალ — ბრძოლა, ომი  
 ლიტეს — დაბრუნება  
 ნათირუ — გაცნობილი  
 ლიზელალ — სიარული, მსვლელობა  
 ლიმზირ — ლოცვა

**ზავ** – წელი  
**ლიფშირუ** – სიმრავლე, გამრავლება  
**სემეშდ** – ოცდაათი  
**ოშთხტეშდ** – ორმოცი  
**ლირჰალ** – გამოქნია  
**უილემზგრი ფუკუარ** – შესაწირი ვაცები  
**წყვლიან** – წმინდა  
**ლიბნე** – დაწყება  
**ლილრჰალ** – სიძლერა  
**ლიხირუილ** – მხიარულება  
**ლგლაბ** – დატვირთული  
**შუან** – სკნეთი  
**კოწოლ** – მცირე, ცოტაოდენი  
**ნამშარი** – სიგანე, სიფართე  
**ნაკლათხი** – სიმაღლე  
**ლისკიდ** – დატევა  
**მეჰად** – მუდამ, ყოველთვის  
**მეუერუა** – შილი, მების ცოლები  
**მეზელალა** – მოსიარულენი  
**ლგმბდლენე** – დამშეული  
**უენდილდ** – ძლიერდივობით  
**ნახუწი** – ვიწრო  
**ლაცხგეუილ** – საცალფეხო  
**გუხანე** – გულიდან  
**მეშგური** – სტუმარი  
**ჯუელახან** ნაკადუ – შორიდან მოსული  
**ჟილუწულინენე** – მონატრებული  
**ზატლადელ** – ზაფხული  
**ლოშლულმახე** – ახალი მოვარე  
**ლირაგე** – დაყოვნება, დარჩენა  
**ხანა** – მოზვერი  
**გიცხ** – ვერძი  
**ლიგდე** – მოტანა

## პოსტპოზიციური

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა (დ. გურამიშვილი);

2. მართალია მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქეყანას არ მოუხდების (დ. გურამიშვილი);

3. ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის, გზაც ნაწილმარია (ა. კალანდაძე);

4. რტო ალვისა შენი წელი მგონია, მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია (გრ. ორბელიანი);

5. ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა (გრ. ორბელიანი);

6. მნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამწინი სოფლისა (ნ. ბარათაშვილი);

7. ვნახავ ქორწილს ბუნებისა, გავიგონებ მის მაყრულსა (აკაკი);

8. დადუმებულა მთაწმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა (აკაკი);

9. მონა ვარ, მონა ბუნების, ღონე არა მაქვს დავისა (ვაჟა);

10. მე მომაგონდა ხმა ორფეოსის და ჰომეროსის თვალებში ბინდი (ს. ჩიქოვანი);

11. ხოხბობას გნახე, მიწურვილ იყო როცა ზაფხული რუსთაველისა (გ. ლეონიძე);

12. ენკენისთვეში მთებიდან ისმის ყვირილი ირმისა (გ. ლეონიძე);

13. მთლიან კედელზე თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამწერივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა (ილია);

14. კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი მივცე ზღვის ღელვას (ნ. ბარათაშვილი);

15. და ჩემს შემდგმომად მომმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს (ნ. ბარათაშვილი);

16. შავმა ნისლმა დაფარა მთები დაღესტანისა, აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა (გალაკტიონი);

17. ხელი მონისა არსაკიძისა, რაითა შეუნდოთ (კ. გამსახურდია);

### მ ე გ რ უ ლ ო:

1. აზრი მუჩი რუსთაველიში, ხეს კალამი დამიშვენი – აზრი მომეცი რუსთველისა, ხელში კალამი დამიშვენე;
2. ცქვაფა მოკო დოვჭარე კიწიში დო თამარიში – ქება მინდა დავწერო კიწისა და თამარისა;
3. ხმაქ ქუმასიმუ ანგელოზეფიში ბირაჯგურა – ხმა მომესმა ანგელოზების სიმღერის მსგავსი;
4. არაბის უღუ ხე ფულანდიში – არაბს აქვს ხელი ფოლადის;
5. ქიმაჭყერ ათი ჟამქ, დღეობაქ თე ზაზენიშიქ – მოუსწრო ამ ხანობაში დღეობამ ამ მასპიმძლისამ;
6. შეუდირთ ოსტატენქ კეთებას ცუდეშის – შეუდგნენ ოსტატები შენებას სახლისას;

### ლ ა ზ უ რ ო:

1. რაკანის ქაშუხტიმუნ თუთა მარაშინაში (ყიფ.23) – მინდორში ამოსულა მთვარე აგვისტოსი;

### ს ვ ა ნ უ რ ო:

1. დოსგ ანმუსე ლახტურთე, ამღად მუჟღურეში ლეშდბპრ უზგრად ოთსპდხ: ლიქდე ზექიშ, ლიქჩე ჩალპშ, ლიკენდლი დაბრეშ, ჟილიკედ ი სგა ლიმდჯე მაჟბდიშ – ადრე ჩამოთოვა მთებზე, ამიტომაც დაუმთავრებელი დაურჩათ შემოდგომის სამუშაოები: მოტანა შეშის, მოჭრა ჩალის, ნარჩენებისაგან მოწმენდა ყანებისა და შემოზიდვა მოსავლისა;

2. ურუჰდ ბენახ ი ალადილ ბეფშუს ხეკუეს ლაგას ოთგენენს ალამბგ გურეშ: ლიშგალი დაკრეშ ი ფურლეშ, ლილდედ ნელშტელარეშ, ნაბოზს სგა ლიკაუეტი ქუილგმენბლეშ – უთენია ააყენებდნენ და ასეთ პატარა ყმაწვილს უნდა მოეგვარებინა ამდე-

ნი საქმე: მოწვევლა თხებისა და ძროხებისა, მწყემსვა თიკნებისა, საღამოს კი შემორეკვა საქონლისა;

3. ჰელ დურეუტ ესლიგრდა, ნანოს ხოშილ ი ხოშილ ხაჟანდა ეჯზუმდ ოხთგლერე მაწლუნდ დიეში მუეშ – რაც დრო გადიოდა, ნანოს უფრო და უფრო სწყინდებოდა, იმდენად მოუჭირა მონატრებამ დედისა და მამის;

4. რგპი ი ბური იყლურალდა, ეჩქა ლავბინე ჭუქპრისგა მეზელაშლ მეთხურიბრდ ლითერუპრაშლი ნათხურიარალეშ, ლინაზუე ერსკნალე ნარდუიშ – თენდებოდა, ნათელი და ბნელი იყრებოდა, მაშინ დაიწყო ჭიუხებში მოსიარულე მონადირემ დათვალიერება ნანადირევისა, კვალზე გასვლა ერკემალთა ნამყოფისა;

### თავისთავადი ზედსართავი სახელის ბრუნება სვანურში:

ბქვ.

ბ%

|       |             |                 |
|-------|-------------|-----------------|
| სახ.  | ხოშა „დიდი“ | ხოშა            |
| მიც.  | ხოშა-მ      | ხოშამ  ხოშა-ს   |
| მოთხ. | ხოშ-ეგ      | ხოშემ  ხოშა-დ   |
| ნათ.  | ხოშ-ეგ      | ხოშემ-იშ        |
| მოქ.  | ხოშოშუ      | ხოშამ-შუ        |
| ვით.  | ხოშა-მ-დ    | ხოშამ-დ  ხოშა-დ |

მხ. რ.

მრ. რ.

მხ. რ.

მრ.რ.

|       |                |          |                  |            |
|-------|----------------|----------|------------------|------------|
| სახ.  | ხოჩა „კარგი“   | ხოჩშლ    | ძლგდ „გეგერთელა“ | ძლგდ-შრ    |
| მიც.  | ხოჩა-ს//ხოჩა-ს | ხოჩშლ-ს  | ძლგდ-ს           | ძლგდ-შრ-ს  |
| მოთხ. | ხოჩა-დ         | ხოჩშლ-დ  | ძლგდ-დ           | ძლგდ-შრ-დ  |
| ნათ.  | ხოჩემიშ        | ხოჩალ-ეშ | ძლგდ-იშ          | ძლგდ-რ-ეშ  |
| მოქ.  | ხოჩამშუ        | ხოჩშლ-შუ | ძლგდ-შუ          | ძლგდ-შრ-შუ |
| ვით.  | ხოჩა-დ         | ხოჩშლ-დ  | ძლგდ-დ           | ძლგდ-შრ-დ  |

## მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ნიმუშები

| მს. რ.   | მრ. რ.  |
|--|---|
| სახ. კუნინელ მურყუამ „ქველი კოშკი“ კუნინელ მურყუმ-ბლ-ლ<br>მიც. ჯუნინელ მურყუამ-ს ჯუნინელ მურყუმ-ბლ-ს | მიც. ჯუნინელ მურყუმ-ბლ-დ<br>მოთხ. ჯუნინელ მურყუამ-ლ ჯუნინელ მურყუმ-ბლ-დ |
| ნათ. ჯუნინელ მურყუმ-იშ ჯუნინელ მურყუმ-ალ-ეშ  | მოქ. ჯუნინელ მურყუამ-შრ<br>ვით. ჯუნინელ მურყუამ-დ ჯუნინელ მურყუმ-ბლ-დ   |
| სახ. სემი მარე „სამი კაცი“ მესმე ლპმზგრპლ<br>„მესამე სადლეგრძელო“                                    | მიც. სემი მარე-ს/სამ მარა მესმე ლპმზგრპლ-ს                              |
| მოთხ. სემი მარე-დ მესმე ლპმზგრპლ-დ   | ნათ. სემი მარემ-იშ მესმე ლპმზგრპლ-იშ                                    |
| მოქ. სემი მარა-უშ მესმე ლპმზგრპლ-შრ<br>ვით. სემი მარე-დ/სამ მარა-დ მესმე ლპმზგრპლ-დ                  | ვით. სემი მარა-უშ მესმე ლპმზგრპლ-შრ                                     |
| მს. რ.   | მრ. რ   |
| სახ. მიშგუ გეზალ „ჩემი შვილი“ მიშგუ გეზლირ<br>მიც. მიშგუ გეზალ-ს მიშგუ გეზლირ-ს                      | მოთხ. მიშგუ გეზალ-დ მიშგუ გეზლირ-დ                                      |
| ნათ. მიშგუ გეზლ-ბშ მიშგუ გეზლირ-ეშ   | მოქ. მიშგუ გეზალ-შრ<br>ვით. მიშგუ გეზალ-დ მიშგუ გეზლირ-შრ               |
| სახ. მახე დოშდულ „ახალი მთვარე“ ხოჩა მარე „კარგი კაცი“   | მიც. მახა დოშდულ-ს ხოჩა მარა  |
| მიც. მახა დოშდულ-დ ხოჩა მარ-ემ/მარა-დ  | მოთხ. მახა დოშდულ-ბშ ხოჩა მარ-ემ/იშ                                     |
| ნათ. მახა დოშდულ-შ ხოჩა მარ-ოშ   | მოქ. მახა დოშდულ-შრ<br>ვით. მახა დოშდულ-დ ხოჩა მარა-დ                   |
| სახ. ბახტ ქორ „ქვის სახლი“ ქორ ბახ-პშ „სახლი ქვის“   | მიც. ბახტ ქორ-ს ქორ-ს ბახ-პშ-ც  |

|       |               |                  |
|-------|---------------|------------------|
| მოთხ. | ბაზის ქორ-დ   | ქორ-დ ბაზი-შ-დ   |
| ნათ.  | ბაზის ქორ-შ-შ | ქორ-შ ბაზი-შ     |
| მოქ.  | ბაზის ქორ-შუ  | ქორ-შუ ბაზი-შ-შუ |
| ვით.  | ბაზის ქორ-დ   | ქორ-დ ბაზი-შ-დ   |

### პოსტპოზიცია:

|       |                               |                             |
|-------|-------------------------------|-----------------------------|
| სახ.  | დოშდულ მახე<br>„მთვარე ახალი“ | დეც მეფე<br>„ცა მოწმენდილი“ |
| მიც.  | დოშდულ მახა                   | დეც მეფე                    |
| მოთხ. | დოშდულ მახე-დ                 | დეც მეფე-დ                  |
| ნათ.  | დოშდულ მახემიშ                | დეც მეფემიშ                 |
| მოქ.  | დოშდულ მახოშ                  | დეც მეფეშუ                  |
| ვით.  | დოშდულ მახად                  | დეც მეფედ                   |

### გათიშული მსაზღვრელი

ქ ა რ თ უ ლ ი:

1. სუნი მეცა გაზაფხულის, უცნაური ვიგრძენ ძალი (აკაკი);
2. გონებას ფიქრი სტანჯავდეს, გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი (ვაჟა);
3. მგლური დააწყვეს ნაბიჯი, მოკლედ გადმოვლეს გზანია (ვაჟა);
4. უეცრად ალაგს მივადექ, ტურფასა, ლამაზიანსა (დ. გურამიშვილი);
5. სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი (შოთა);
6. იას ვუთხარი ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო (ვაჟა);
7. ჩქარა მინდა ვუყელო და თოფი ვტყორცნო ხმიანი (გ. ლეონიძე);
8. და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი;
9. მუხავ, მიყვარხარ, ტიალო, განმარტოებით მდგომარე (ვაჟა);

10. მათთან ყანები მქონდა ზიარი და მძიმე უღლით ბევრჯერ ვეწამე (ს. ჩიქოვანი);

11. როგორც ხმალი, მმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია (გ. ლეონიძე);

12. გულში იმავე გრძნობით ბრუნდება და მოლოდინი დარეკავს ჩუმი (გალაკტიონი);

13. მივიდა ადგილსა ერთსა: კვიპაროზი იდგა მშვენიერი, ძირს წყარონი დიოდეს (საბა);

14. წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი (გალაკტიონი);

15. ტანზე ქრისტესი აცვია კვართი, გადაჰყავს ოევზნი რიონში მტკვარით (მ. მაჭავარიანი);

ს ვ ა ნ უ რ ი:

### გათიშული მსაზღვრელი

1. მუხუბე, ისგუ ნალმპრგი, ლეჟას ი ზიადულ, მი ჯიხალდებს გრის აშ მინარჲე! – ძმაო, შენი სიკარგე, საამაყოვ და სასიხარულოვ, გულს ლაღად მინათებს, იცოდე!

2. ჟელს, ლედური ქუინ ხსიხა, მბიდირს, ი ეშ ხსძგრა ლაპრყილთესგა, იმუშა ლედურისი ლგმჯაბინს ი შდარშლსი ლგმტყაბინს – ძაღლს, ხორცის სუნი სცემია, დამშეულს, და პირდაპირ შევარდნილა არყის სახდელ მინაშენში, სადაც ხორცსაც ხარშავდნენ და ტაროებსაც წვავდნენ;

3. ბეფშუს მეპად ხაგუ ლიგაზდილე, მამჭირსას ი უნაქუას – ბავშვს ყოველთვის უნდა აღზრდა და გაწყრომა, ზარმაცს და გაუგონარს;

4. თელლრას, ამჟი უქუმაქუდ სგა ლახშკიფენა, მახე ნაკიდუს, ნაცხუაპს – რძალს, ეგრე უსიტყვოდ შეჰვეთებია, ახლად მოყვანილს, მონატაცებს;

## ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

ძ ე გ რ უ ლ ი:

ლებია — ლობიო  
ლასირი — ამოლესილი  
კაქილი — შეკმაზული  
იწოტყურაფა — დატყუება  
ჭვილი — დამწვარი  
მოცოუნაფა — მოყვანა  
ჭყორინებული — შეწუხებული  
წარი — წარბი  
ეკონაცხილი — შეკრული  
ლუმუ — ლომი  
ზალა — მოზელა  
ხაშილი — მოხარშული  
ტაბაკი — ტაბლა  
ლოდგუმილი — დადგმული  
სინჯა — სიძე  
მოულა — მოსვლა  
ზაბორი — ზღუდე  
ეკორთელი — წაქცეული  
კიუინი — კივილი

ს კ ა ნ უ რ ი:

ლეჟპხ — საამაყო, სასიქადულო  
ხიაღულ — სიხარულო, ნეტარო  
ჯიხალდებდს — იცოდე!  
გრის აშ მინარპე — გულს მინთებს  
ზელ — ძაღლი  
ლელუ — ხორცი  
ჭუინ — სული, სუნი

**ბბდლარ** – მშიერი  
**ლაპრეცილ** – არყოს სახდელი ქონი  
**იმუშავ** – სადაც  
**ლგჯბბ** – მოხარშული  
**შდა** – ტარო  
**ლგტფბ** – შემწვარი  
**ბეჭშუ** – ბავშვი  
**მეჟად** – მუდმივად, მარად  
**ლიგვზდილე** – აღზრდა  
**მამჭირბვ** – ზარმაცი  
**უნძჭუა** – თავისნათქვამა, გაუგონარი  
**თელლრა** – რძალი  
**უქუმაქუდ** – უსიტყვოდ  
**ლახშკიფენა** – შეჰვეთებია  
**მახე** – ახალი  
**ნეკიდუ** – მოტანილი  
**ნაცხუაჭ** – მოტაცებული, მონატაცები

### §3. რიცხვითი სახელი ქართველურ ენებში

რიცხვითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეუარდებით. ამის მიხედვით რიცხვითი სახელი სამგვარია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

**1. რიცხვითი სახელის ბრუნება ქართველურ ენგბში  
რაოდენობითი რიცხვითი სახელი:**

|      | მ ე გ რ უ ლ ი         | ლ ა ზ უ რ ი                |
|------|-----------------------|----------------------------|
| 1    | ართი                  | ართი/არ                    |
| 2    | ჟირი                  | ჟური/ჟუ                    |
| 3    | სუმი                  | სუმ(შუმ)                   |
| 4    | ოთხი                  | ოთხო                       |
| 5    | ხუთი                  | ხუთ                        |
| 6    | აშშვი                 | აში/ანშ                    |
| 7    | შქვითი/შკვითი         | შქით                       |
| 8    | რუო/ბრუო              | ოვო                        |
| 9    | ჩხორო                 | ჩხორო                      |
| 10   | ვითი                  | ვით                        |
| 11   | ვითაართი              | ვიტოარ (ხოფ.) ვიტარ (არქ.) |
| 12   | ვითოჟირი              | ვიტოჟურ                    |
| 13   | ვითოსუმი...           | ვიტოსუმ...                 |
| 20   | ეჩი                   | ეჩი/ეჩ                     |
| 21   | ეჩიდოართი             | ეჩიდოარ                    |
| 30   | ეჩიდოვითი//ეჩდოვითი   | ეჩიდოვით                   |
| 40   | ჟარნეჩი               | ჟურონეჩი/ჟურნეჩი           |
| 50   | ჟარნეჩიდოვითი         | ჟურონეჩიდოვითი             |
| 60   | სუმონეჩი              | სუმენეჩი                   |
| 70   | სუმონეჩიდოვითი        | სუმენეჩიდოვითი             |
| 80   | ოთხონეჩი              | ოთხონეჩი/ოთხნეჩი           |
| 100  | ოში                   | ოში                        |
| 200  | ჟიროში                | ჟუროში                     |
| 300  | სუმოში                | სუმოში                     |
| 400  | ოთხოში                | ოთხოში                     |
| 1000 | ათასი//ანთასი//ვითოში | შილია                      |
| 2000 | ჟირათასი              | ჟურშილია                   |

## ს კ ა ნ უ რ ი

- 1 ეშხუ
- 2 მორი, დერუ, ლნტ. დერბი
- 3 სემი
- 4 ტრაქთხუ, ტრაქთხუ
- 5 უოხტიშდ, ბქვ., ლშხ. უოხტიშდ, ლნტ. უოხტიშტ
- 6 უსგრუა უსკრუა
- 7 იშგურიდ იშკურიდ
- 8 არა
- 9 ჩხარა
- 10 დეშდ დეშტ
- 11 ფეშდეშხუ დეშტეშხუ
- 13 დეშდსემი...
- 20 დერტეშდ დერბეშტ (=ორათი)
- ოცეულსა და ერთეულს შორის იხმარება კავშირი ი,,და“:
- 21 დერტეშდიეშხუ ლნტ. დერტეშტიეშხუ
- 24 ერტეშდიტრატხუ დერტეშტიტრატხუ

ბზ. ლშხ.

ბქვ.

ლნტ.

- 30 სემეშდ
- 31 სემეშდიეშხუ
- 40 ტრატხეტეშდ
- 50 ტრატიშდეშდ
- 60 უსგრუშდ
- 70 იშგრუიდშდ
- 80 არაშდ
- 90 ჩხარაშდ
- 100 აშირ
- 1965 ბზ. ეშხუ ათას ჩხარა აშირ უსგრუაშდიტრატხუ
- დერტეშდიეშდ
- დერტეშდიეშდეშხუ
- ურინტერტეშდ
- ურინტერტეშდიეშდ
- სუმინდერტეშდ
- სუმინდერტეშდიეშდ
- ტრატხეტერტეშდ||ტრატხუნერტეშდ
- ტრატხეტერტეშდიეშდ

## რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება ქართულში

### თანწმოვანფუძიანი ხმოვანფუძიანი

|             |         |          |
|-------------|---------|----------|
| სახელობითი  | სამი    | ცხრა     |
| მოთხრობითი  | სამ-მა  | ცხრა-მ   |
| მიცემითი    | სამ-ს   | ცხრა-ს   |
| ნათესაობითი | სამ-ის  | ცხრ-ის   |
| მოქმედებითი | სამ-ით  | ცხრ-ით   |
| ვითარებითი  | სამ-ად  | ცხრ-ად   |
| წოდებითი    | (სამ-ო) | (ცხრა-ო) |

1. გაქრა ათასი თეთრი დარბაზი, გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი (გალაკტიონი);
2. ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიერო (დ. გურამიშვილი);
3. ასი მკრან გულში მირჩევნის, მტირალი ქალის ცქერასა (რ. ქრისთავი);
4. სამი დღეა დამიბრიყვა სევდამ, სამი დღეა გამუდმებით წვიმს (მ. მაჭაგარიანი);
5. ფუტკარი ასი თვალი გყავს – ერთი თქვი, ერთი გყავს, – ასი თქვიო (ანდაზა);
6. ერთმან მტერმან ათასსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი (დ. გურამიშვილი);
7. გაივლის კიდევ ცამეტი წელი, მოახლოვდება გზა ოცდაე-ქვის (გალაკტიონი);
8. გადმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია (დ. გურამიშვილი);
9. ეს ალამი დიდ ზაალთან ერთად ორმოცდაათი წელიწადი ატარა, ასიოდეჯერ ამოავლო ბრძოლის ცეცხლში, ოციოდე ჭრი-ლობა მიიღო, და... თავის პირმშოს – ღვთისავარს გადასცა (მიხ. ჯავახიშვილი);
10. ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად ვუხსენე გვარია (დ. გურამიშვილი);
11. ეს ერთი და სხვა ათასი, მეფეთ მეფეო! (კ. გამსახურდია);

12. ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიდება (მიხ. ჯავახ-აშვილი);

13. სიტყვაშ ცხრა კარი უნდა გაიაროს (ხალხური);

14. ექვსი თვე ადგა თურამნიძე თურმე მამამზეს (კ. გამსახურდია);

15. სამი ღამე ათიეს ერთი წიფლის ქვეშ დანთებული ცეცხლის პირად (კ. გამსახურდია);

### რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება მეგრულში

|         | თანხმოვანფუძიანი | ხმოვანფუძიანი |
|---------|------------------|---------------|
| სახ.    | ჟირ-ი „ორი”      | ჩხორო „ცხრა”  |
| მოთხრ.  | ჟირ-ქ            | ჩხორო-ქ       |
| მიც.    | ჟირ-ს            | ჩხორო-ს       |
| ნათ.    | ჟირ-იშ(ი)        | ჩხორო-ში      |
| მიმართ. | ჟირ-იშა          | ჩხორო-შა      |
| დაშორ.  | ჟირ-იშე          | ჩხორო-შე      |
| მოქმ.   | ჟირ-ით(ი)        | ჩხორო-თ       |
| დანიშნ. | ჟირ-(ი)შო(თ)     | ჩხორო-შო(თ)   |
| ვნებ.   | ჟირ-ო            | ჩხორო-თ       |

1. ართი კოს სუმი კოჩექ „ჯვერე რექია” ქუუწუ და, თოლიშა ხეს ქომიფუჩონუანს – ერთ კაცს სამშა კაცმა თუ უთხრა „ბრმა ხარო”, თვალებზე ხელს ამოისვამს;

2. ჟირგ კუჩხის ქოთომგ ხოლო გერენია – ორ ფეხზე ქათამიც დგასო;

3. ოში გლახა მაშიებელს ართი ჯვირი მაჩუალარი უჯვუ – ას ცუდ მშოვნელს ერთი კარგი შემნახველი სჯობსო;

4. სუმონეჩდოვითი ცოდაქიმინელს ართი მარდი გინოწონუნ-

სია — სამოცდაათ ცოდვაჩადენილს ერთი მაღლი გადაწონისო;

5. ოთხი ჯიმალებს ართი ქუდი გიორთუნა, ვითოჟირი ჯი-  
მალენს ართი ორთუმელი მეუბუნა — ოთხ მმას ერთი ქუდი ახ-  
ურავს, თორმეტ მმას ერთი სასთუმელი აქვს;

### რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება ლაზურში:

|               |            |       |              |
|---------------|------------|-------|--------------|
| სახელობითი    | ჟური       | „ორი” | ჩხორო „ცხრა” |
| მოთხრობითი    | ჟური-ქ     |       | ჩხორო-ქ      |
| მიცემითი      | ჟური-ს     |       | ჩხორო-ს      |
| ნათესაობითი   | ჟური-შ(ი)  |       | ჩხორო-ში     |
| მიმართულებითი | ჟური-შა    |       | ჩხორო-შა     |
| მოქმედებითი   | ჟური-თე(ნ) |       | ჩხორო-თე(ნ)  |
| დაშორებითი    | ჟური-შე(ნ) |       | ჩხორო-შე(ნ)  |

ვიტოჟურ წანერი ბორტი — თორმეტი წლისა ვიყავი;

1. ოხორი მა ჯურ ოხორზა ქომიონუნ — შინ მე ორი ცოლი  
მყავს;

2. ჰამუში ოხორზა ვა იჩოდე! არ ვარ ონ, ჯურ ვა ონ, ხუთ  
ვარ ონ — ამისი ცოლი არ გათავდა, ერთი არ არის, ორი არ  
არის, ხუთი არ არის;

3. ოთხო წანა ქოდოსქუდუ — ოთხს წელს დარჩა;

4. დაღის არ თილქი ქონარგუ — ტყეში ერთი მელა შეხვდა;

5. სუმ ბერე მემიშკუ — სამი ბავშვი დამიტოვა;

6. ჯიგეი ჟური ენა: უჩა დო ხჩე — ჯიგარი ორია: შავი და  
თეთრი;

7. ჯურნეჩიდოსუმ წანა დოღურუ — ორმოცდასამ წელს  
მოკვდა;

8. შქით დღაში არ დაპა ოხორზა ქომობიონი — შვიდ დღეში  
კიდევ ერთი ქალი მოვიყვან;

9. ქოდოსქუდუ ჯურ ჯუმა, ჰიმ ოშკურიში ჯურ თანე

დოშინახუ – დარჩა ორი ქმა, იმ ვაშლისა ირი ცალი შეინახა;

10. ეჩიდოჯურ წანა შქიმიშკალა რტუ – ოცდაორი წელი ჩემთან იყო;

11. მოთალეფე ქომიონუ. სუმეჩიდოვიტოჯურ წანერი ბორ – შვილიშვილები მყავს, სამოცდათორმეტი წლისა ვარ;

12. ოკიკათეს დო სუმი-თ ხოლო იმტეს – შეგროვდნენ და სამივე გაიქცა;

13. ჯურ ბიჭი, არ ბოზომოთა ქომიონუ – ორი ვაჟი, ერთი ქალი მყავს;

14. მა სუმ ეშელი ქომიონურტუდა დო არ თანე სო ონდა? – მე სამი ვირი მყავდაო და ერთი ცალი სად არისო?

15. შილი ქოგიღუნ ნა, ხუთოში ქომომიჯღონი – ათასი თუ გაქვს, ხუთასი გამომიგზავნე;

16. ბერეფე არი ოდაშა მინდიყონუ – ბავშვები ერთ ოთახში წაიყვნა;

17. ვიტოხუთ წანა ტეს კურბეთის – თხუტმეტი წელი იყვნენ საშოვარზე;

18. ხუთ კაპიკი ნა იჩალიშუ კოჩი ჩხორო შილდა მანათი უღუნ – ხუთ კაპიკად რომ იმუშავა, იმ კაცს ცხრა ათასი მანეთი აქვს;

19. ჯურ წანა ქუდოვუთუ – ორ წელიწადს დადგა;

20. ჭურ კუჩხე ჰაშო დოუ დო ჯურ კუჩხე ჰაშო, კოჩი დოუ – ორი ფეხი ასე გააკეთა და ორი ფეხი ასე, კაცი შეიქმნა;

21. ართის დუკლამან, მაჟუანის მოძინამან – ერთს დაუკლებენ, მეორეს მოუმატებენ;

22. სუმ არშინი ქომოვოგით-და – სამი არშინი მოვიგეთ ამაზე;

23. ძღემურიქ უწუ-ჩი: „აში დო შკით კოჩი იილენდა – ძღე-მელმა უთხრა: „ექვსი და შვიდი კაცი იკვლებაო”;

24. ჩხორო ფარჩა დოკორობუ და არ დეის ქოდოდუ – ცხრა ნაწილი მოაგროვა და ერთ ადგილას დადო;

25. ეჩი ხანე მოხთეს ესკი თრაბუზონიშა – ოცი კომლი მოვიდა ძველ ტრაბიზონში;

## ს ვ ა ნ უ რ ა:

1. პრის სემი ლაპტება, ალდირს ხორდას მუ, ჰედუშებს ხეუხშნ ხტჯი — არიან სამნი მმანი, ამათ ჰყავდათ მამა, რომელსაც ერქვა ხაჯი;

2. აღო, საჩქრებრს ესერ მაღ ხტბცინადა, იშვერ ესერ მამგუეშ ხაკუ მიჩა, ჩუ-ტ-ოთძიჭ ეშდიოროუ უღლუა კან, ჩელტორესგა სგა-ტ-ესწებტ, ურ-ტ-ოხმბრე — აბა საჩუქარს რომ მპირდებოდიო, სხვა არაფერი არ მინდა შენი, დამიკალი თორ-მეტი უღელი ხარი, ჩელტში ჩამიწყვე, გამიმზადეო;

3. უპნთიშ თერსაყანდ ღორი ლშდმედ მახელუბუ, ქალახუებ ღორი ჩერ ლუსტებ — ამოირჩია თერსაყანმა ორი საიმედო ვა-ჟკაცი, მისცა სპილენძის ორი ლურსმანი;

4. მაპტრენე მუხტებე სგა ლოხგუდირდა რაშილდს ი ეშხური ლგზბდ ლშსტ — უმცროსმა მმამ ხელი მოპკიდა რაშს და იყო მხოლოდ ერთი წლისა;

5. ესუქებდ ფაგუად ი ეშხუ ნშსტილინუ ეშხუ მექან ბარჩისნდ ჩუახტაბე — გვერდი აუქცია ფაგვამ და ერთი მოქნ-ევით ცალი მკლავი მხრიანად ჩამოათალა;

6. აღ სამ ლახუბას ხორდას სემი ლადჩურა — ამ სამ მმას ჰყავდა სამი და;

7. ლაცლა-ლამგუა ექგრდა ლშსტხ გუნ ლგქმბშ ი ხოჩა ლამარგ მახელუაუბრ — მეგობრები ორივენი იყვნენ მალიან ძლიერები და დიდად ვარგისი ვაჟკაცები;

8. ღერთს განსაკუთრებულდ მონწებმ ოჯახხ აჯაღ ურ-დ-ხტხას ი სამინ ქად ხალრალუნას — ღმერთის განსაკუთრებუ-ლად მორწმუნე ოჯახები კიდევ დააბრუნებდნენ და სამჯერ კიდევ ამღერებინებდნებ;

## რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება ქართულში

|             |              |
|-------------|--------------|
| სახელობითი  | მეშვიდე      |
| მოთხრობითი  | მეშვიდე-ძ    |
| მიცემითი    | მეშვიდე-ს    |
| ნათესაობითი | მეშვიდე-ს(ი) |
| მოქმედებითი | მეშვიდე-თ(ი) |
| ვითარებითი  | მეშვიდე-დ    |
| წოდებითი    | მეშვიდე-ვ    |

- დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი (გ. ლეონიძე);
- მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულს და საბეგროს (ილია);
- ყიზილაშმა ესეც ჩამოაგდო ცხენიდან... გავიდა მესამე, ... გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე... ყველას იგივე დღე დააყენა თათარმა (ილია);
- ერთ დროს ჩვენ გვყოლია ქართლის მეფე გიორგი მეთერ-თმეტე (ილია);
- სიცოცსლე, მისთვის სიკვდილი მქონდა მეორე რჯულადა (ვაჟა);
- მეხუთე წერილზე მე მივხვდი, რომ უშუალოდ თეკლაზე ვლაპარაკობდი (ო. ოსტელიანი);
- კლდეს მოაწყდება ზღვაური, მეშვიდე ცაზე ატანილს (ა. კალანდაძე);
- სოფლის ბოლოში გამოეღვიძა მეორე დღეს ფირუზას (გ. ჩოხელი);
- მექქსე კლასში უარი გამოგვიცხადა ფეხბურთის თამაშზე (გ. ჩოხელი);
- მეცხრესა დღესა ერთსა ასეთსა სახლსა აწვია, რომე დიდად უცხო იყო. (საბა);
- მოაგონდა გიორგის ნიალის ველზე ბერძნებთან შეტაკების პირველი ღამე (კ. გამსახურდია);
- გიორგის შეეძლო, ახალი წლის მეორე დღესვე თვალები დაეთხარა მამამზისათვის, ვიდრე პირველი თოვლით შეიფიფქე-

ბოლნენ მთები (კ. გამსახურდია);

13. მესამე ღმენის ეტყობა ლეკვების გაყვანა დააპირა მგელმა (ო. იოსელიანი);

14. მესამე დილა უფრო გაცრეცილი გათენდა...მეოთხე დილას რიურაჟს მხოლოდ მოხუცილა შეეგება (გ. ჩოხელი);

15. მეშვიდე თუ მეცხრე გრძნობით ხედავს თუ ესმის, რომ სამართალი მუდამ სტყუის საქმესთან (მიხ. ჯავახიშვილი);

16. ვახტანგ მეექვსემ ერთხელ ერთ ხევში სუმბული ნახა, თეთრი და წმინდა (ლ. ასათიანი);

17. პირველ გასროლაზე მხოლოდ ბოლო, მეხუთე ცხენი დაფრთხა (ო. იოსელიანი);

### რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება მეგრულში

|               |              |
|---------------|--------------|
| სახელობითი    | მამშვა       |
| მოთხრობითი    | მამშვა-ქ     |
| მიცემითი      | მამშვა-ს     |
| ნათესაობითი   | მამშვა-შ(ი)  |
| მიმართულებითი | მამშვა-შა    |
| დაშორებითი    | მამშვა-შე    |
| მოქმედებითი   | მამშვა-თი    |
| დანიშნულებითი | მამშვა-შო(თ) |
| გარდაქცევითი  | მამშვა-თ     |

1. პირველი ბედი ბედი რე, უკულიანი – გვერდი რე – პირველი ბედი ბედია, შემდეგი – მონახევრე;

2. ართი ცოროფასგ ლური უჩქუ, მაჟიასგ – გაშერება, მასუმასგ – გილულა დო მაოთხასგ – გახანგება – ერთმა სიყვარულმა ძილი იცის, მეორემ – გაშტერება, მესამემ-სიარული, მეოთხემ – გაგიუება;

3. ასე მასუმა ძლაბი, უკულაში, მოლეუნესგ, ქიმერთეს შეფაშა – ახლა მესამე გოგო წამოიყვანეს, მივიდნენ სეფამდე;

4. პირველი ლუკა ფერი ოჭკუმი, მეტიქ ვარხვადასინი, დიგორძლასიე – პირველი ლუკმა ისეთი შეჭამე, მეტი რომ არ შეგხვდეს, გაგაძლოსო;

5. ქოზეპუ ჯას დუღი, ეკირთვ ჯაქ, მაჟრა ჯას ქიმნანთხუ, მაჟრაქ ხოლო ეკირთუ დო მასუმას ქიმნანთხუ – ხეს თავი დაარტყა, წაიქცა ხე, დაეცა მეორეს, მეორეც წაიქცა და დაეცა მესამეს;

### **რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება ლაზურში**

|               |              |
|---------------|--------------|
| სახელობითი    | მაჟურა       |
| მოთხრობითი    | მაჟურა-ქ     |
| მიცემითი      | მაჟურა-ს     |
| ნათესაობითი   | მაჟურა-ში    |
| მიმართულებითი | მაჟურა-შა    |
| მოქმედებითი   | მაჟურა-თე(6) |
| დაშორებითი    | მაჟურა-შე(6) |

1. მაჟურანი ნანა საიბი მუში ქომოხთუ – მეორე წელს მისი პატრონი მოვიდა;
2. მაჟურა არქადაში ვი მანათიშა წალე ვა იჩალიშუ – მეორე ამხანაგმა ათ მანეთზე ნაკლებ არ იმუშავა;
3. მაჟურა უღუტუ ვი მანათი – მეორეს ჰქონდა ათი მანეთი;

ს ვ ა ნ უ რ ი:

### **რიცხვითი სახელის ბრუნების ნიმუში**

|       |            |                   |                 |
|-------|------------|-------------------|-----------------|
| სახ.  | დეშდ „ათი“ | მეშგულე „მეშვიდე“ | ეშხუ „ერთი“     |
| მიც.  | დეშდ-ს     | მეშგულე-ს         | ეშხუ-ს          |
| მოთხ. | დეშდ-დ     | მეშგულე-დ         | ეშხუ-დ//აშხუ-ემ |
| ნათ.  | დეშდ-იშ    | მეშგულე-ემ-იშ     | ეშხუ-მ-იშ       |
| მოქ.  | დეშდ-შტ    | მეშგულე-შტ        | ეშხუ-ტშ         |
| ვით.  | დეშდ-დ     | მეშგულე-დ         | ეშხუ-დ          |

1. მესმა ლეთ მაპურენე მუხუბე ლენბოზათე ჩულხდუდა, ეჩქანლო უილა-დლეგნე ჰამდ ი უ-სხლეჩე ოქტრა ტუსგუ – მესამეს ყველაზე პატარა ძმამ შებინდებისას წაუძინა, მერე დი-

ლამდე ათია ლამე და კიდევაც დაიცვა ოქროს ვაშლი;

2. მერმა ლეტ ლუფუნანდო ლპიმგვნე ი ისგლეთუ ჟ'ანგშნ – მეორე ლამეს დაწოლის მერე მიახლოებით განსაზღვრა და შუალამისას წამოდგა;

3. მესმა-მეშთხუა ლადლპრს ანკუპდ დაშვ ალდართე ი მანგუი ხეჯი მანგუამ ხეჯუ, ჩეუნდო მაშენე უდილ ხაშგუმინ – მესამე-მეორთე დღეს ამათთან მოვიდა დევი და პირველ რიგში ხაჯის სამძიმარი უთხრა, მერე უფროსი და სთხოვა;

4. მერმა ხელწიფეს ხორი აჯაღ მიუუწუდუნა დინაგეზალ – მეორე ხელმწიფეს კიდევ პყავს მზეთუნახავი ქალიშვილი;

5. ეშეუ აშეუთე ხოჯუირი, მერმე – მერმათე, ჩუ-დემუ-მოშ-ხასკდა – ერთი ერთ შხარეს უჯიკავებს, მეორე – მეორე მხარეს, ვერაფრით ვერ ეტევიან;

### წილობითი

#### ქ ა რ თ უ ლ ი:

1. წამოველ, უფალმა მიბომა საზრდო დღევარი: ორი კიტრი და საზამთრო მე ნახევარი (დ. გურამიშვილი);

2. ბევრი რამ გამეგონა ქართველ ქალებზე, მაგრამ ნახევარი არ მეჯერა (აკაკი);

3. ქედელი იმის მესედ მიწასაც არ ხმარობს, რასაც ცხ-ვრის პატრონი თუში (ვაჟა);

4. თუშები მხოლოდ წაგებენ დ ვერაფერს კი მოიგებენ და ახლა თუ ნახევარზე მეტს სარგებლობენ, მაშინ მოუხდებათ დას-ჯერდნენ ერთი მეოცედ ნაწილს შირაქისა (ვაჟა);

#### ბ ე გ რ უ ლ ი:

1. ქონებაში ნავითალქ ქერგუ ვითი და დო ჯიმაშე – ქონების მეათედი ერგო ათი და-ძმისგან;

2. მუსუთ ელუდუნი, თიში ნანთხალქ ხოლო ვეშენვა-დუ, გაჭირებულს – რასაც ელოდა, იმის მეოთხედიც არ შეზვდა, საწყალს (გაჭირვებულს);

3. კოჩი ქიჩინენი, ფუთი დო გვერდი ჯიმუ ოკო ოჭკუმენა — ადამიანი რომ გამოიცნო, ფუთ-ნახევარი მარილი უნდა შეჭამოო;

4. თე საქმეთი თიქ ხალხის მუში გურიშ მარდიშ ნასუმორი ოძირუ — ამ საქმით მან ხალხს თავისი მადლის მესამედი უჩვენა;

### ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ლექი ესერ ნაოშთხულიშ მენაში, ოდო მეხნსგის მოდ-  
მაგდ ესერ ხოჭირ — საწყალი ნაოთხალის მონაწილე, ოორებ  
მენახევრეს მაინც არა უჭირსო; (ალ. დავითიანი, სვან. ანდაზ.  
1973, გვ. 55);

2. მეშვერ ფიშირ ლემშრს ი ნამშატი მადხურდ გარ  
ათხტიენახ, ნამსმრდ, იმუშვეუ მინ ტტრილდახ — მუშები ბევრნი  
ყოფილან და ნამუშევარიც ცოტა შეხვედრიათ, მხოლოდ მესა-  
მედილა, როგორც თვითონ ამბობდნენ;

3. ლატალუ მაპტრენე მუხუბეს მესგუე ნატალ გარ ხს  
ხურდ — გაყოფისას ყველაზე პატარა ძმას მეექვსედილა შეხვდა;

### სიტყვების ახსნა

#### მ ე გ რ უ ლ ი:

|                          |                            |
|--------------------------|----------------------------|
| სუმი — სამი              | ცვერე — ბრძა               |
| თოლი — თვალი             | ხე — ხელი                  |
| ქოთომი — ქათამი          | გერინა — დოგმა             |
| ური — ორი                | ოში — ასი                  |
| გლახა — ცუდი             | მაშიებელი — მშოგნელი       |
| მაჩუალარი — შემნახველი   | სუმონეჩდოვითი — სამოცდაათი |
| ცოდუქმნელი — ცოდვაჩდნილი | ართი — ერთი                |
| მარდი — მადლი            | ეწონუა — აწონვა            |
| ჯიმა — ძმა               | გერთუმალა — დახურვა        |
| ვითოჟირი — თორმეტი       | ორთუმელი — სასორმელი       |
| უკულიანი — შემდეგი       | გვერდი — ნახევარი          |
| ლური — ძილი              | მაჟია — მეორე              |
| მასუმა — მესამე          | გილულა — სიარული           |

|               |           |           |            |
|---------------|-----------|-----------|------------|
| მაოთხა/მანთხა | — მეოთხე  | გახანგება | — გაგიუება |
| უკულაში       | — უმცროსი | ძღაბი     | — გოგო     |
| მოცუნაფა      | — მოყვანა | შეფა      | — სეფა     |
| ლუპა          | — ლუპმა   | ჭეუბუა    | — ჭამა     |
| ფერი          | — ისეთი   | რძლაფა    | — გაძლომა  |
| ზეპუა         | — დარტყმა | დონთხაფა  | — წაქცევა  |

ლ ა ზ უ რ ი:

|           |          |         |            |
|-----------|----------|---------|------------|
| ოხორზა    | — ცოლი   | ეშელი   | — ვირი     |
| ოშკური    | — ვაშლი  | კურბეთი | — საშოვარი |
| თანე      | — ცალი   | ვეო     | — ადგილი   |
| შქიმიკალა | — ჩემთან |         |            |

ს ვ ა ნ უ რ ი:

|            |               |               |                      |           |
|------------|---------------|---------------|----------------------|-----------|
| მუ         | — მამა        | ლიდთანლ       | — გაყოფა             |           |
| ჰელუში     | — რომელიც     | მესგუე        | ნათილ                | — მექსედი |
| ხეჭან      | — ერქვა       | იმუში         | — სადაც              |           |
| ნაშიმილ    | — მესამედი    | იშგენ         | — სხვა               |           |
| მამგუეშ    | — არაფერი     | ქალახუემ      | — მისცა              |           |
| ჩეო        | — სპილენბი    | ლუსუემ        | — ლურსმანი           |           |
| ნასტილინშუ | — მოქნევით    | მეჯარ         | — მკლავი             |           |
| ბარკ       | — მხარი       | ლგჯმაშ        | — ღონიერი            |           |
| ექერდა     | — ორთავე      | ლენბოზათე     | — საღამო უამს        |           |
| ჩულაშულდა  | — წაიძინა     | ლილგენი       | — ღამისთევა          |           |
| ჰამ        | — ღილა        | ჟანლეჩე       | — ღაღცა, მოუფრთხილდა |           |
| ისგლეთჟი   | — შუაღამისას  | მესმე-მეშთხუე | — მესამე-მეოთხე      |           |
| ანკად      | — მოვიდა      | დავ           | — ღევი               |           |
| მანკუი     | — პირველად    | ხაშგუმინ      | — სთხოვა             |           |
| მანგუამ    | — სამძიმარი   | მიუუწუდუნა    | — მზეთუნახავი        |           |
| დინაგეზალ  | — ქალიშვილი   | ლეური         | — საცოდავი           |           |
| აფაღ       | — ისევ, კვლავ | მგ ხნსეი      | — მენახევრე          |           |
| მგშებრ     | — მუშები      | ფიშირ         | — ბევრი, მრავალი     |           |
| მადლუში    | — ცოტაოდენი   | ნაშაუ         | — ნამუშევარი         |           |

**გარ** – მხოლოდ

**ეშდის რა ულტა კან** – თორმეტი უღელი ხარი

**ოქტოპუსის ულტა** – ოქტოს ვაშლი

**ნაოშთხულიშ მგნათი** – მეოთხედის მოწილე

## 2. რიცხვითი სახელი შსაზღვრულად (პრეპოზიცია)

ქართული:

1. ათი გზა მაქვს, ათივე შენსკენ მოდის (გრ. ორბელიანი);
2. ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი (ილია);
  3. ჰა, აკაციის ორი ხე დგას მოჩუხჩუხე წყაროსთან (ა. კალანდაძე);
  4. ნახევარ საათში ციხე აშლილ ღობე-ყორეს დაემსგავსა (მიხ. ჯავახიშვილი);
  5. სასახლის ქონგურებს უამრავი მერცხალი შემოეხიზნა (კ. გამსახურდა);
  6. ბევრი ნაღველი შეასვეს მტრებმა ამ ჩემსა გულსაო (აკა-კი);
  7. ერთმან კაცმან დიდალი ოქრო მიწაში დაფლა (საბა);
  8. ადრინდელი მთხოვნელები უფრო მეტს შვრებოდნენ: ათას ჭორს უგონებდნენ მარიკას (გ. ჩოხელი);
  9. ბევრი წყარო და ბევრი ხევია ბეთანიამდე (ა. კალანდაძე);
  10. საქართველოს ისტორიის ეტლში ყოველთვის მხოლოდ ერთი მერანი იყო შებმული (მიხ. ჯავახიშვილი);
  11. იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირადო (დ. გურამიშვილი);
  12. მიუყვები აღმართს, ხუთი საათის სავალი გზაა სათიბე-ბამდე (გ. ჩოხელი);
  13. შვიდ წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა (ილია);
  14. შვიდი იბერიელი და ცამეტი სარკინზი გამოიყვანეს ტყვეების მწკრივიდან (კ. გამსახურდა);
  15. ეგებ მელქისედეკს ეგონოს, სამასი ფხოველი ტყვე კმა-როდეს მუშახელად (კ. გამსახურდა);

## მ ე გ რ უ ლ ი:

1. გეოუ ჟირი თუთაქ ნი, ხრისტაგანქ უწუუ ბელთაგანი-ტარიელს: მა, ჯიმა, ასე ოკო იბდევა – ორი თვე რომ გავიდა, ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგან-ტარიელს: ახლა, ძმაო, მე უნდა წავიდეო;
2. თი ხენწიფეს ცუნსუ სუმი ცირასქუა, მეტი მუთუნი ვა აპალუ – იმ ხელმწიფეს ჰყავს სამი ქალიშვილი, მეტი არაფერი აბადია;
3. ართი ცორადილი უშქური ოში შხვას დოცორიდუნს – ერთი დამპალი ვაშლი ასე დაალპობს;
4. ჟირ დღაში სიცოცხლეშ გურიშენი დადიაქ ჯოდორიშ ხორცი ჭკომუა – ორი დღის სიცოცხლის გულისთვის დადიანმა ძალლის ხორცი შეჭამა;
5. ტარკალე ოში კოს ვარშვე – ტიტველს ასი კაციც ვერ გაძარცვავს;

## ს ვ ა ნ უ რ ი:

1. დარუ ზაუნლო ჯაშლარბეგი პდჩჩეშნ – ორი წლის მერე ჯაშლარბეგიც გასიძია;
2. სგ'პდსკინე ი უ'შნებუეშ ალ'ნ, ეშხუ ქარახს ზისხ, ი ლახსგურდა მიჩა ჩიჟუ ი სემი ზბჟ ი სემი თუეუ ი სემი ნაგზი, სემი ლადგალს ანღერდა – გადახტა და აავსო ერთი ყანწი სისხლით და მოდიოდა სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კირას და სამ დღეს;
3. ქალუზგუნე სტუდარ უეშგდ ეშდიტოშთხუ ზაუნლო ანტახე – გადასახლებული სავები (ჩრდილოკავკასიელები) თოთხმეტი წლის მერე უკან დაბრუნდნენ;
10. ჩემს თხელ თითზე მზემ იპოვა ფერი თვისი (ი. ორჯონიძე);

11. აპა, საფიცარი შენი, ამ დღისთვის გამოგაროვი, ამას ველოდი (საბა);

12. მე შენი სამეფოდ გინდა თუ მწყემსად? (საბა);

13. აოხრდა ყოველი სამეფო მისი (საბა);

14. მტერმა მძლო, ამიკლო, სპანი ჩემნი ამოსწყვიტა და მეც შემიპყრეს (საბა);

15. ისე ვუყვარდი მამასა ჩემსა, სულსა თვისსა ჭირსა ჩემსა ანაცვალებდა (საბა);

## მ ე გ რ უ ლ ო:

1. დადი ჩქიმიქ დომჩინუა – ბებიაჩემმა დამიბარაო;

2. ჭუმე მეურქ დიდა ჩქიმიშა – ხვალ მივდივარ დედაჩემთან;

3. ათენა ცუნდუ მუაჩქიმს – ეს ჰყავდა მამაჩემს;

4. რცუნდას სქუა ათეცალი დო ეჭყორდუქ – გყავდეს შვილი ამისთანა და ამოწყდები;

5. კათა თეზმა ჭე ხანი ქორე ვამბირუნ – ხალხი ამდენი კარგა ხანია არ მინახავს;

## ს ვ ა ნ უ რ ი:

1. ხელწიფდ ხქეშირინ: მიჩა ესერ ეკატ ლპსუ ე მაპრენე სიმაქ, მაპრენე დინა მიჩა – ხელმწიფემ უთხრა: შენი იყოსო უმცროსი ქალიშვილი, ყველაზე პატარა გოგონა მისი;
2. ხელწიფს ხორი მიუუწდუნა სიმაქ ეკატლიბ, ერე ეჩი ლისგდის მამგუეშ ხოჩა – ხელმწიფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალ-იშვილი იმისთანა, რომ იმის ყურებას არაფერი სჯობს;
3. ოთქარტუ ალამბგ ზედა[შ] ნაშშატ-ნაგარჯ მიშვუ ი მეტარ ლალ გური მექუშე მარ – დავკარგე ამდენი წლის ნაშრომ-ნაჯა-ფარი ჩემი და ძალზედ გულგატეხილი ვარ;
4. ნარდატუ ი ნაგშზდილ ეჩიშ ალ ბეფშუ ი მი მამ ონჭინდას ამჟი ხოჩა ირრლ – გაზრდილი და ალზრდილი იმისი – ეს ბავშვი და მე არ მოველოდი ასეთი კარგი იქნებოდა;
5. ალ გურეშ კისლ ლი გუნ ლეგბრჯ, მარე ლესუნე ი ლაგას ლეგნე ისგუ, ამდა დარ მოშ ხენჩღდალ – ეს საქმე, მართლაც, საკმაოდ რთულია, მაგრამ გასაკეთებელი და გადასაწყვეტი – [მხოლოდ] შენი, ამიტომაც ვერავინ ვერ ჩაერევა;

# ტექსტები გაბმული მეტყველებიდან

## ქ ა რ თ უ ლ ი

### I

ბეჭელი ღამე იყო და ფანჯარაში არაფერი ჩანდა. ცოტა ზანში გარემო ჩაჩუმდა.. დაწყნარდა სახლი. ისევ ჩათვლიმა ბებომ. დილით მამალმა გააღვიძა. — მელამ არ გამიწყვიტოს ქათმები! — ლოგინიდან წამოდგა და გარეთ გავიდა. გაოცებისაგან კარგა ხანს ერთ ადგილას იდგა: მის ეზოში უზარმაზარი წიფლის ხე მოეტანა ზვავს და კენჭეროზე მამალი ყიოდა. დანარჩენი ქათმებიც წიფლის ტოტებზე ისხდნენ. ეტყობოდა, ზვავს საქათმე მოეგლივა და უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წიფლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი.

### II

მთელი ზამთარი აკრთობდა შორეული ზეცის სიმარტოვიდან მოსულ თეთრ თოვლს მუხის სიშავე. ხანდახან მონადირეები-საგან დამფრთხალი კურდღელი შეაფარებდა ხოლმე გამომწვარ მუხაში თავს და ფეთქავდა შემთინებული და განაბული. მუხას, მართალია, ეძინა, მაგრამ საზარელ ხილვებში იყო წასული. სტ-კიოდა გამომწვარი ტანი. გრძნობდა, რომ რაღაც ფეთქავდა მის შიგნით და გული ეგონა. რას იფიქრებდა, რომ კურდღელი იყო.. მერე ის ფეთქაც თანდათან სუსტდებოდა და იკარგებოდა. დაშვიდებული კურდღელი ხტუნვა-ხტუნვით ჩარბოდა სოფლისაკენ. ყურები ზურგზე ჰქონდა გადაკიდებული. მთელი ზამთარი ასე იყო. მერე თანდათან გაიღვიძეს სხეებმაც. ქალწულებივით მოქნეულ ტოტებზე დასკდნენ კვირტები. ჭრელი ჯუბა მოიქსოვა გაზაფხულმა.

### III

ანანურს მაშინ სულ სხვა ღვთაებრივი შუქი დაპკრავდა... სხვა ეშხი ჰქონდა, სხვა სიდიადე. ის ორი ქორბუდა ირემიც გრძნობდა ამას და შეპყურებდნენ გარინდებულები... თითქმის ყველა ანა-ურელმა იცოდა მათი არსებობა. ჭალის ანგელოზებს ეძახდ-

ნენ... ზოგი ბედნიერი იმათ მწყემს ბიჭსაც მოჰკრავდა თვალს. ძოგი ნაკვალევს წააწყდებოდა ახალმოსულ თოვლზე. ირმების ნაჩლიქარს შორის მერთალად ჩანდა ბიჭის ნავალი. მერთალად ეტყობოდა, თითქოს ჩიტის სიმბიმეც კი არ ჰქონდა.

გაზაფხულის პირზე რამდენიმე მორწმუნე ქალი ხავიწის პატარა კვერებს გამოაცხობდა, პატარა შოთებზე დადებდა, ზედ პატარა სანთლებს დაანთებდა და არაგვის გადაღმა, მურყნარში დაუტოვებდა ირმების მწყემსს (გოდერძი ჩოხელი. „რატომ ტირის ადამიანი“).

#### IV

ოქუმის სასახლე იავარქნილი იყო სრულიად. ჩუქურომანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს. თავკიდურები ფრინველებს წაებილწათ. ურთხშელის რიკულები დაეძროთ, კიბის ტერასზე გადმოსული სახურავის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს.

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოეჭრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპპარვოდათ, ბებერი მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ, ბაღჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაეშესხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს. ხულას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა, განზე მოეღრიჯა უამთასიავეს ძველთაძველი წაბლის სახლები (კ. გამსახურდია. „მოტაცება“).

#### V

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ფარეშები გარბი-გამორბოდნენ, მზარულებმა ნებიერა წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნეს ჩაუკიდეს, გამდელები დატრიალდნენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი. მოურავი დიდი გულმოდგინებით შეკყვიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს... ცხვრები მოაბლავლეს, ქათმები ააკრიახეს, ბატ-ინდაური მორეკეს. იყო ერთი ფაცაფუცი და მზადება. მოურავი სინჯავდა საკლავებს, სიმსუქნე ხომ არ აკლიათო.

ამ დროს ერისთავები, სტუმრები და მასპინძელი ერთად ისხდნენ სასტუმრო ოთახში ტახტზე ფეხმორთხმით და გაცხარებული საუბარი ჰქონდათ (აკაკი წერეთელი. „ბაში-აჩუკი“).

## VI

დიდი თურქობის უაშს გადაბუგულ სოფლებში მამლის ყივილიც არ ისმოდა. ადრიან ნისლით დაბლანდულ გზებზე გამოჩნდებოდა მარტოხელა მხედარი, შუბოსან სპათა დანახვაზე შეკრთებოდა და გაქუსლავდა ცხენს.

სახაზინო ქვაბებისკენ პარვით მიმავალნი მკვიდრნი ყურს მოჰკრავდნენ თუ არა ცხენების თქარათქურს, მიწაზე განერთხ-მებოდნენ, ხოხვით მიაშურებდნენ ტყეს... გზის ასაქცევებთან, საბრძოლო გოდოლებიდან გაღმოდგებოდნენ მეფის მოისარნი, უყივოდნენ მეწინავეთა. სეფედროშას რა შეიცნობდნენ, სცემდ-ნენ სპილენძის დაფდაფებს, ეკლესიებში არისხებდნენ ზარებს. ღელავდა ვაზირთა უპირველესი, უკვირდა მოუსვლელობა გვარა-მისა... სწორედ ამ დროს სერზე გამოჩნდა თეთრწვერა მოხუცის მუზარადიანი თავი. სეფედროშას რა მოეახლნენ ჯავახელნი, მარ-ჯველ გადმოხტა გვარამ ერისთავი ცხენიდან... ქუდმოხდილი ემ-თხვია ძელიცხოველს, შემდგომ ამისა ვაზირთა უპირველესს ეამ-ბორა სელზე... შემდეგ შემოახტა ცხენს, წინ გაუსწრო ჯავახელ აზნაურთა ამალას და მიჰყეა ჭყონდიდელის იაბოს.

ტაოელნი სპანი მოიკითხა ვაზირთა უპირველესმა. ...უფლის-ციხის ზეთავებსა და ბანებზე ალაშს აფრიალებდნენ. ციხის ფარებთან თავმოყრილი ხალხი სეფედროშას ესალმებოდა, ხის ჯვრები ეჭირათ მეციხოვნეთ ხელში, აღტკინებულნი ყვიროდ-ნენ: „მზეგრძელი იყოს უფლისწული დავითი!“ როცა მოწინავე ოთხმა მსედარმა ცხენები დაიურვა, ჭყონდიდელმა უთხრა დავითს: „ამ ციხეს ერთ წელს გარს ადგა პაპაშენი, ბაგრატ კურაპალატი, ბოლოს გასტეხა, შეიაყრო მეფებ ლიპარიტისზე ივანე და ლიპარიტ ივანესზე. „იცვალნენ დრონი – შენიშნა გვარამ ერისთავმა, – ორბელიანნი ბაგრატოვანთა მოსისხარნი იყვნენ ოდესლაც“... „ასეა, ერისთავთ ერისთავო, – ჩააკერა სიტყვა მახარამ, – ეს სოფელი ეგეთია, ვითარცა მამლის ბოლო ქარიან ამინდში, საითკენაც ნიავი დაუბერავს, იქითკენ პარპალებს იგი“ (კ. გამსახურდია. „დავით აღმამენებელი“).

## VII

ღრმა მიზეზი – სულიერი ტანჯვა და ხორციელი შევიწროვება თუ აიძულებდა ამ ადგილთა მიტოვებას, თორემ ვინ დასთმობდა ღვთის თვალად მომცქერალ ლურჯ ცას, ამაყად მომზირალ წინაპართა მაჩრდილებელ მუხათა ბუნებრივ კარავს?

ან ვინ მოსწყვეტდა გულგრილად თვალს ამ ფართო მინდორს, საოცნებოდ დაკლაკნილ მდინარეს, ტირიფებით შემოზღუდულს, ფრინველთა და მცირე ნადირთა სამფლობელოს? ზურგს ვინ შეუბრუნებდა ამ სახლს, უკვე უკაროს, ყავარაგლეჯილს, სადაც თვით კედლები ღაღადებებს საკრავთა სიტებოებაზე, ერთხელ აქ ყოფილ შეთქმულთა საიდუმლოებაზე. ვინ დასტოვებდა უცრემლოდ ამ სახლს, თვალუწვდენელს განიერი აივნით, ხარატულიანი კედლებით, ფართო და მაღალი ლაფაროებით. თვით მეყანები, რომელთაც მოუხნავთ მთელი მიდამო, ვერ ესებიან მუხათა შტოებს, რომელთა ძირში დიდ მანძილზე მწვანედ ბიბინებს ბალახი.. მეყანე ჯერ ვერ შესულა სრა-ოთახებში, რომელთა სივრცე თითქოს აშინებს დარიძ ცხოვრებას გლეხისას, სასაცილოდ იღებს თავისი ჩამტვრული კბილებით. მხოლოდ სამზარეულოში მოუკალათებია მფლობელს, რომელიც დიდი გაჭირვებით თუ შედენის ცხვარ-საქონელს... აკრიახდებიან თავისი ნებით დაბუდებული ქათმები და ასისინდებიან ბატები (ნ. ლორთქიფანიძე. „დანგრუული ბუდეები“).

## VIII

გაზაფხულის პირია. ეს-ესაა გამოიკვირტა ტირიფი. მარტის მზეს ხევჩრდილებში ემალება ნაზამთრალი თოვლი.. აფუსფუსდა დედაბუნება. ბალდები ჟივილ-ზივილით მოსდებიან მინდვრებს და გვირილებს კრეფენ. გაკვირტულ ტირიფზე შემომსხდარი ბეღურები უივუივებენ. დიდებული მდინარე ნაპირებს ეახლება მღვრიე ტალღებით და უზარმაზარ ლოდებს მოაგორებს. კედლიდან ხვლიკი გამომბვრალა და მზეს ეფიცხება... თან ბუზებს უთვალთვალებს. სკებიდან გამოსული ფუტკრის ზუზუნი ავსებს სოფლის მიდამოს. ფუსფუსებს დედაბუნება. ფუსფუსებს სოფელი. სიცოცხლეს ზეიმობს კაცი და მწერი. ყველა ნეტარი სიხარულით

არის სავსე, ყველა თავისებურად ეგებება სიცოცხლის დღესას-წაულს (გოდერძი ჩოხელი. „სამი ბერდედა“).

## IX

„ყური უყრია მუხრანზე ბალახს,  
დაბრუნებია მერცხალი ბუდეს,  
აუწყვეტია ფაცერი კალმახს,  
შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს.  
მთა მიჰყვება მთას, მთა მთას აწყდება,  
დგას ლანქერების კორიანტელი,  
თვალებს ცრემლებად ვეღარ გაწვდება,  
რომ იყოს ცრემლი ორი ამდენი.  
ვარ მოპარული ლამისყანიდან,  
ვარ ლეპების ტყვე – გურამიშვილი,  
თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან,  
ბედნიერება ეს უსაშველო.  
რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა  
და კალმად კიდევ მინა რხეული,  
თუ ამ მღვრიე მზით გული გაგითბა,  
თუ ამ ურუანტელს იგრძნობს სხეული.  
უყელეს, ყელი გამოალადრეს  
და აუბნიეს ლექსის გზა-კვალი,  
მაგრამ გათელავს ამ კლდესა და ლრეს  
ბარათაშვილის მერანის ნალი.  
ცა ცას ადნება, მყინვარი – მყინვარს,  
ბედნიერებას თოკავს ალერსი  
და დაეწევა ორბების შურდულს  
მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი  
(ტიციან ტაბიძე. „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“).

## X

ღამეა და უფლისციზე გარშემოწყობილია. მეციხოვნებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბში ადუდებენ კუპრს. თხრილებთან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილის იქით მტრები დგანან. მხ-

ოლოდ უფსერულის მხარეა ჩაბნელებული. აქ ყარაული არ არის საჭირო. აქ ამოსვლა შეუძლებელია ღამით.

იბ წელს ადრე შემოდგომაზე მოდის თოვლი. თოვლი ზაფ- ხულში გახურებულ კლდეს ადნება და მხოლოდ უფსერულის მხარეს იკიდებს ფეხს, ქარი მატულობს. მეციხოვნები თავს იბურავენ. ქარი საბურავებში შედის და ყურებსა ყინავს. საძ- ლოცველოში ქარი არ არის. აქ ქალები მუხლმოდრეკით ევე- დრებიან ღმერთს, ღმერთი ისმენს და პასუხს არ აძლევს – უსაზ- ღვროა მისი ძალა და უფლება. ქალები ლოცულობენ თავიანთი შვილებისათვის. შვილებს კი სძინავთ. ღრმა ქვაბებში, კლდის საწოლებზე თივა ყრია, თივაზე ხალიჩები აგია და იმაზე სძი- ნავთ. მერე რომელიმე იღვიძეს, ტირის. უბახის დედას... დედა კი ფილაქანზეა დაჩოქილი. მუხლისთავებიდან სისხლი სდის. ლოცულობს... (გ. რჩეულიშვილი. „უსახელო უფლისციხელი“).

## XI

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა. აღარ ისმის მისი დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა... ვაი, რა ცარი- ელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ! არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ლამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაიგლახი- თა! ჰო, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე. შენი კალთის ქვეშ, ვინ იცის, რამდენი გაბორეტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალაგს?... შენ ხარ ხელშემწყობი ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან... შენ ხარ უამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰო, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!... (ილია ჭავჭავაძე. „მგზავრის წერილები“).

## XII

მართალი გამოდგა ბიჭი. ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა გაყუჩებულ და ფოთოლგაცვენილ ხეს. შუაღამემდე ფიქრობდა ხაზარულა, ნაშუაღამევს გული შეეკუმშა და ფესვები მოთოკა. ფესვების ბადეში გახვეული ჭური ოდნავ შეტოკდა,

იგრძნო ეს ხაზარულამ და ახლა უფრო მოთოკა ფესვები. ჭური რამდენიმე ადგილას აიტკეჩა, მაგრამ ისე, რომ შიგნიდან არ დაზიანებულა, მაშინ კიდევ ერთხელ მოზიდა ფესვების ბადე ხაზარულამ და პირველი ბზარი გაუჩნდა ჭურს, წითელმა სითხეშ ზანტად გამოჟონა ქვევრიდან და ხაზარულას ფესვის ფოსოებს დაეღვარა, ფრთხილად მოსინჯა და შეისრუტა ხაზარულამ წითელი სითხე, უცნაურმა ურუანტელმა დაუარა ტანში... ქვევრი რამდენიმე ადგილას გასკდა და წითელი სითხე თქრიალით გამოსკდა ხაზარულას ფესვებზე, როგორც მაცოცხლებელი წვიმა გვალვიან ზაფხულს... ხაზარულა სვამდა და სვამდა ამ უცნაურ სითხეს და იქსებოდა სითბოთი, სიხარულით.... დაიცალა ქვევრი, უკანასკნელი წვეთი შეისრუტა ხაზარულამ და იგი უცებ მიხვდა ადამიანისა და საოცარი სითხის საიდუმლოს: აღარ უკვირდა, რატომ კოცნიდნენ ადამიანები ერთმანეთს, რატომ ტიროდნენ ჯამებით ხელში, რატომ მღეროდნენ... მიხვდა და თვითონაც მოუნდა სიმღერა, სირბილი, ზვერნა, კოცნა, ტირილი და როკვა, მაგრამ რა ექნა, ხე იყო და არა ადამიანი... (ნ. დუმბაძე. „ხაზარულა“).

### XIII

პატარა იყო ბაღჩა, თვალი კი ყველას მასზე რჩებოდა, ყველას უნდოდა იმის სინაზით თვით დამტკბარიყო, სხვას არ რგებოდა. ბულბული სტვენდა, მზე სხივებს ჰავენდა; უვლიდნენ ზღვები და მთის მწერვალი. მიწა მოლით იმოსებოდა; ვარდი სურნელით ცვარსა ათრობდა.

არა სჭერბოდა აქ მცენარე, არ იღლებოდა აქ ცხოველი და დროთა ბრუნვა ერთხელ თუ სძლევდა, ბუნება ბაღჩას აჯილდოებდა.

მოტრფიალეებმა გაპყვეს ის ბაღჩა – ყველას უნდოდა ცოტა რამ მაინც. და დაჭერნენ ვარდნი, მიყუჩდა ჩიტი.

არა, ვერ გაძლებს ბაღჩა გაყოფილი. მაგრამ სულთ სწრაფვამ ბაღჩის ნაწილი მოკირწყლულ საზღვართ გადააშორა; ბულბული შეხვდა თავის მომმე ბულბულს, ზამბახმა თავი დაუკრა იას და ხელახლავე სტვენა გაისმა. ცა იღიმება; უვლიან ბაღჩას ზღვა, მთის მწერვალი; მიწა მოისხა მოლი ძველებრივ.

ისევ სიმღერა, ისევ ლურჯი ცა, ისევ სიცოცხლე და სიხა-  
რული (ნ. ლორთქიფნიძე. „ბაღჩა“).

## XIV

მთელი წლის ნაგროვები წერილები ამოვილე ჩანთიდან და  
ჩემოდნის კუთხეში მოვათავსე. სულ თავზე მამაჩემის წერილი  
იდო, ივნისის დამდეგს მომივიდა. ბალი დამწიფვდაო, მწერდა. რაც  
ყვავილიდან გამოვიდა, მას აქეთ წვიმას არ გადაუღია და გემო  
სულ არა აქვსო. შაშვები მაინც არ ცილდებიან, მომკლა იმათმა  
ჟივილმაო.

წერილი დავკეცე და ჩამოვჯექი. ახლა რას აკეთებენ ნეტა  
იქ? ლობიოს ბარდს იღებენ, ალბათ. შიგადაშიგ ნაადრევ სიმ-  
ინდსაც ტეხენ. სასუა მეწისქვილე ყოველდღე კოდავს დოლაბებს  
და ბუზღუნებს: აცალეთ, ვეუო, ტაროს გახმობა, ხომ ხედავთ,  
ფეხილის მაგიურად რძე გაღმოდის... ცეკვი მჭადის სუნი ტრია-  
ლებს წისქვილში. დაკონკილი ბიჭები მუძგურებენ ცეცხლის  
პირას, დაბრაწულ მჭადის მიშტერებიან და ხმას არ იღებენ ... (რ.  
ჯაფარიძე. „ხმა იღუმალი“).

## XV

მარტის მზე აცხუნებდა სველ ქალაქს. მსუბუქი ორთქლი  
ასდიოდა ძველი უძნის შეაღმართებულ ქუჩებს, აჩონჩხილი  
სახლების ყავისფერ სახურავებს, ვიწრო ტროტუარებს, აგურის  
კედლებსა და ნის კიბეებს შორის გამომწყვდეულ ციდა ეზოებს,  
ხეთა ძირში საგანგებოდ დატოვებულ ერთი ხელისდადება მიწის  
ნაჭრებს.

მიხეილ შერვაშიძე წინა დღის ნათათბირალი კაბინეტის გა-  
ნიავებას აპირებდა, გახევებული იდგა ღია ფანჯარასთან... მზით  
გამთბარი თელის უფოთლო ხეს უყურებდა (რეზო ჭეიშვილი.  
„გია“).

## XVI

ტყე გაიშალა, ტბასთან გამოვედი... ნელა ვეშვები ნაპირისაკ-  
ენ. წყლის ზედაპირი ცისფრად პრიალებს და პატარა ზვირთები  
ოდნავ ეხლებიან კბოდეს წკლაპუნით. ცაში ტოროლა დაკიდულა

და ტკბილად გალობს... სახეზე ცივი წყალი შევისხი. ირგვლივ უსიერი ტყეა. იქაც იყო ტბა, ჩვენს სოფელში, ოღონდ უფრო პატარა. ჩვენი კოშკიდან მოჩანდა მისი ლივლივა ზედაპირი. მტკნარი წყლის გემო, წყალმცენარეების სუნი, ბაყაყაების ყიყინი, კოლოების წუილი, ნაპირზე მოფართქალე თევზები და გიორგი ანგესით ხელში... ყოველივე ეს გაქრა. როგორ ღარიბდება ცხოვრება! (გ. გეგეშიზე. „უამი“).

## XVII

ნიაღვრიან გაზაფხულს ხევები ნაკადულებით დაესერა, მთების გულმკერდი ღელების თეთრი აბრეშუმის არშიებით დაებლანდა და აქაფებული ჩანჩქერები შმაგი სრბოლვით უფსკრულებისაკენ დაექანებინა. წყალთა სიმრავლეს ხევებისათვის ცალკე მდინარეების შონ და ძალა შეემატებინა.

ერთი კვირის განმავლობაში სვანები საერთო ღონითა და მომარჯვებული ოწინარებით ძელებს ფერდობებიდან სძრავდნენ და თავდაქანებულთ აღმუილებული ხუბერის ზვირთებში ნოქავდნენ. მათ დაჯახებაზე კლდეებს თეთრი ნაპერწყალი სცვიოდა და მაღლა ავარდნილი ქაფის ალები მზეზე მოქნეული ხმლებივთ კიფობდნენ.

ძირს, ენგურის შესართავთან, მაღლიდან დაქანებულ ხეებს ალმასგირ და გივერგილა დარაჯობდნენ გრძელი ჭოლოკებით აღჭურვილები. ენგურის მორევში ჩაყვინთულ ძელებს ზედაპირზე ამოტივტივებისთანავე ისინი ჭოლოკებით ებგერებოდნენ და მიწოლით მდინარის მარცხენა ნაპირისკენ მირიყავდნენ. აქ კი კლდის ჩიხისებურ ღრუში მოქცეული, მთავარ კალაპოტს აცდენილი წყალი დამდორებით ტორტმანობდა და ისევ მარჯვნივ უხვევდა მთავარ ტანთა შესაერთებლად.

ეს ადგილი ინგურზე ხეების ნავსადგურად იყო მიჩნეული. აქ აქუჩებდნენ ძელებს, რომლებსაც შემდეგ სათითაოდ, მწყობრად სოფელ ჯვარისკენ ისტუმრებდნენ, ნაპირ-ნაპირ აედევნებოდნენ, სადაც ეს შესაძლებელი იყო და გზას უკაფავდნენ.

ცხვრის ფარასავით ქლოშინით ისვენებდნენ აქ ძელები, ცახ-ცახით ეკვროდნენ ერთმანეთს და კლდეებთან ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდნენ.

ამ ადგილიდან დაშორებით უნაგირივით მაღლიდან გად-  
მოზნექილი ნაპირის ძირში ჩამონაპობი კლდის კედელთან, სვანებს  
სახელდახელოდ კარვისებური საჩრდილობელი სადგომი აეგოთ,  
ოთხსვეტიანი, ნაბდითა და ნაძვის წიწვიანი ტოტებით გადახუ-  
რული (ლეო ქიაჩელი. „ალმასგირ კიბულახ“).

### XVIII

„ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია!“—  
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე.  
სხვის მიწის ხვეჭა არა გვჩვევია,  
ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ.

ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია!  
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს.  
თუკი რაბ კარგი გადამრჩნია,  
ისიც სამშობლოს დროშად ანთია”... (გ. ლეონიძე).

### XIX

ზალ მივლინებაში მივდივარ ორი კვირით სოხუმში. პო, ჩა-  
მილაგე, ბევრი არაფერია საჭირო, კარგი ამინდები ყოფილა, ლა-  
ბადა არ გინდა, არა. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, დაიმახსოვრე,  
თუ ვინმებ დარეკოს, თუ კი არა, ხომ იცი, დარეკავს ვინმე,  
არავისთან წამოგცდეს, სოხუმში არისო. ამ ხანებში იქით რომ  
მოუწიოს ვინმეს წამოსვლამ, ვიცი, მინახულებენ, შემოივლიან და  
ახლა მე სმისა და ქიოვის თავი არა მაქვს. ასე უთხარი, კისლო-  
ვოდსკმია დასასვენებლად-თქო.

...ეჰ, სხვა ქალაქში რომ მივდიოდე, უთუოდ წაგიყვანდი.  
რაღა ახლა მოუნდათ იმათაც მემკვიდრეობის დამტკიცება, თვი-  
თონ აღარაფრის თავი არა აქვთ, ჩემს სიდედრსა და სიმამრს, და  
მე მომიწევს ყველაფერზე სირბილი, ხომ გესმის... მაგრამ რას  
ვიზამ? რა გაძლებს ეს ორი კვირა იმათოან სახლში! სხვაგან  
ერთად წავიდოდით, მაგრამ მანდ მთელი ქალაქი ჩემი ცოლის  
ნათესავებითაა სავსე (ნაირა გელაშვილი. „მივემგზავრები მა-  
დრიდს“).

## XX

მოვდივართ კი არა, მოვქრივართ – იმ გასისინებულ ავტობანზე ჩვენი მანქანა საათში ას ორმოცდაათი კილომეტრი სიჩქარით მოქრის... პირველსავე კემპინგში დავბინავდით. სასტუმრო ძვირია, თურმე სამ კაცს ღამე ას ოცი – ას ომორცდაათი ევრო მაინც დაგვიჯდება... კემპინგი, გუჯას ვარაუდით, ოთხჯერ-ხუთჯერ იაფი უნდა იყოს...

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, სიცხისაგან გალექტბულები მიუნხენში რომ შევედით. სულ ცოტა რვაასი კილომეტრი მაინც გვექნებოდა გამოვლილი... გუჯას მიერ აღმოჩენილ მაღაზიაში სამოცდაათ ევროდ სწორედ ისეთი კარავი შევიძინეთ, როგორზედაც მთელი ჩემი ახალგაზრდობა ვოცნებობდი. ვიყიდეთ აგრეთვე სამი ცალი გასაბერი ლეიიბი – თითო თექვსმეტ ევროდ.

გადავწყვიტეთ, რომ ავსტრიული სოფელი ახლოს გვენახა... გადავუხვიეთ გზიდან და ერთ-ერთს მივადექით... სოფლის მხრიდან ახალგაზრდა ოჯახი მოდის: დედა, მამა და ორი შვილი.

გოგო ათი წლისა იქნება, ბიჭი – შვიდისა. ოთხივეს სათევზაო ჯოხი უჭირავს ხელში. ნასიამოვნები გავცექრით მდინარისკენ მიმავლებს, ძალიან კარგები არიან... სოფელი პატარაა, სულ ორმოციოდე კომლი იქნება. იქაურობა ისეა დაწკრიალებულ-დამასმასებული, რომ გულში ნათელი ჩაგიდგება (ნ. შატაიძე. „ცაპიკი გაკაპიკებულა ანუ მოგზაურობა ევროპაში”).

## მეგრული ტექსტები

### I

ართი ხენწიფეში სქუა ქოცოფე ძალამი სქვამი დო ჯვირი. თე ბოშიქ მუმას უწუუ:

— მუაჩქიმი, გომიტე შხვა ქიანაშა.

მუმაქ ნება ქემეჩ. თე ბოშიქ იდგ ქიმერთუ დიდი რუმე ტყაშა. მიოჯინგ ნი, ქოძირგ ართი სქვამი ცირა ინგარს ჯას ჯინს.

მიოჯინგ ნი, ბოშიქ დეფიქრგ, „მუ ამბე რე ენა? თენა მი თოფე, მუქ მირჩქინდგ, ეჯგუა საარიკო მუ ორე? ჩქიმი დუდი მიკვედგ, თეცალი ტყაშა მითოფრთი ნი”. უკულინე დოუჭყუ კითხირი ცირას:

— მუ გოკო თაქე, ქირსიანი რექო სი?

— ქირსიანი ვორექ, — მიუგზ ცირაქე დო პიჯვარი დეეწერუ. თე ბოშიქ ქემერთგ ზოლოს ცირაშა. ცირაქ ბოშის ეჩუუ:

— მა ართი კოჩიქ მემიზირგ დო მოლამიუნგ, ცხენიშა მუკუ-ხედი უკახალე. ართო მიფშითუ ნი, შარას ქეწოფხვადეს ბრელი გერენქ. ე კოჩქ ქომლეკოჩანას გუუდირთგ იარაღით. თე კოჩი მუში იარაღამო გერენქ გეკოსოფეს. მა ჟირ ჯაში ნოცელას ქალ-ვოსხაპი, იშებლი ჯაშა, ეთექი გამკობსკიდი. თი ჩქიმი მახვამი-ლაფარი ოჭკუმუ გერენქ.

ათე გაჭირება ქუუწუ არძო ათე ცირაქ ათე ხენწიფეში სქუას. ათე ხენწიფეში სქუას შეეცოდუ თე ცირაქე დო მოლეთონგ მუში ცუდეშა დო ქუმორთგ დიდა დო მუმაშა. ე ცირაშენი კითხუ დიდა-მუმაქ:

— მინ რე დო სონი რენია თე ცირა?

— ღორონთქ მუჩუ მა ენა, ჩილო ოკო იკიფხუნუევე, გირგ-ვინი ოკო გიბდგვევე ათე ცირაწეგმა, — უწუუ თინენს სქუაქ.

მუმა დო დიდაქ ნება ვა მეჩ სქუას გირგვინიში გედგუმაში. ენა ბოშიქ იწყინგ, გირგვინი ქიგიიდგგ ძალო, მუმა დო დიდაქ ცუდეშა ვა მაშქუ. თე ბოშიქ მიდართგ, ქისისხგ ფარეფი დო თი ფარათი მახორობას ქუგუდირთგ დო ქიდიიხორგ. თე ბოშიქ ეფერინერო ქიდიიხორგ, ნამუდა ძალამი ჯვირი, მუმასგ დო შხვა ჯიმალენს ორჯგინგ ირიფელიშენი.

## I

ერთი ხელმწიფის შვილი ძალიან ლამაზი და კარგი ყოფილა. ამ ბიჭმა მამას უთხრა:

— მამაჩემო, გამიშვი სხვა ქვეყანაშიო.

მამამ ნება დართო. ამ ბიჭმა იარა, შევიდა დიდ, ბნელ ტყეში. შეხედა და დაინახა, რომ ხის ქვეშ ერთი ლამაზი გოგო ტირის. რომ შეხედა, ბიჭი დაფიქრდა, „ეს რა ამბავია? ეგ ვინაა, რამ გამიჩინა, ასეთი საარაკო რა არის?“

ჩემი თავის მიკვირს, ასეთ ტყეში რომ შევედიო. შემდეგ გოგოს დაუწყო გამოკითხვა:

— აქ რა გინდა, შენ ქრისტიანი ხარო?

— ქრისტიანი ვარ, — მიუგო გოგომ და პირჯვეარი გადაიწერა.

ეს ბიჭი გოგოსთან ახლოს მივიდა. გოგო მოუყვა ბიჭს:

— მე ერთმა კაცმა მომიტაცა და წამომიყვანა, ცხენზე მის უკან ვიჯექი, ერთად რომ მოვდოლით, გზაზე შემოგვხვდა ბევრი მგელი. ამ კაცმა კაცობა იარაღით დაიცვა. მგლებმა ეს კაცი თავის იარაღიანად დაფლითეს. მე (ზევით) ხეზე (ხის ტოტზე) ავხტი, ხეზე ავდი, ასე (იქ) გადავრჩი. ის ჩემი გამტაცებელი მგლებმა შეჭამეს.

გოგომ ყველა ეს გაჭირვება უთხრა ხელმწიფის შვილს. ხელმწიფის შვილს შეეცოდა ეს გოგო, წამომიყვანა თავის სახლში და მივიდა დედ-მამასთან. დედ-მამამ ამ გოგოს შესახებ ჰკითხა:

— ვინ არის ეს გოგო და სადაურიაო?

— ეს მე ღმერთმა მომცა და ცოლად უნდა მოვიყვანოო, ამ გოგოსთან ერთად გვირგვინი უნდა დავიღვაო, — უთხრა მათ შვილმა.

დედ-მამამ თანხმობა არ მისცა შვილს ჯვრისწერისა (გვირგვინის დადგმისა). ეს ბიჭს ეწყინა, ძალად დაიწერა ჯვარი, დედ-მამამ სახლში არ შემოუშვა. ეს ბიჭი წავიდა, ისესხა ფული და ამ ფულით დასახლდა (ოჯახს მიხედა). ეს ბიჭი ისე კარგად დასახლდა, რომ მამას და სხვა მმებს ყველაფერში აჯობა.

## II

ართი პაპა ქოცოფე დო სუმი სქუალეფი ქინოფვე. პაპაქ ღუ-  
რადღას ღუუჩინუ მუში სქუალებს:

— დობლურევე, თითოქ თითო სერს „დავითნი“ წამიკითხია.

მარა უჩაში სქუალენქ თე ზოჯუა მუმაში ვა შიასრულეს,  
ხვალე ართი უკულაში სქუაქ წაუკითხუ „დავითნი“. თიმუსერს  
გაგმეცხადუ მუმაქ დო ქააჩუქუ ართი ცხენი. მაჟირა სერს ხოლო  
თექ, მუში ჯიმალეფისი მანგიორო, წაუკითხუ „დავითნი“. მაჟირა  
სერსითი მუმაქ გამეცხადუ დო მაჟირა ცხენი ქაჩუქუ, ნამუთი  
ნოკობუე მუში ოშქარი სქუაშოთ. მასუმა სერსითი ხოლო ათექ  
წაუკითხუ „დავითნი“ დო მუმაქ მასუმა სერისითი ქუმოცუყონუ  
მასუმა ცხენი, ხვამირო ქიდიტუ დო მიდართუ.

ათე დროს ართი ხენწიფეში ოსურისქუას ქომონს მიათხ-  
ინდეს თიჯგურას, ნამუთი ჯიხურს უი ცხენით ეშასხაპუნდუ ნი  
დო ზისინახეს აჯუდუნდუ ნი, — თის მიათხინდეს. ბრელი ხენ-  
წიფეში სქუალეფი თი ზისინახეში ოთხუშა მიშეს, მარა მითინიშ  
ცხენს ვე შასხაპუ უი ჯიხურიშა.

თიუანს ათე პაპაში სქუაქ ქიგედოხოდუ თე მუში მუმაში  
ნაჭყოლოფუ ცხენს, ქიმერთუ ხენწიფეში დოხორეში კარიში  
წოხოლე. ქიმიოგუ ცხენს მათრახი დო ქეშასხაპუ, მარა ნასუ-  
მორიში ეშეე ვეიასხაპუ. მაჟირა ცხენს ქიგედოხოდუ დო ხოლო  
ქეშასხაპუ, მარა თის წოხოლიანი ცხენიშე მაჟირა თიზმაშა  
უმოსიქ ვა ასხაპუ. მასუმა დღას მასუმა ცხენით ქუმორთუ დო  
ქეშასხაპუ, დო ქოთი ქეშასხაპუ ათე ჯიხურიში უი დო ბოშიქ  
ქაჯუნუ თი ზისინახესი დო გირგვინითი ქიგუუდგეს ეთი ბოშიქ  
თი ცირაშა. უკული მალართუ ე ბოშიქ მუში ყუდეშა.

ათე დროს ხენწიფეში ჩირქ ქიდეელახუ დო ქიჭანუ ათე  
მუში სინჯა დო უწუუ დიანთირქ: „ჩე ზღვა დო უჩა ზღვაში შქას  
ართი ირემი რენა დო თიში ბეა მუგალენია, მიწიისი დო ქუმომ-  
დანქ და, დობსქიდუქ, ვარა და ბეჯითო, — მაღურუ ვორექია“.

ათე დროს თე ბოშიქ გედოხოდუ მუში ცხენსი დო მიდართუ.  
ეთიქ ზღუა დო ზღუაში შქაშა მიშეელუ დო მოჭვალუ ირემს ბეა  
დო ქუმუუდუ მუში დიანთირს, ქოჩუ დო დაასქილიდუ.

## II

ყოფილა ერთი მღვდელი და პყოლია სამი შვილი. მან (მღვდელმა) სიკვდილის დღეს დაუბარა თავის შვილებს:

— რომ მოვკვდები, თითოეულმა ყოველ ღამე დავითნი წამიკითხოსო.

მაგრამ უფროსმა შვილებმა მამის ეს დანაბარევი (ბრძანება) არ შეასრულეს. მხოლოდ ერთმა უმცროსმა შვილმა წაუკითხა მამას „დავითნი“. იმ ღამეს გამოეცხადა მამა და აჩუქა ცხენი. მეორე ღამესაც მან თავისი მშების ნაცვლად წაუკითხა „დავითნი“.

მეორე ღამესაც გამოეცხადა მამა და ისევ აჩუქა ცხენი, რომელიც შუათანა შვილისთვის ნდომებია. მესამე ღამესაც ისევ მან წაუკითხა „დავითნი“ და მამამ მესამე ღამესაც მოუყვანა მესამე ცხენი, დალოცა (დალოცვილი დატოვა) და წავიდა.

ამ დროს ერთი ხელმწიფის ქალიშვილი ცოლად უნდა გაჰყოლოდა ისეთ კაცს, რომელიც ჯიხურზე ცხენით ახტებოდა და აკოცებდა მზეთუნახავს. ბევრი ხელმწიფის შვილი იყო მთხოვნელი ამ მზეთუნახავისა, მაგრამ ვერავის ცხენი ვერ ახტა.

ამ დროს მღვდლის შეიღლი შეჯდა მამის ნაწყალობევ ცხენზე, მივიდა ხელმწიფის სახლის წინ, მოუქნია ცხენს მათრახი, მაგრამ მესამედი (მესამედზე მეტი ზევით) ვერ ახტა.. შეჯდა მეორე ცხენზე და ისევ ახტა, მაგრამ წინაძელ ცხენთან შედარებით მეორედიც (მეორედზე მეტი) ვერ ახტა. მესამე დღეს მესამე ცხენით მოვიდა და ახტა კიდეც ჯიხურზე და ბიჭმა აკოცა მზეთუნახავს.

და ჯვარიც დაიწერეს ( გვირგვინი დაიდგეს). მერე წამოვიდა ეს ბიჭი თავის სახლში.

ამ დროს ხელმწიფის ცოლი ავად გახდა, დაიბარა სიძე და სიდედრმა უთხრა : თეთრ და შავ ზღვას შუა არის ერთი ირემი, მითხრეს, იმისი რძის მოტანა შეგიძლიაო, თუ მომიტან, მოვრჩები და თუ არა — კარგად, მომაკვდავი ვარო”.

ამ დროს ეს ბიჭი დაჯდა თავის ცხენზე, შევიდა ზღვასა და ზღვას შუა, მოწველა ირემი, მოუტანა სიდედრს რძე, დაალევინა და მოარჩინა.

### III

ართი რჩინი კოჩი ქოცოფე. სუმი მუში ნოსალეფს გოჯოგუუ დო გინორობუშა ქუურაგუაფუნა დო ეთეცურეშე შორი ქანაშა მიღუურთუუმျ დო დემი ქახვალამუ. ბადიდიქ თის უწუუ:

— თე წყარს ქმოხუნეე.

დემქ იხუ:

— მუჭო მიწი სი თენა?

ეთიწკემა ქიგგ ხუნუუ ხეს დენქ ბადიდი გამაცადებელო, მოკა რდუო დო ქექე რდგ ნი. ბადიდიქ უწუუ:

— ცაშა მემითხნია ხევა, ვარა ათაქი ვა გაცონექია.

უკული დენქ უწუუ:

— გუუტევა, აბა ცას ხევა.

თიწკემა ბადიდიქ ჯვირი ისგმარი კისერს ქიმიოგუ დენს. დენქ მიოღორუუ: — „კინი ქომეთხი ცას ხევა”.

გეშაწყვ ისგმარი დო იკული გემზნიუნგ ბადიდი ცუდეშა მიღეოონგ დო ჩიი დო სქუას ქოდუუტუ. ირტგ დენქ შორიშ ქანაშა, შარას მელატურაქ ქახვადგ დო უწუუ:

— სო მეურქია დემია?

ღორონთქ გომიჭყორუა დო ბადიდიქია დახევე ღოპილუა, მიოღინაფუშა მეურქია. მელატურაქ უწუუ:

— სი, უბადო, მუქს დუგოშქურინუა? მა დუგოშქვიდაფუან-ქია.

დო მელაქ დემი მოლეცონუ ოშქვიდაფუშა ბადიდიში. ბა-დიდიქ ქომაზადგ დო უწუუ:

— ძალამი ჯვირია, ჩქიმი მელავა, ჩხორო დემი გემიძღუა, რუო ქუმომიღონია დო მაჩხორა თენა რენია მოგიცონაფუნია.

ე მელატურა დო დემი ბაწარით ართი-მაჟირას ძალამი მან-გარო გინობუნაფილი რდესგ დო ათე ბორჯის დოშქურინდგ დემქ, ირტგ დო ეჩი ჯას ქიმკასოფე მელატურა. დემიშ ოჯახი გი-იტუუ ბადიდიქი დო სოშას შური უდგედგ ნი, თი დემიშ ცუდეს სქიდგდგ (ყიფშიძე, თხზულებანი, 1994).

### III

ყოფილა ერთი მოხუცი კაცი. რძლებს (სამ რძალს) შესძულებიათ და ხრამში გადაუგდიათ. იქიდან შორეულ ქვეყანაში წასულა და დევი შემოხვდომია. ბერიკაცმა უთხრა მას:

— ამ წყალში ჩამსვიო.

დევი გაბრაზდა;

— შენ ეს როგორ მითხარიო?

მაშინ დევმა ბერიკაცი ხელზე დაისვა იმის გასარკვევად, მშიმე იყო თუ მსუბუქი. ბერიკაცმა უთხრა:

— ხელი ცას მიკიდია, თორემ ვერც ამწევო (წამიყვანო).

მერე დევმა უთხრა:

— აბა ცას ხელი გაუშვიო.

მაშინ ბერიკაცმა დევს კისერში ლურსმანი გაუყარა. დევმა იყვირა:

— ცას მოკიდეო ისევ ხელი.

ბერიკაცმა ლურსმანი ამოიღო და ამის შემდეგ დევმა იგი სახლში შეიყვანა, ცოლ-შვილს დაუტოვა. დევი გაიქცა შორეულ ქვეყანაში. გზაში მელატურა შეხვდა და უთხრა:

— დევო, სად მიდიხარო?

— ღმერთი გამიწყრა და ბერიკაცმა კინალამ მომკლა, დასაკარგავში მივდივარო.

მელატურამ (ეშმაკმა) უთხრა:

— შე, უბედურო, ასე რამ შეგაშინა? მე დაგახრჩობინებო.

და მელამ დევი ბერიკაცის დასახრჩობად წამოიყვანა. ბერიკაცი მათ შეეგება და უთხრა:

— ძალიან კარგი, ჩემო მელა, ცხრა დევი გმართებდა, რვა მომიყვანე და მეცხრე ეს მოგიყვანიაო.

მელატურა და დევი ბაწრით ერთმანეთზე მაგრად ყოფილან გადაბმული და ამ დროს დევს შეეშინდა, გაიქცა და ოც ხეს შეახეთქა მელატურა. დევის სახლი გადაარჩინა ბერიკაცმა და სანამ ცოცხალი იყო, დევის სახლში რჩებოდა.

## IV ძლაბიში ზვამილაფა

სასინჯოს გინულებუ  
მაყარამო, ჯარითაია,  
ძლაბიში ცუჩა ქიმუტყობუ  
მეტობილის კარითაია..  
ექი ნებით ვემნაშევანდეს,  
გოუსოფუნა ძალითაია.  
ღუდმაყარე რაგადანც:  
არიქა, „დადა” გედია,  
ბარგი ოკო ქემკიქუნე,  
მუთა გოხვარ მეტია,  
ათენა რე ჩეგ მოპუნანი,  
სქანი იღბალი დო ბედია!

ძ ლ ა ბ ი

— დით! ღობლურე ქომისხუნუ  
ვემაღინე გიჩქედას!  
ვარა მის რე, მეპუნქუნი,  
მუშენ ოკო ვამჩედას?  
ბერი კოჩი მა ვა მოკო,  
ჭიჭეთ ვარა ვამჯგუდას!

მ ა ყ ა რ ე

გედი, ძლაბი, ასე ხოლო,  
ქემკიქუნი ბარგია!  
სქან უჯგუშივეგგანტხუუ,  
ვართი სქანი მანგია და  
თის მოწონქენ, თინავარა,  
ვართ სი რექ განბია.

## გოგოს გატაცება

სასიძო გადმოსულა  
მაყრიონით, ჯარითაო,  
გოგოს სახლში მიპარულა  
მეზობლის კარითაო....  
იქ ნებით არ შეუშვებდნენ  
და შეჭრილან ძალითაო  
თავმაყარი ლაპარაკობს:  
არიქა, დაიკო, ადექიო,  
ტანისამოსი უნდა ჩაიცვა  
აღარაფერი გშელის მეტიო,  
აი, ესაა, ჩვენ რომ მოგვეავს,  
შენი იღბალი და ბედიო!

გ ო გ ო

— დედა! მოვკვდე, მირჩევნია,  
ვერ ავდგები, იცოდე!  
ანდა ვისაა, რო მივყვები,  
რატომ არ უნდა ვიცოდე?  
ისეთი კაცი არ მინდა,  
ცოტათი მაინ ცარ მჯობდეს!

მ ა ყ ა რ ი

გოგო, ახლავე ადექი,  
ჩაიცვი ტანისაცმელი!  
შენზე კარგი არ დაგესხმის  
არც შენი თანასწორი,  
იმას მოსწონხარ, თორემ  
არც შენა ხარ განბიო.

ბ ლ ა ბ ო

გ ო გ ო

სორდი ჯიმა მიშითენი  
ვარდით ჩქიმი ნაჭანეფი  
ვართ თინა რე ბაღანა  
ვართ თქვა რეთ მახანეფი.  
მა მუშენი ექმოდინგთ,  
თქვა უჭპუე, საწყალეფი?

სად მიღიოდით, ბმაო,  
არ იყავით ჩქიმი დანაბარები,  
დო არც ის არის ბავშვი და  
არც თქვენ ხართ ტოლები.  
ჩქმთვის რატომ იღუპავთ თავს  
თქვე უჭპუო, საწყლებო?

ბ ა ყ ა რ ე

ბ ა ყ ა რ ო

ეში წება სი მიქ მერჩგ  
ენა გიმიძიათენი,  
ლუდგათილო ქლიოტენთუ  
გლახათ მუმექციათენი

ამის ნება შენ ვინ მოგცა,  
ეს რომ გამოიძიო,  
თავმოჭრილად დაგტოვებთ,  
ცუდად რომ მოგვექცეთ!

ბ ლ ა ბ ო

გ ო გ ო

მა ის ვავალუნუუქუ  
მუჭო ჯიმას, სოფროსენი  
ლლასლუდიშე ქმარზენდას  
ქისაში ეფშა ოქროსენი

მე იმას არ გავყვები,  
როგორც მმას, სოფრომასო,  
ყოველდღე რომ მაძლევდეს  
სავეს ქისა ოქროსაო.

ბ ლ ა ბ ო შ ი დ ი დ ა  
არიქა, ირკოჩქ გებდგრთათ  
გემიბლათ დო ბკეუნათ,  
გგმანთხაფალქ ქემორთგ დო  
მუშენი ოკო იბჯინათ?!

გ ო გ ო ს დ ე დ ა  
არიქა, ყველანი წამოვდგეთ,  
გავიდეთ და ვიკივლოთ,  
გამტაცებელი მოვიდა და  
რას უნდა ვუყუროთ?!

ბ ა ყ ა რ ე  
არიქა, ნანა, მომთვინით,  
ში მუთუნი ვა თქუა,  
ჩქნი ვენალა დო  
ხარხი ვაკოკათუა.  
სი ურჯულო ცოფექ მარა,

ბ ა ყ ა რ ო  
არიქა, დედა, მოგვითმინე,  
შენ ნურაფერს იტყვი,  
ჩვენს ცოდვაში არ ჩადგე,  
ხალხს ნუღარ შეჰყრი.  
შენ ურჯულო ყოფილხარ,

ჩქო მორგნა ნათუა,  
კოპეშიაცალო მიმოჩქენა  
კოჩიში დუდიში კვათუა!

ჩვენც გვაკლია მონათვლა,  
კვაზივით მიგვაჩნია,  
კაცის თავის მოკვეთა.

ს ა ს ი ნ ჯ ო

ეზმახანს მუს მულარეთ,  
ვარწყეთო ვოთანა რე,  
დინახალე ჩიება რე,  
ძლაბ ვარიას რაგადანცო?  
გალე თოფიში ცოთამა რე!  
ენა ახალი მოდა ვა რე,  
ლოუნძალით დო ქმაჭუნით,  
ისგ ჩერჩელაფა მალე.

ს ა ს ი ძ ო

ამდენ ხანს რას უდგეხარო,  
ვერ ხედავთ, ვათენებაა,  
შიგნით კი ლაპარაკია,  
გოგო უარს ამბობს?  
გარეთ თოფის სროლაა!  
ეს არაა ახალი მოდა,  
დააძალეთ და ჩაცვით,  
იმას თრევა მოუხდება.

მ ე ძ ო ბ ე ლ ე ფ ი

მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

ვარწყეთო, დიბჭვითუნი?  
მიდამიღეს ძლაბაია,  
არძას, ჩქ – მეძობელეფც  
გაგმაკელეს კარქია!...

ვერ ხედავთ, რომ დავიწვით?  
წაგვართვეს ქალიო,  
კველას, ჩვენ – მეზობლებს  
გამოგვეკეტა კარიო!..

## V

ცას ასქვამანს ბჟა დო თუთა  
ცას ალამაზებს მზე და მთვარე

ცას ასქვამანს ბჟა დო თუთა  
ცას ალამაზებს მზე და მთვარე  
მურეცხიფი ხანტურელი,  
არსკვლავები მოხატული,  
თუდო – დიხა, ზღვა – გვალეფი,  
ქვევით მიწა, ზღვა – მთები,  
პულეფი შხვაშხანერი.

ყვავილები მრავალფერი.  
ირთულ თაქი ეფალგნც,  
ყველაფერი აქ ამოქორჩლავს,  
სასარგებლო ხეხილეფი,  
სასარგებლო ხეხილები,  
ქირსიანეში ზიარობა,  
ქრისტიანის ზიარება,  
ქირსეში ნარგი ბინეხეფი,  
ქრისტეს დარგული ვაზები,  
ვითოჟირი თუთაში ჯინჯო  
თორმეტი თვის ძირად  
არსებენს ართი წანა,  
არსებობს ერთი წელი,  
ოთხი დრო უღუ მოკავშირე,  
ოთხი დრო აქეს მოკავშირე,  
შხვაშხვა ჰაერს მომიღანეა....  
სხვადასხვა დარის მომგვრელია...  
ცა დო დიხა, ზღვა დო გვალა,  
მზე და მთვარე, დღე და ღამე,  
ირთული სქვამი, დიდებული,  
ყველა კოხტა, დიდებული,  
ართიანიში უჩურცებელი;  
ურთიერთს დაუშორებული;  
ცხოველი დო ტყა — მინდორი  
ცხოველი და ტყე — მინდორი  
თის უკებუ ირიფელი.  
მას უჭირავს ყველაფერი.  
ჩქეთი ოკო იფხანდათ,  
ჩვენც უნდა ვიშრომოთ,  
თეშე ქობძირათგნ ხერი.  
რომ მისგან ვნახოთ ხეირი.  
წუთისოფელიში რინა  
წუთისოფლის ყოფნა  
ათენერო არსებენც,  
ამნაირად არსებობს,

ხე მანგარო ვა გმიღდა,  
 ხელი მაგრად თუ არ გამოიღე,  
 მუშით მუთუნ ვა დოცენს,  
 თავისით არა რა ჩამოსცვივა,  
 არდიხაში დგმახვენც  
 ერთ ადგიღზე უქმად მჯდომს  
 კართეს მუთუნ ვაწუცენც;  
 კალთაში არაფერი ჩაუცვივა;  
 ჯგირ მშრომელო ქორძირგდა  
 კარგ გამრჯედ თუ დაგინახა,  
 ხეს გინწყონც ირ ბუნება,  
 ხელს გიწყობს ყოველი ბუნება,  
 თის მოცუნც უკულნეშე  
 მას მოჰყვება შემდგომად  
 არძანერი საშუალება.  
 ყველა სახის საშუალება.  
 შიზარმაცექ ორჭოვუდა,  
 სიზარმაცექ თუ შეგიპყრო,  
 უჩქე აზრიში წაცუნება...  
 იცის აზრის გაფუჭება....  
 გავათეთ რაგადი დო  
 გავათავეთ ლაპარაკი და  
 ქიმემიჩით გაგონება!  
 მიძიქიეთ ყურადღება! (კ. სამუშია).

## VI

### ქუჩულია

რე ართი კოჩი, შური მეუმბარენგ ცაშა მიდოურსენი ფერი.  
 თეს ჯოხო სახელი ქუჩულია. დარიბი კოჩი რე თენა. მუთუნი  
 ვაპალუნგ ფერი. ვოულუ ბინა, ვოულუ კარი ... მიფიქრ თექი  
 წორეფით ოკო გინილას საქიანოთი, სოდე მუ შეხვადუნი. მიდედე  
 ართი ჭყინტი ცვალი, ართი ტუტგლაში ეფშა ქვირი დო ართი  
 ოდგიში. დიჭყუ თექ ულა დო მიდართგ, ათე სუმი დუდი მეულუნი  
 თეში.

ქიმერთგ ართი დიდი წყარგშა.. ვემნართინგ თე წყარგშა დო ქეკოლოხოდგ. ეპოხე თაქი, იახანი, თე უამს მელეშე ქუმორთგ დემქ.

— გამარჯობა სქანი, — დოუძახუ ქუჩულიას მელეშე.

ქუჩულიაქ გუმორბგუა უწუუ, მუ რაგად ოკო. შორიშე გა-  
ჩინებაფუ დუდი ქუჩულიაქ.

— მა ვორექ ქუჩულია, — უწუ დემს.

— ქიბლაცაფათი ქუჩულიავა, — უწუუ დემქ მელეშე.

— ქიბლაცაფათი მუ გისხუნუნია, — უწუუ ქუჩულიაქ.

— ქიგაქიმნენო მა ფქიმინგნენი თინავა, — უწუუ დემქ.

— ქო, მუშენ ვარ, — უწუუ ქუჩულიაქ.

ეთიმწკუმა გეუჭირინე დემქ ხე ქუას, გეჭოფუ ეშე, აკოუნ-  
ჭირგ ხე დო გაკოტახე.

— ენა მუ რენია — უწუუ ქუჩულიაქ — მა მიჯინი აშო.

ხეს უკაბულუ ცვალინი, თუდო ქუხოლუ ქუალემს, ქუაში  
მანგიორო გეჭოფუ თე ცვალი, გუნჭირგ ხე, ფუჩხა-ფუჩხათი  
გინართინუ.

— უმოსო მანგარო ქილაცაფია, — უწუუ დემს.

დიდი ქუა გემუ თაქი, თეს გიაშქუ კუჩხი დემქ დო თაქი  
ქიგიოჩინჩოლგ.

ქუჩულიაქ გიოსხაპუ კუჩხი მუში ტუტგლას დო ტვერო  
მიდართგ ქვირქ ჟი დო ჟი.

დემს მართალო ქუა უჩქულუ თენა დო გუკვირდუ, დოუძახუ  
ქუჩულიას:

— გაკიფშაყარათ დო წირო ქიბლაცაფათია.

— მა კუჩხი დუმაშოლუნ იკულ ვამალაცაფინენია, — უწუუ  
ქუჩულიაქ.

— მა გამნოიყუნანქ, — უწუუ დემქ.

— ძალამი ჯგირი, — უწუუ ქუჩულიაქ.

ინილ მოლე დემქ, ქიმაძლირკ ქუჩულიაქ, ქაშაცუნუ დემქ  
წყარს. შქა წყარშა ქიმერთეს. უწუუ ათაქ დემქ:

— მუ რე, მუშმა ქექა რექია ქუჩულია?

— ჰაავა, — თქუ ქუჩულიაქ.

— მუ ორენია? — კითხუ დემქ.

— მავა ჩქიმი მალა გოუტუევა, სქანცალი ეჩდოვითის ვადვა-  
მარგინექია.

- აბა ჭიჭე გოუტე სქანი ძალავა, არძო ვაგოუტუენ თეშია.  
ძალა მიქ მეჩუ ქუჩულიას? ოდგიში ალოუძუ ჯიბეშა. გე-  
ლელუ თენა დო ოჭიშის ქიდნაშქუ დემს.  
დემქ მიოღვარუ: არიქა, მომიქექევა, ვარა დობლურია.  
გეშანწყ კინი ოდგიში ქუჩულიაქ.  
დემს მოუქექუ, მუ რაგადგ ოკო.  
სადილგშა ქუდაპატიუგ დემქ ქუჩულია მუში ცუდეშა. ძალამი  
მანგარი სადილს ქუმკოდოხოდეს...

## VI

### ქუჩულია

არის ერთი კაცი, სული რომ შეუბერო, ცაში გაფრინდება (ისეთი). მას ჰქვია ქუჩულია. ის ღარიბი კაცია, არაფერი არ აბა-დია. არ აქვს სახლ-კარი. მოითიქრა მან — კვირებით წავიდეს, ქეყანა შემოიაროს (საქვეყნოდ), იქნებ, საღმე რამეს შეხვდეს. წაიღო ერთი ჭყინტი ყველი, ერთი ნაცრიანი ფქვილი და ერთი სადგისი. წავიდა ის, ეს სამი რამ (თავი) რომ მიაქვს ისე. მი-ვიდა ერთ დიდ წყალთან. ვერ გადავიდა და დაჯდა. აქ რომ ზის ისე, გაღმიდან მოვიდა დევი.

- გამარჯობა შენი, — გაღმიდან დაუძახა ქუჩულიას.
- მიესალმა (გამარჯობა უთხრა) ქუჩულიაც, რა თქმა უნდა, შორიდან გააცნო თავი ქუჩულიამ.
- მე ვარ ქუჩულია, — უთხრა ქუჩულიამ.
- ვითამაშოთ, ქუჩულიაო,— უთხრა დევმა.
- ვითამაშოთ, რაც გესიამოგნებაო,— უპასუხა ქუჩულიამ.
- გააკეთებ იმას, რასაც მე გავაკეთებო? — უთხრა დევმა.
- კი, რატომაც არა — უპასუხა ქუჩულიამ.
- მაშინ დევი მისწვდა ქვას, აიღო, მოუჭირა და დაამსხვრია.
- ეს რა არისო — უთხრა ქუჩულიამ — მე მიყურეო.
- ხელში ყველი რომ ეჭირა, ქვებს შუა დაღო, ქვის ნაცვლად აიღო ეს ყველი, მოუჭირა და დაფუშვნა.
- უფრო უკეთესად (მაგრად) ითამაშეო, — უთხრა დევს.
- დიდი ქვა რომ იდო, იმას დააბიჯა ფეხი და დაამსხვრია.
- ქუჩულიამ ფეხი დააბიჯა ნაცარს და მტვრად იქცა ფქვილი.
- დევს მართლა ქვა ეგონა და გაუკვირდა, დაუძახა ქუჩულიას:

- შევიკრიბოთ და ერთად ვითამაშოთო.
- მე ფეხი რომ დამისველდება, მერე ვერ ვითამაშებო, — უთხრა ქუჩულიამ.
- მე გადმოგიყვანო, — უთხრა დევმა.
- ძალიან კარგიო, — უთხრა ქუჩულიამ.
- გაღმა გადავიდა დევი, აეკიდა ქუჩულია. წყალში შევიდა დევი. შუა წყლამდე მივიდნენ, აქ უთხრა დევმა:
- რა არის? როგორი მჩატე ხარო, ქუჩულია?
- ჰარო, — თქვა ქუჩულიამ.
- რა არისო? — ჰკითხა დევმა.
- მე ჩემი ძალა რომ მოგუშვა, შენისთანა ოცდაათი ვერ დამიკავებსო.
- აბა, ცოტა გამოუშვი შენი ძალა, მთლად არაო.
- ძალა ვინ მისცა ქუჩულიას. სადგისი უდევს ჯიბეში, ამოილო ეს და ზურგში ჩაურჭო დევს.
- დევმა იყვირა, ცოტა შემიშუბუქე, თორემ მოვკვდებიო.
- სადგისი ამოილო ქუჩულიამ.
- დევმა, რა თქმა უნდა, სიმსუბუქე იგრძნო.
- დევმა ქუჩულია თავის სახლში სადილად დაპატიჟა, ძალიან კარგ სადილს მიუსხდნენ...

## VII

### ართი ბადიდიში ამბე

თურმე ართი მოხუცებული კოჩი ქოცოფე. სუმი სქუა ნოცვე. სქუალებს მუმა ვანოცოროფუენა. ე ბადიდის ულინ, ულინ დო ართი კოჩი ქიშეხვალამუ, უთქეალუ, სქუალეფს შურო ვალუორქია დო მუ ფქიმნავა? ი კოჩის უთქუალგ: ოთახის ართი ცალი დერგი ქიდოდგი დო ლეტა ქანოდვია დო სქანი სქუას ქოუწია, დერგის ოქრო ენოძუნია. ბადიდის ხოლო უთქუალუ: ჰო, ჰო-ვა. მიდოურთუმ ცუდეშა. ბადიდის ლეტა ქანოუდვალ დერგშა დო ქუდოუდგუმუ. ბადიდის უნჩაში სქუაშა დოუძახებუ დო უთქუალგ; დერგის ოქრო ენოძუნია. მა დობლურუქუნგ, ჯვირო ქუმკმოჯინითია. ოშკარი სქუაშა უთქუალგ: დერგის ოქრო ენოძუნია დო სქანი ქორდასია. ბოლოს არძოს უკლაში სქუაშა ქუდოუძახებგ: ოთახის დერგი დგუ დო სქანი ქორდასია. ბადიდი

დოლურე. სქუალეფს ხეში გურშა გეუხუნუაფენა. დოუნთხორნა. სქუალეფი ჩხუბენდეს – ვარ მა დომტუ ჩქიმი მუმაქ ოქრო, ვარ – მავა. ენეფიში ჩხუბი ქუგოუგებუ ხენწიფეს დო ქუმოურთუმუ თენეფშა, თის ხოლო აკორინ ოქროქ, დერგიში დუდი გამნოუნ-წყუმუ, ქოუნწყუაფუ ხე დო თურმე ლეტა ცოფე.

## VII

### ერთი ბერიკაცის ამბავი

თურმე ერთი ბერიკაცი ყოფილა. ჰყოლია სამი შვილი. შვილებს მამა არ ჰყვარებიათ. იმ ბერიკაცს უვლა, უვლია და ერთი კაცი შეხვედრია. უთქვამს, რომ შვილებს არ ვუყვარვარო და რა ვქნაო? იმ კაცს უთქვამს, რომ ოთახშიო ერთი დერგი დადგიონ და ტალახი ჩაყარეო და შენს შვილს უთხარი, დერგში ოქრო დევსო. იმ ბერიკაცსაც უთქვამს, რომ ჰო, ჰოო. წასულა შინ. ერიკაცს ტალახი ჩაუყრია და დაუდგამს. ბერიკაცს ყველაზე უფროსი შვილისთვის დაუძახია, უთქვამს, რომ დერგში ოქრო დევსო. მე რომ მოვკვდები, კარგად მომხედეთო. შუათანა შვილისთვის დაუძახია: დერგში ოქრო ძევს და შენი იყოსო. სულ უმცროსი შვილისთვის დაუძახია: ოთახში დერგი დგას და შენი იყოსო. ბერიკაცი მომკვდარა. შვილებს ხელის გულზე დაუსვამთ. ბერიკაცი დაუმარხავთ. შვილები ჩხუბობენ. ერთმა – მე მითხრაო – ამბობს, მეორემ – მეო. ამათი ჩხუბი გაუგია ხელმწიფეს, მისულა მათონ, მასაც მონდომებია ოქრო, დერგისთვის თავი აუხდია, ხელი ჩაუყვია და თურმე ტალახი ყოფილა. (მ. ხუბუა. მეგრული ტექსტები).

## ლაზური ტექსტები

I

### მთუთი, მკდაფუ დო მგეი

არ მთუთი, მკდაფუ დო მგეი აქადაში დიყვენან. მთუთიქ თქუ-ქი: „ჩეი მუ პამინონან, გიჩქინა? მადა ვულუდა დო არ ფუჯი ქომოიყონობდა”. მგეის უწუ-ქი: „სინ არ მჩხუი ქომუყონია!” მკდაფუსთი უწუ-ქი: „სინთი ართეი მამული ძაოშენ ქაგამი-ყონია!”

სუმითი არ დერის ქოკობლეს. აწი მთუთიქ უწუმეს-ქი მკდაფუ დო მგეის: „თქვან თექსმი დოყვითდა, დოიფაათდა!” მგეის უწუ-ქი: „სი დოფააი!” მგეიქ: „ამუს ოფაუ პიჩ ვა უნონდა: სი ხოშუუჯი მუყონეტია, მთუთია? ია სქანი ტაზდა! მან მჩხუი მუიყონი დო ჩქიმი ტასდა; მკდაფუქთი მამული მუყონუ დო მუში ტაზდა!” მთუთის გუი ქომუხთუ, მგეის ტატი გეჩუ დო თი-კოპალე მოქთუ. აწი მკდაფუს უწუ-ქი: „ჩაქალ-ბაბადა, სი ყვი თექსიმია, ემუს ვა ახვენუდა!” მკდაფუქთი უწუ-ქი: „ადა თექსიმი ხვენეი ღენდა: ჭუმანიში მამული ქოჭკომია, ონდღის მჩხუი ქოჭკომია, აჩამიზდა, სეი დიდი ღენდა დო, ფუჯი ქუიმხოდა!” „ოოდა, ადა კაი თექსიმი ღენდა, ჩაქალ-ბაბადა, ადა თექსიმი სი მიქ გოგურუუდა?” „მგეიზ ნა თის გეჩი ტატი დო თი-კოპალე მოქთია, ემუშენ ვიგურია”.

I

### დათვი, ტურა და მგელი

დათვი, ტურა და მგელი დამეგობრებულან. დათვმა თქვა: „ჩვენ რა ვქნათ იციო? მეო წავალო და ერთ ძროხას მოვიყვანო”. მგელს უთხრა: „შენ ერთი ცხვარი მოიყვანეო!” ტურასაც უთხრა: „შენც ერთი მამალი საქათმიდან გამოიყვანეო!”

სამივე ერთ ადგილას შეყარეს. ახლა დათვი ეუბნება ტურას და მგელს: „თქვენ გაყავითო, გავანაწილოთო!” მგელს უთხრა: „შენ გაანაწილეო!” მგელმა: „ამას გაყოფა არ უნდაო: შენ ხომ ძროხა მოიყვანე, დათვოთ? ის შენი იყოსო! მე ცხვარი მოვიყვანე და ჩემი იყოსო; ტურამაც მამალი მოიყვანა და მისი იყოსო!” დათვს გული მოუვიდა, მგელს თათი დაჰპრა და ყირამალა

გადაატრიალა. ახლა ტურას უთხრა: „ტურავ, შენ გაყავი, ამან ვერ შეძლოო!” ტურამაც უთხრა: „ეს გაყოფილიაო: დილას მა-მალი შეჭამეო, შუადღეს ცხვარი შეჭამეო, საღამოს, ღამე დიდ-იაო და, ძროხას შეჭამო!” „ოო, ეს კარგი გაყოფააო, ტურაო! ეს გაყოფა შენ ვინ გასწავლაო?” „მგელს რომ თავში ჩაარტყი თათი და ყირამალა გადააკოტრიალეო, იმისგან ვისწავლეო”.

## II

### ავჯი მუსტავა

ტუ, ვარ ტუ, ქორტუ არ თანე ავჯი მუსტავა. არ ნანა უყო-ნუტუ ხჩინი. დიდო ნა აშქუინეტუშენი ავჯი მუსტავა ოხოიშენ გალე ვა გამაღლეტუ. გალე ქოთუმეფე, კაზეფე, ინდაურეფე სეი მგდაუფექ ნუხირტუ.

არ დღას ნანა მუშიქ საღანის ჰოგდუბუ თოუუ დო ჰოგუ-წუდგუ. ავჯი მუსტავაქ ნა ძიუ დიმჭკუ, ვა ჭკომუ ედო ნანას მუშის უწუ-ქი: „ნანა, ადა დიმჭკუ მოთ დენ?” „მან თოლიქ ვა მიძიოფს, ჰო, ნანა, ჭკომი!” მუსტავაქ სე გეჩუ საღანის დო უუენეჩ თანე დიმჭკუ დოყვილუ. ჰონოჭაუ ცხენის: „არ ჭაა გეჩამუთენ უუენეჩ თანე კოჩი პილი”. ცხენის გეხედუ, იგზალუ მენდრა კულანი მოყონუშა.

დიდო ნიტუ გზას. არ დიდი ოხოი ქეწვაგუ. მეხთუ დო მითი ვარ ტუ. ექოლე გუილუ, ექოლე გუილუ, არ ნეკნა ქოძიუ. ცხენი ახიის ჰონოკიუ. მუქ ქამახთუ თხოის ედო ჰოდინჯიუ. კაი ნა ოკოლუმჯუ, ემაქითის დევეფე ქოძოხთუ. ადა დევეფე ნა მოხთუ, ოშქუინუთე ყინი ჰოგდალუ. დევეფე ქოძოხთეს თხოი მუშიშა, ნჯაეფე, დიშქაფე ჰოდობლეს ოხოიკალა, ნოკანკეს ოხოის. ვა გონწეუ, კილეი ტუ ოხოი. დევეფექ გოხთეს, გოხთეს ოხოის დო ახიის ქოძიეს ცხენი. ნოჭაუტუ-ქი „არ გეჩამუთენ უუენეჩ თანე კოჩი პილი”. ანთეფეს აშქუინეს. უურ თანე დევეფე დენან. ეკულუ მუსტავაქ ჰაგონწეუ ნეკნა. ქამახთეს, ჰოდინჯიეს დევეფე.

ადა ვაქითის დოთანუ, ქისელეს დევეფექ ჰოდოდგეს სუქა, მუსტავას დუჯოხეს: „მოხთი, მუსტავა, გდაი პჭკომათ!” მუსტა-ვათი უგდაელი ტუ, ჰომეხთუ, ჰამა ვა ნანჭიშინუ სუქაშა. კიციში

ნოტები მჭკიდევე ტუ. მჭკიდი მეტახუ დო, სანქის „გიმზოდა”, ობას დილიტკომებს. ოხოის კუმი დენ. მუსტავაქ მჭკიდევე კუჩხეთენ დოხვაფს კუმის, ემუშენი-ქი დიდი ნოტები ვა აჭკომენ.

ანთეფე ქისელეს, დევეფე ნულვან დაღიშა. დევეფე ნა იგზალეს, მუსტავაქ კუმიზ ნა დოხვევეტუ მჭკიდი იშიღუ დო ცხენის მინდუღუ, ქოჩუ. დევეფე მეხთეს წკაიშა, ავჯი მუსტავას დუჯოხეს: „მოხთი აქდა!” ჰომეხთუ. დიდი გუდავე უღუტეს სუმ თანე, ურ თანე დევეფე ჰოდიქაჩეს, ართელი — მუსტავაქ. დევექ თქუქი: „მითხანის აშუ წკაი ადა გუდა მოვშა, ია იყვასიონ ჩქინი დიდი”. დევეფე წკაითენ მოფშაფან, მუსტავაქ შუითენ ობაეფს. ქოფშეს, დანდან იდეს, ნუნკუს მუიდგეს დო შუფან. მუსტავას ხოშ წკაი ვა უღუნ! ენთეფეს ვა უჩქინან, მუსტავას შუი მოლადგინ გუდას. შვეს, შვეს დო მუსტავაქ დოჩოდინუ. დევეფე უწვეს-ქი: „ადა ნა შვი, აწი ჩქინი დიდი დე”.

დევეფე მუსტავას უწვეს-ქი: „ჰადდე დაღიშა!” მუსტავაქი ქეზდუ არგუნი დო იგზალუ. დევექ მონდრიკუ დიდი ნჯა დო მუსტავას უწუ-ქი: „ადა ჰოდიქაჩი დო მა მოპკვათუფ!” მუსტავას ნა მეჩუ ნჯა, დევექ მოკვათასიონ, ჰომეხთუ ქოქიშა, ჯა დიდუზანუ. გუინწედუში, მუსტავა ვა ძიუ; იწიწკედუში, უინ გელახენ! „მუსტავა, ეგ მუ იფიქ?” „ჰაა, მან კვინჩი მეკაფუთხუტუში, ვა მეკორქევამინტუ დო ემუშენი დოლვათხოზი, ჰამა ვა მაჭოფუ”. ჰაგეხთუ ავჯი მუსტავა. დევეფე ემაქითი ჰაგილეს დიშქა, მუსტავა ხე-ბოში ჰაგეხთუ ოხოიშა.

დოლუმჯუ. ჰოდინჯიეს ანთეფე, ჰამა დევეფეს ვა ანჯირნან, ემუშენი-ქი, მუსტავა ნა რენ ოხოხის, გდაი ნა უმხონან, ანთეფეს ვა უხონან. მუსტავა ჰოდინჯიუ. სეიზ გვერდის დევეფე ქისელეს დო წკაი დოგიბეს, მიღეს თავანიშა, მუქთეს. ე-ნა დაღალაპტეს, ჰონაგნუ მუსტავაქ დო დონტკობუ. გიბერ წკაი ნა მუქთეს, დევეფე ჰოდინჯიეს, თქვეს-ქი: „აწი მუსტავა დოლუუ”. ჭუმანიში დოთანუ დო ნეგნა ჰაგონწკეს, ავჯი მუსტავა ჰაგამახთუ. დევეფე უწვეს-ქი: „მუსტავა, მუჭოში რე?” მუსტავაქ უწუ-ქი: „ჰატი ყინი გემადუდა”.

ადა ნდღა დოთანუ. ხოლო დაღიშა ნულვან. მუსტავა ვა ნუღუნ. დევექ უჯოხოფს. მუსტავაქ თქუ-ქი: „მან დაღიშა. ვულუ,

ჰამა ეშო დიდი თოკი მუღაგიონ, ქი ადა დაღის გოულაფა ედო არ ოინის მთელი გელაიღამიონ”. დევეფეს აშქუინეს, ვა გელოდაფეს. ანთეფე გუიქთეს, ოხოიშა ჰომეხთეს დო ავჯი მუსტავას უწვეს-ქი: „ოხოიშა იდაგიონდა”. მუსტავაქ თქუ-ქი: „მეულუდა”. დევეფექ დოხაზიეს ართუნეფე ჭუალეფეთენ, ჰომოკიდეს ცხენის, გოდგითეს დო ნულვან გზას. მენდახთეს მუსტავაშ ოხოიშა. შეეფე მუსტავას ოხოის ჰოდოდვეს. დევექ დოჭკინდინეი შეუ ნა დიშვანუ, მუსტავა ჭეის ჰოგელუ. დევექ უწუ-ქი: „მუსტავ, ექ მუ იქიფ?” მუსტავაქ თქუ-ქი: „პაპულიში კილიჯი ბგოუფ”. დევეფე დისელეს დო იმტეს, აშქუინეს. ჰოგუშიბლეს.

ართელის ჰოგანუ მკდაფუ, უწუ-ქი: „ვეე, სო ულუ? მა ნა ემუს გამაუყონოპტი ქოთუმე, ბიბი, კაზი, ემუქ ჩქიმდა მუთუ ვა ახვენეტუ”. დევესთი მეშვაბლუ: „სი მან მოთ მოღერდინაფდა!” დო მკდაფუს ნანკაპუ, ჰაკოწეუ. იმტუ დევე, ჰოდოსქიდუ ართუნეფე მუსტავას.

## II

### მონადირე მუსტაფა

იყო და არა იყო, იყო ერთი მონადირე მუსტაფა. ერთი დედა ჰყავდა მოხუცებული. რადგან ძალიან ეშინოდა, მონადირე მუსტაფა სახლიდან გარეთ ვერ გადიოდა. გარეთ ქათმებს, ბატებს, ინდაურებს დამით ტურები ჰპარავდნენ.

ერთ დღეს დედამ თეფშზე თაფლი დაუსხა და წინ დაუდგა. მონადირე მუსტაფამ ჭიანჭველა რომ ნახა, არ ჭამა და დედას უთხრა: „დედა, ეს ჭიანჭველა რად არის? „ „მე თვალი არ მი-ჭრის, ჰო, შვილო, ჭამე!” მუსტაფამ დაპერა ხელი თევშს და ორმოცი ცალი ჭიანჭველა მოკლა. ცხენს დააწერა: ერთი დარტყმით ორმოცი კაცი მოვკალი”. ცხენზე შეჯდა, გაემართა შორს ქალის მოსაყვანად.

ბევრი იარა. ერთი დიდი სახლი შეხვდა. მივიდა და არავინ იყო. იქით უარა, აქეთ უარა, ერთი კარი ნახა. ცხენი თავლაში დააბა, თვითონ შევიდა სახლში და დაწვა. კარგად რომ შეღამდა, დევები მოვიდნენ. ეს დევები რომ მოვიდნენ, შიშით გააცივა. დევები თავის სახლში მოვიდნენ, ხები, შეშები დაყარეს სახლ-

თან. დააკაცუნეს. არ გააღო, სახლი დაკეტილი იყო. დევებმა იარეს, იარეს და თავლაში ცხენი ნახეს. ეწერა: „ერთი დაკვრით ორმოცი კაცი მოვკალი”. ამათ შეეშინდათ. ორნი დევნი არიან. მერე მუსტაფამ გააღო კარი. შევიდნენ, დაწვნენ დევები.

ამასობაში გათენდა, ადგნენ. დევებმა სუფრა გაშალეს, მუსტაფას დაუძახეს: „მოდი, მუსტაფა, საჭმელი ვჭამოთ!” მუსტაფაც უჭმელი იყო. მოვიდა, მაგრამ ვერ შესწვდა სუფრას. კეცის ნატეხი მჭადები იყო. მჭადი მოტეხა და ვითომ ვჭამო, უბეში იყრის. სახლში სილა. მუსტაფა მჭადებს ფეხით ფლავს სილაში, იმიტომ რომ დიდ ნატეხებს ვერ ჭამს.

ესნი ადგნენ, დევები მიდიან ტყეში. დევები რომ წავიდნენ, მუსტაფამ სილაში ჩაფლული მჭადები ამოიღო და ცხენს წაუღო, აჭამა. დევები მდინარესთან მივიდნენ, მონადირე მუსტაფას დაუძახეს: „მოდი აქო!” მივიდა. დიდი გუდები ჰქონდათ სამი ცალი.

ორი ცალი დევებმა დაიკავეს, ერთი – მუსტაფამ. დევება თქა: „ვინც დალევს წყლით სავსე ამ გუდას, ის იქნება ჩვენი უფროსი”. დევები წყლით ავსებენ. მუსტაფა სულს უბერავს („სულით ბერავს”). აავსეს, გვერდზე გადგნენ, პირზე მოიყუდეს და სკამენ. მუსტაფას ხომ წყალი არა აქვს! იმათ არ იციან, მუსტაფას სული დგას გუდაში. სვეს, სვეს და მუსტაფამ გამოსცალა. დევებმა უთხრეს: „რადგან ეს დალიე, ახლა ჩვენი უფროსი შენა ხარ”.

დევებმა მუსტაფას უთხრეს: „აბა, ტყეში წავიდეთ!” მუსტაფამაც აიღო ნაჯახი და წავიდა. დევება მოღრიკა დიდი ხე და მუსტაფას უთხრა: „ეს დაიკავე და მე მოვკრი!” მუსტაფას რომ მისცა ხე, დევება უნდა მოჭრას, მივიდა ძირთან, ხე გაიმართა. მიიხედ – მოიხედა, მუსტაფა ვერ ნახა; რომ აიხედა, ზემოთ ზის! „მუსტაფა, იქ რას აკეთებ?” „პოო, ჩიტი რომ მიფრინავდა, არ უნდა გამეშვა და ამიტომ გავეკიდე, მაგრამ ვერ დავიჭირე”. ჩამოვიდა მონადირე მუსტაფა. დევებმა ამასობაში ჩამოიტანეს შეშა, მუსტაფა ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

დაღამდა. დაწვნენ ესნი. მაგრამ დევებს არ ეძინებათ, იმიტომ რომ მუსტაფა რომ სახლშია, საჭმელს რომ უჭამო, ამათ არ უნდათ. მუსტაფა დაწვა. შუაღამეს დევები ადგნენ და წყალი აადუღეს, სხვენზე აიტანეს, წამოაქციეს. რომ ლაპარაკობდნენ, მუსტაფამ გაიგო და დაიმალა. მდუღარე წყალი რომ დაასხეს,

დევები დაწვნენ, თქვეს: „ახლა მუსტაფა მოკვდა”. დილას გა-  
თხნდა და კარი გააღეს, მონადირე მუსტაფა გამოვიდა. დევებმა  
უთხრეს: „ მუსტაფა, როგორ ხარ?” მუსტაფამ უპასუხა: „ძა-  
ლიან შემცივდაო”.

ეს დღე გათხნდა. კიდევ ტყეში მიდიან. მუსტაფა არ მიდის.  
დევი უძახის. მუსტაფამ თქვა: მე ტყეში წავალ, მაგრამ ისე ვ  
დიდი თოკი უნდა მოიტანო, რომ ამ ტყეს შემოვავლო და მთელი  
ტყე ერთად ჩამოვიტანო”. დევებს შეეშინდათ, არ ჩამოატა-  
ნინეს. ესენი მიბრუნდნენ, შინ მივიღნენ და მონადირე მუსტაფას  
უთხრეს: „შინ უნდა წახვიდეო” მუსტაფამ თქვა: „მივდივარო”.

დევებმა გაამზადეს ოქროები ტომრებით, მოჰკიდეს ცხენს და  
გზას დაადგნენ. მივიღნენ მუსტაფას სახლში. ნივთები მუსტაფას  
სახლში დადეს. დაღლილმა დევებმა რომ ამოისუნთქა, მუსტაფა  
ჭერზე ავარდა. დევებმა ჰქითხა? მუსტაფა, მანდ რას აკეთებ?”  
მუსტაფამ უპასუხა: „პაპის ხანჯალს ვეძებ”. დევები წამოხტინენ  
და გაიქცნენ, შეეშინდათ, დაიფანტნენ.

ერთ მათგანს შემოსვდა ტურა, უთხრა: „ ვაპ, სად მიხვალ?  
მე რომ მისვან გამომყავდა ქათამი, იხვი, ბატი, ის მე ვერაფერს  
მიშვრებოდა”. დევიც გაბრაზდა: „შენ მე რად მატყუებო!” ეცა  
ტურას, გაგლიჯა. გაიქცა დევი, დარჩა ოქროები მუსტაფას.

### III

#### ჯუმა კაი დო ჯუმა ჰატი

ტენ, ვარ ტენ შურ ჯუმა — ალი დო ჰიქმეთი. ალი —  
დიდი ჯუმა, ჰიქმეთი — ჭიტა ჯუმა. ალი ჩილეი ტუ, ბეე-ბაი  
უყონუტუ; ჰიქმეთი უჩილუ ტუ, ჭიტამიშენ ახჩამიშა ფუკი რჯვი-  
ნაპტუ. არ დღას ჯუმა მუშის წოხოლე ქაგონტუხუ, უწუ-ქი: „ე,  
ალი, სი ჩილეი ე, ბეე-ბაი გიყოუნ, მან ეჩდოუურ წანეი ვოე, ჭუ-  
მანიშენ, ახაჩამიშა ფუკეფე ვოჯვინაფ; მუნდეშა ვოჯვინამიონ?”  
ალიქ უწუმეს: „მუ გინონ, ჯუმა, მუ გუი აწეუფს? მიწვი სქანი  
წკუნი!”, „მუ გიწვა, ალი, დო მანთი ოჩილუ მინონ, მანთი მინონ,  
ქი ბეე-ბაიში საები ვიყვა, მანთი მინონ, ქი რჯალი ვიყვა!” ადა  
ნა ალიქ შიგნუ, დიდო მეშვაბლუ, ადა ჯუმაქ მუჭო მიწუდა დო.  
ჰიჩ ნენა ვა უწუ, ქამახთუ ოხოიშა. ჰიქმეთიქთი ფუჯეფე ნუწკუ  
დო მინდიყუნუ ოჯვინუშა. ალიქ ოხორჯას უწუ-ქი: „ანდღა ჯუ-

მაჩქიმი ნა მოხთას, გდაის აღუ უკათი დო დოლუინი!” ოხორჯაქ უწუ-ქი: „კოჩი, მუ ზოპონ, დიდელიი? ჯუმა იღუინენი?” „გარ, ემკათა ჯუმა მა ვა მინონ! ემუქ მა მუჭო მიწუ-ქი დომოჩილია!” ალიქ დეზდუ არგუნი, ტოფელი დო მენდახთუ ავჯობაშა, ჰებ მციქა დიშქა ოკათუშა.

მუში ჯუმა ნა მოხთუ, გელინი მუშიქ იმგას. პიმექთიქ უწუ-ქი: „გეინ, მოთ იმგა?” „მუჭო ვა ვიმგაა! ჯუმა სქანიქ მიწუ-ქი სქანიშენი, გდაის ჭამი უხუქთო დო დოლუინია; მა ნა მოთთა, ჯუმა ჩქიმი დოელი ბძამიონდა!” „ედო სი მოთ იმგა? აწიშენ მოლუინი” „ვარ, მა სქანდა ვა მაღუინენ, სი ართეი ოხასქი მიყოუ, სქანდა მა ვა მაღუინენ!” „მა მემსუქას ქოდოინჯირ, სანქის ღუელი ვოე; ე-ნა მოხთას, უწუმე-ქი: ეჰე, ჯუმა-სქანი ღუელი ენ!”

აწი გოიქთათ დო ბლალალათ ალიში ამბაი. ალიქ დაღის დიშქა ნა იქიპტუ, ცას იწიწკედუში, არ დიდი კართალი მულუნ, ამუქ ტუფელი გონთხუ დო ასოლუ. კართალის არ მისკეტი მსვას მატუ, ართეი — გუის. მეხთუ კართალიშა დო დეზდასინონ. კართალიქ თი ეწოზდუ დო უწუ-ქი: „მა ჯუმა მიყოუნტუკონ ეგერე-ნა, სი ჩქიმდა ვა გაყვილეტუ”. ალის ხეშენ ტოფელი ქანულუ, ადა ნა შიგნუ; არგუნითი მეტკოჩუ, ცანცათი მეტკოჩუ დო ვარკუეთ მულუნ ოხოიშა, მუჭო დოჭაბინერ. ამაცხონტუ ოხოიშა, ხამი ილიწკუ დო ოხორჯას გუპიჯის ნანკაპუ, ყვილა-სინონ. „ჯუმა დოლუინინიი?” „ეჰე, ჯუმა სქანი ღუელი სევის გეძინი!” „დოკყვილა დო მეკაილადა!” ემ ვაქითის ჯუმა მუში ღუნკაპუნ დო უწუმეს ალის, ქი: „ნისას ხე ვა ქონუსვა, მა საღი ვოე!” ემ ორას ალიქ ოხორჯათი დო ჯუმათი გუპიჯის მუიქა-ჩეფს დო აჯუნს უუისთი. „აწიალდი მუჭო დოგოლუინი, ჯუმა! აწიშეულე გოჩილაფ, ოხორჯათი მოგიყონოფ, სი ნა გინონსთეო ჭანდა დოგიდგაფ!” ოხორჯა ქომუყონუ, დუგუნითი ქოდუდგუ. მანთი ექ ვორტი, ჰამა მითიქ მჭკიდი ვა მომჩუ.

### III

#### მმა კარგი და მმა ცუდი

ყოფილა, არ ყოფილა ორი მმა — ალი და პიქმეთი. ალი — უფროსი მმა, პიქმეთი — უმცროსი მმა. ალი ცოლიანი იყო, ბაგშ-

